

**არნოლდ ჩიქობავას**

**საკითხავები**

**XXVI**

**2015**

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების  
ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას  
საკითხავები

XXVI

2015 წლის 28 აპრილი — 1 მაისი  
მასალები

თბილისი  
2015

სამეცნიერო სესია გაიმართება არნ. ჩიქობავას სახელობის  
**ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში** (პ. ინგო-  
როყვას ქუჩა №8, მეორე სართული)

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს — 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს — 3 წუთი

რედაქტორი — **ვ. შენგელია**

© არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

# მ უ შ ა ო ბ ი ს გ ე გ მ ა

28 აპრილი, 11 საათი

- თ. ბ ე რ ო ზ ა შ ვ ი ლ ი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა და „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული
- ს. ო მ ი ა ძ ე, არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი
- ვ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. LXXI-LXXIV
  
- თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, ირიბი ობიექტის რიცხვი
- გ. კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა, არქეტიპის ცნებისათვის
- მ. ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი, მე ~ არა-მე დაპირისპირებისათვის ქართულში
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, -ავ და -ამ თემისნიშნისა ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი დიალექტებში
- ნ. ა რ დ ო ტ ე ლ ი, მეორე გრამატიკული კლასის წარმომავლობისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში
- თ. ლ ო მ თ ა ძ ე, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ესპანეთში
- მ. ბ უ კ ი ა, მეგრულის შესწავლის სათავეებთან — იოსებ ყიფშიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“
- ნ. ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე, ა მავრცობი ხმოვანი თანამედროვე ქართულში
- თ. ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე, რთული შედგენილობის მსაზღვრელ-საზღვრულის მართლწერისათვის
- მ. ჯ ღ ა რ კ ა ვ ა, პრედიკატული განსაზღვრება თუ ვითარების გარემოება ლაზურში (საკითხის დასმის წესით)
- თ. ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი, არაერთსიტყვიანი უდანართო სათაურების/სახელწოდებების მართლწერის გამო
- ხ. ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი, მსაზღვრელ-საზღვრულის გამოხატვა კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით
- მ. თ ე თ რ ა ძ ე, ლეზგიური ენის ფონოლოგიური სისტემის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევისათვის
- დ. კ ა კ ა შ ვ ი ლ ი, -ჟ სუფიქსი წოვათუშურში

## 29 აპრილი, 11 საათი

- მ. დ ლ ო ნ ტ ი, ზ ო გ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის (ქართ. საზოგადოება)
- მ. ჩ უ ხ უ ა, ქართული უს- ძირის ეტიმოლოგიისათვის
- გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე, ე. წ. ხოლმეობითებისა და მწკრივთა რაოდენობის შესახებ ზმნურ ფორმათა პარადიგმული სისტემის მთის დიალექტთა ვარიანტებში
- მ. ბ ე რ ი ძ ე, ც. კ ვ ა ნ ტ ა ლ ი ა ნ ი, მ. კ ი კ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ნ. ს უ რ მ ა - ვ ა, მორფოლოგიური ანალიზის ტესტირების პრობლემებისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში
- მ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, „სკნელ“ სიტყვის სემანტიკისა და ეტიმოლოგიისათვის ქართულ ენაში
- ლ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, უბრალო დამატების ამოცნობის საკითხისათვის
- დ. ა ნ ფ ი მ ი ა დ ი, მ. ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი, ე. ნ ა პ ი რ ე ლ ი, მიმდევობის საკითხისათვის ქართული დიალექტური კორპუსის ინგილოურ ლექსიკონში
- მ. ბ ე რ ი ძ ე, ლ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დ. ნ ა დ ა რ ა ი ა, ავტომატური და ნახევრადავტომატური მორფოლოგიური ანოტირების პრინციპისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში
- ნ. ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე, ურმისა და მარხილის ნაწილების ზოგი ტერმინის წარმომავლობისათვის (ლექი, დათვა, თუში, ლაფანი, ღო, დგალა)
- ტ. გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, აფიქსაციათა სახეები
- ლ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ნ. ა მ ი რ ე ზ ა შ ვ ი ლ ი, ლ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, ა. ჩ ე ტ კ ე რ ა შ ვ ი ლ ი, ნ. ჯ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ენის გრამატიკული ონლაინ ლექსიკონი
- ლ. ბ ა კ უ რ ა ძ ე, ფერეიდნული მასალის ბეჭდური წყაროების დიალექტური კორპუსისათვის მომზადების პრინციპები
- კ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა, ზოგი ნასესხები საკუთარი სახელის შესახებ მეგრულში
- ნ. მ ა მ ი ს ე ი შ ვ ი ლ ი, „ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში
- მ. ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა, ერთი ტიპის კომპოზიტთა დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში

## 30 აპრილი, 11 საათი

- ე. გაზდელიანი, ლიქტურეში და წორ ტერმინთა განმარტებისათვის
- ნ. მაჭავარიანი, „მედგარის“ ეტიმოლოგიისათვის
- რ. ჭკადუა, *ი-ჰედ-ურ-იელ...* ტიპის ზმნათა სტრუქტურა და მორფო-სემანტიკური ანალიზი სვანურში
- თ. მახარობლიძე, შორისდებულის შესახებ ქართულში
- ე. გიუნაშვილი, საშუალო ირანული ონომასტიკის კვლევისათვის საქართველოს არამეულ წარწერებში
- მ. საღლიანი, ინტერფიქსური რედუბლიკაციისათვის სვანურში
- ქ. დათუკიშვილი, პირის კატეგორიისათვის ქართულ ზმნაში
- ნ. შავრეშიანი, პარატაქსულ წინადადებათა კავშირთათვის სვანურში
- რ. გერსამია, მ. ლომია, ბგერწერითი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია ლაზურში
- ლ. გიგლემიანი, ვითარებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნისარტები სვანურში

## პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“

- ე. შენგელია, კ. მითაგვარია, ნ. ფონიავა, ანგარიში ლაზეთში მივლინების შესახებ
- ნ. ფონიავა, საყოფაცხოვრებო ლექსიკის ასახვისათვის ლაზურ იდიომებში. I
- ე. შენგელია, მეგრული დღა „დღე“ და სერი „ღამე“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის
- ც. ჯანჭღავა, ლაზური თოლი „თვალი“ ფრაზეოლოგიზმებში

## 1 მაისი, 11 საათი

- ი. ქობალავა, რ. გერსამია, მ. ლომია, ულ-ა / ულ-უ „სვლა“ ზმნის სემანტიკა მეგრულსა და ლაზურში
- ი. ჩანტლაძე, საბრ<sup>ნი</sup> („ალოე“/„უფოთლო, ანასხები წვრილი ტოტი“ თუ „მცენარის მწარე წვენი“?) ქართველურ ენებში
- დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი“
- ა. არაბული, თ. ვაშაკიძე, თ. ბურჭულაძე, აბრევიატურების ფორმაწარმოების საკითხები
- თ. ვაშაკიძე, საინფორმაცო მედიაენა — როგორც პოლიტიკური მანიპულირების მეთოდი
- ლ. ქაროსანიძე, ა. ხურცილავა, არაქართული წარმოშობის ტერმინებისათვის ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში
- ც. ბარამიძე, -ეტ/-იტ/-ედ სუფიქსიანი რედუბლიცირებული ძირები ქართულში
- რ. ფარეულიძე, არსებით სახელთა შედარებითი ანალიზის საკითხები ნახურ ენებში
- ი. ჩანტლაძე, რ. იოსელიანი, ერთი სურნელოვანი ბოსტნეულის სახელწოდებათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში
- ნ. ხახიაშვილი, ყურ- (ყურება) ძირთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმანი
- ლ. აზმაიფარაშვილი, ხუნძურ-ქართული სემანტიკური პარალელები
- რ. ლოლუა, ბრუნების სისტემისათვის საერთოლექსიკონში
- ლ. კელაურაძე, მესამე სუბიექტური პირის / -ნ/ ნიშნის გენეზისისათვის მეგრულ-ლაზურში
- ნ. ხოჭოლავა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი დენდრონიმ ურთხელი-ს ეტიმოლოგიისათვის
- ნ. ნაკანი, ახალი მასალები სვანური ბოტანიკური ლექსიკონისათვის

## ხუნძურ-ქართული სემანტიკური პარალელები

### 1. ხუნძ. ჰუდულ „მეგობარი“.

ხუნძურ ენაში სიტყვა **ჰუდულ** ნიშნავს აგრეთვე „სატრფოს“ — ვაჟსაც და ქალსაც; მაგ., ქიდაგო რიჭიჭელ შარცულალ კიჭალ, რიჭილიშ, ლე ჰუდულ, ბალებიშ; ლე ყუალ „მუდამ შეუხსნელი ვერცხლის დილები ხომ არ შევიხსნა, სატრფოვ [იგულისხმება ვაჟი], ხომ არ მოგეხვიო?“ (სიმღერიდან); უაჲ დუდა ჰუდულაჲჲულ წაარ კოჩაჲჲჲ „ჰოი, სატრფოს [იგულისხმება ქალი] სახელი დაგვიწყებოდეს!“ (რ. ჰამზათოვი).

ქართულ ენაში, ხუნძურისაგან განსხვავებით, სიტყვა **მეგობარი** ასეთი პოლისემიურობით არ ხასიათდება, მაგრამ ხევსურულში, გარკვეულწილად ანალოგიური მიმართების თვალსაზრისით, საყურადღებოა სიტყვა **ძმობილი** და ის კონოტაციური დატვირთვა, რაც მას სალიტერატურო ქართულის ამავე სიტყვისაგან გამოარჩევს.

ხევსურეთში **ძმობილობა** ერქვა ქალ-ვაჟის განსაკუთრებულ ურთიერთობას, აღმოცენებულს სიყვარულის, სულიერი სიახლოვისა და ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე. წესად იყო დამობილებული ქალ-ვაჟის ერთად წოლა, თუმცა სქესობრივი კავშირი და მათი შეუღლება, რჯულის მიხედვით, მკაცრად იკრძალებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ძმობილობა და სწორფრობა, მიუხედავად დიდი მსგავსებისა, სავსებით ერთი და იგივე მაინც არ არის: ადამიანს შეიძლება სწორფერი ჰყავდეს, მაგრამ ძმობილად არ მიიჩნევდეს მას.

ლინგვისტური თვალსაზრისით კი ის არის ღირსსაცნობი, რომ ქალ-ვაჟის ამგვარი თავისებური ურთიერთობა მეტყველებაშიც თავისებურადაა ასახული: ხევსურულში **ძმობილი** ეწოდება როგორც ვაჟს, ასევე ქალსაც. მაგალიტები:

„არ გცხვენინანა, ბიჭო, რაად გაუწყერი შენს ძმობილს? აღარც სწვები მაგასთანა-დ, არც ჳმას სცემ“; „ძმობილი ქალი ხევსური ვაჟისთვის დაზე მეტად შესანახი და მოსარიდებელია“; „დღევანდელ სწორფერს როგორც ქალს, ისე ვაჟს მაშინ ეწოდებოდა „სანდაური ძმობილი“... (ნ. ბალიაური).



2. ხუნდ. **აბურ-აი** „დანიშნული ქალი“, „საცოლე“; **აბურ-აჟ** „საქმრო“, „სასიძო“.

III კლასის **-აბ** სუფიქსის დართვით გვექნება **აბურ-აბ** ფორმა, რომლის მნიშვნელობაცაა „ნათქვამი“, „თქმული“ (მაგ., აბურაბ რაჭი „ნათქვამი სიტყვა“). სამივე ეს ფორმა (აბურ-აი, აბურ-აჟ, აბურ-აბ) წარმოადგენს ნამყოს მიმღეობას ზმნისა **აბ-ი-ზე** „თქმა“.

მიმღეობის ეს ფორმები ხშირად მსაზღვრელად ერთვიან ხოლმე სათანადო არსებით სახელებს: **აბურაი მას** „დანიშნული ქალი“ (**მას** „გოგო“, „ქალიშვილი“), **აბურ-აჟ ჟას** „სასიძო ვაჟი“ (**ჟას** „ბიჭი“, „ვაჟი“). **აბიზე** („თქმა“) ზმნა ქმნის მყარ ფრაზეოლოგიურ შესიტყვებასაც: **მას აბიზე** „ქალის დანიშვნა“, ოღონდ არ გვხვდება ასეთივე შესიტყვება **ჟას** („ბიჭი“, „ვაჟი“) კომპონენტის მონაწილეობით (არ ითქმის ჟას აბიზე) მიუხედავად იმისა, რომ თვითონ **აბურ-აჟ** („საქმრო“, „სასიძო“) მიმღეობაც იმავე **აბიზე** („თქმა“) ზმნისგან მომდინარეობს, რომლისგანაც მიღებულია **აბურ-აი** („დანიშნული ქალი“, „საცოლე“).

ამრიგად, ხუნძურ ენაში **აბიზე** („თქმა“) ზმნას, თუ იგი ფრაზეოლოგიურად შეკავშირებულია **მას** („გოგო“, „ქალიშვილი“) სახელთან, უჩნდება კონოტაცია „დანიშვნა“. შესაბამისად, „დანიშნული ადამიანის“ აღმნიშვნელი სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: **აბურაი მას** „დანიშნული გოგო“, „საცოლე“, ზედმიწ. „ნათქვამი გოგო“ = „მიცემად აღთქმული გოგო“ = „ნათქვამით შეპირებული გოგო“... ამას გვიმოწმებს დიალექტთა მონაცემებიც; მაგ., ანდალალური დიალექტის რულუხბულ კილოკავში ითქმის **რაჭი ბიცარაი მას** „დანიშნული გოგო“, ზედმიწ. „სიტყვა ნათქვამი გოგო“; ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში დანიშნულ ქალს ეწოდება **ტეზი ბიცარაი**, ზედმიწ. „მისაცემად ნათქვამი“; ამავე დიალექტის ტომურულ კილოკავში — **რაჭი ტურაი მას**, ზედმიწ. „სიტყვა მიცემული გოგო“ (მაგალითები მოყვანილია ფ. საიდოვას დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან).

ქართული ენის მონაცემებთან გარკვეულ სემანტიკურ სიახლოვეს ავლენენ ანწუხური დიალექტის ტოხური და ჭადაქოლოური კილოკავების მონაცემები იმ მხრივ, რომ „დანიშნული ქალის“ სახელწოდებას ამ კილოკავებში საფუძვლად უდევს „თხოვნის“ მნიშვნელო-

ბის გამომხატველი ზმნა — ტოხ. **ჰარზი**, ჭად. **ჰარჟი** (ლიტ. ჰარიზე „თხოვნა“); შდრ. ქართ. **ქალის თხოვნა, ცოლად ი-თხოვა, გა-თხოვ-ებ-ა...** ტოხურად „დანიშნულ ქალს“ ეწოდება **ჰარაჲ**, ზედმიწ. „ნათხოვნი“, ხოლო ჭადაქოლოურად — **ჰარაჲ დაშა**, ზედმიწ. „ნათხოვნი გოგო“ (ასეა ფ. საიდოვას ლექსიკონში; ხოლო კახეთში, სოფ. თივში მოსახლე ანწუხელთა ტოხურ მეტყველებაში დასტურდება შესიტყვება **ჰარინ დას** „დანიშნული გოგო“, „საცოლე“, რომელშიც **ჰარინა** წარმოადგენს „თხოვნის“ აღმნიშვნელი **ჰარზი** ზმნის აწმყოს მიმღეობის ფორმას).

ყლებურ ნარეგ კილოში ყურადღებას იქცევს სიტყვა **მალჰურაჲ** „დანიშნული ქალი“, „საცოლე“; აქ უკვე სხვა ზმნა გვევლინება ამოსავლად — **მალჰ-ლე** (ლიტ. მალჰ-ი-ზე), რომლის მნიშვნელობაც სალიტერატურო ხუნძურსა და დიალექტთა დიდ ნაწილში არის „სწავლა“, „დასწავლა“, „მისწავლება (მაგ., გზის)“. სემანტიკური გადაწევა „თქმა“ ~ „სწავლა“ საინტერესოა იმითაც, რომ მოგვაგონებს ქართველურ ენათა ანალოგიურ მოვლენას; შდრ. ქართ. **ს-წავება, მოა-ს-წავება** (= „რალაცის შესახებ მეტყველებს“), ზან. **გ-უ-წი-ი** „გუთხარი“, **უ-წ-უ** „უთხარი“ (ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე).

3. ხუნძ. **მადაჯ ბოსიზე** „ყურადღების მიპყრობა“, „მხედველობაში მიღება“.

ამ ფრაზეოლოგიური შესიტყვების სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა არის „თავთან აღება“: მადა- „თავი“, მადა-ჯ „თავთან“, ბოს-ი-ზე „აღება“, „შეძენა“.

ქართულში გვაქვს გარკვეული თანხვედრის ხუნძურთან: **ყურადღება, ყურად ილო...**

4. ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში მოიპოვება „ლაპარაკის“ აღმნიშვნელი კლასნიშნის ზმნა, რომელშიც კლასისა და რიცხვის ნიშნები ინფიქსებადაა წარმოდგენილი: I კლ. **ჰუ-ჟ-ესაი**, II კლ. **ჰე-მ-ესაი**, III კლ. **ჰე-ბ-ესაი**, მრ. რ. **ჰე-რ-ესაი** „ლაპარაკი“.

სალიტერატურო ხუნძურში (resp. ჩრდილოურ ხუნძურში) დღეს გვხვდება მხოლოდ **ჰერესაი** ფორმა, რომელიც ოდენ ფორმოზრიგ ემთხვევა „ლაპარაკის“ აღმნიშვნელი ანწუხური ზმნის მრავლობითის ფორმას, ოღონდ სალიტერატურო ხუნძურის სიტყვაში წარმოდგენილი **-რ-** ელემენტი აქ რიცხის ნიშნის ფუნქციას აღარ ასრულებს,

არამედ ამჟამად უკვე გვევლინება განყენებული შინაარსის სუბსტანტივთა მაწარმოებელი აფიქსის ფუნქციით. ანწუხურის ფორმათაგან განსხვავებით, ლიტ. **ჰერესი** დღეს სულაც აღარ წარმოადგენს ზმნას; იგი აბსტრაქტული არსებითი სახელია და სემანტიკაც განსხვავებული აქვს — „ტყუილი“, „სიცრუე“.

შევადაროთ ქართულში: **ი-ტყუ-ის, მე-ტყუ-ელ-ი, სი-ტყუ-ა, ტყუ-ილ-ი.**

5. ხუნძ. **ასა-ყო** „კეთილშობილობა“, „გვარიშვილობა“.

საანალიზო სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს, რომლის პირველი კომპონენტი **ასა** დამოუკიდებელ სიტყვად ხმარებისას აღნიშნავს „ავტორიტეტს“, „ღირსებას“, „სოლიდურობას“, „პატივს“... მაგ., ასა ბუგუტუ ჩი „ავტორიტეტის მქონე კაცი“, „პატივსაცემი კაცი“, „ღირსეული კაცი“, „სახელიანი კაცი“...

კომპოზიტის მეორე შემადგენელ ნაწილად გვევლინება **ყო**, რომლის მნიშვნელობაც არის „დღე“.

სალიტერატურო ქართულში ანალოგის დაძებნა ძნელია, სამაგიეროდ ხევესურულს მოეპოვება ერთობ საყურადღებო სიტყვა — **დღიანი**, რომლის განმარტებაცაა „მოსაწონი, სახელიანი, კარგი ავტორიტეტის მქონე“ (ალ. ჭინჭარაული).

6. ბალიაური წერს: „ხევესურეთში სიტყვა „დღიანი“ ორ შემთხვევაში იხმარება: ქალ-ვაჟობის დროს (ე. ი. სწორფრულ ურთიერთობაში — ლ. ა.) ან მხოლოდ დაკაცებულ მამაკაცზე (40-50 წლის). თუ იგი კარგი კაცია, მის სიტყვას ვაგლენა აქვს მის გარშემო მყოფ ხალხზე, მისი სიტყვა მოსწონს უმრავლესობას. როდესაც იტყვიან: „იმ კაცს სიტყვა უჭდებოდა, ხალხში დღე ხქონდა, ის კაცი თავისას გაიტანს“-ო, იგი ძალით კი არ აწონებს ხალხს თავის სიტყვას, მის ძალასა და აზრს, არამედ თვით ხალხს მოსწონს. მისი სიტყვა შეიძლება სხვის სიტყვაზე ნაკლები იყოს, მაგრამ ხალხს მაინც ის მოსწონდეს. ასევე იტყვიან ქალ-ვაჟზედაც, მაგ., ის ქალი ძალიან დღიანია. შეიძლება არ იყოს ლამაზი არც ქალი, არც ვაჟი, მაგრამ დღიანი იყოს. დღიანობა ქალს შერჩება მხოლოდ გათხოვებამდე. გათხოვების შემდეგ შეიძლება საოჯახოდ არც კი გამოდგეს. ასევე ვაჟი: შეიძლება იგი როგორც ვაჟკაცი, დიდი არაფერი იყოს, მაგრამ ქალეზი მაინც დღიანად თვლიდნენ“.

6. ხუნდ. **ღარინ** „საწყალი“, „საბრალო“, „ბეჩავი“, „უმწეო“.

ხუნძურში გავრცელებულია მიმართვის ფორმა **მა ღარინ**, რომელსაც პ. უსლარი თარგმნის ამგვარად: „**эй, сердечный!**“ იგი აღნიშნავს, რომ, ჩვეულებრივ, ასე მიმართავენ ხუნძები ერთმანეთსო.

აქ, ცხადია, გაგვახსენდება მიმართვის ანალოგიური ფორმა ქართულში **ბეჩა** (← ბედ შავი). ქართულის მსგავსად, მიმართვად გამოყენებისას, **ღარინ** ხუნძურში კარგავს ამოსავალ მნიშვნელობას და სიტყვის მასალადა რჩება მისგან; მაგ., შიჟუ, ღარინ, ჰეჟუ ღურ როსჷ „ვინ არის, ბეჩა, ეგ შენი ქმარი?“, ჰელჷჷ ბალაჷჷზე ბეჷჷლარიჷჷ, ღარინ „მას რომ შეგხედო არ შეიძლება, ბეჩა?“ (ზღაპრებიდან).

7. ხუნდ. **ბიჷაჷაჷ** „ადვილი“, „იოლი“.

ეს ატრიბუტივი რამდენადმე განსხვავებულ სემანტიკას იძენს, თუ ადამიანის მსაზღვრელად არის გამოყენებული. ამასთან ერთად, სემანტიკის სხვაობა იმაზეც არის დამოკიდებული, მამაკაცის მსაზღვრელადა იგი ხმარებული თუ ქალის. მამაკაცის აღმნიშვნელ სახელთან ამ ატრიბუტივის მნიშვნელობა იქნება „დამყოლი“, „დამჭერი“; მაგ., **ბიჷაჷაჷჷ ჩი** „დამყოლი კაცი“, „ხათრიანი კაცი“; მაგრამ ქალის მსაზღვრელად გამოყენებისას იგივე ატრიბუტივი სხვაგვარ მნიშვნელობას შეიძენს: **ბიჷაჷაჷჷ ჷუჷჷჷ** „მსუბუქი ყოფაქცევის ქალი“. ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ პ. უსლარს თავის ხუნძურ სიტყვათკრებულში.

სალიტერატურო ქართულში გამოყენებული „მსუბუქი ყოფაქცევის ქალი“ რუსულის კალკი ჩანს (**женщина лёгкого поведения**), რასაც ვერ ვიტყვით ხევსურულში არსებული **ზუბუქი** სიტყვის შესახებ. მოიპოვება მისგან წარმოებული ზმნაც — **გაზუბუქება** „ნამუსის, პატივის ახდა“ (თ. ოჩიაურის განმარტებით), ან „სახელის გატეხვა ვისთვისმე“, „ვინმეს შერცხვენა“, „თავის მოჷრა ვისთვისმე“. **ზუბუქი** ეწოდება ადამიანს, რომელიც უწესობას და სამარცხვინო საქციელს ჩადის, უზნეოდ იქცევა. ხევსურულში იგი გამოიყენება სალანძღავ ეპითეტად, როდესაც ვინმეს ზნეობას და საქციელს უწუნებენ, სულ ერთია ქალი იქნება თუ მამაკაცი. მაგალითები:

„თვალთ არვინ გვენახვივას აქ, მაგ საქმეზე მოსული მაგ მამისაი, ან სხვა არვინ წამალალან მაგ ზუბუქთ მაგათ! თავ დაანებან; ჩვენ ქალს მაგას არ მივსცემთ, როგორც წუნკალა ძალღს არ მი-

გსცემთ!"; "თავს რადარ დაანებებთ იმ ქალს. შენ შვილ ვერ იცო-  
ლებს, გაგიზუბუქებს შვილს"; „რადარ შენა სატირლად მაველი, მა-  
ნამდი ქმრისგან გაზუბუქებულს განახავდი-დ გაგიგონებდი!“... (ნ. ბა-  
ლიაური).

**ზუბუქი**-ს ანტონიმად ხევსურულში გვევლინება **მძიმე**, რომე-  
ლიც, საპირისპიროდ, შეიცავს „ზნეობრიობის“, „წესიერების“, „თავ-  
დაჭერილობის“, „ღირსეულობის“, „პატიოსნების“ და ა. შ. კონოტა-  
ციებს. მაგალითები:

„ქალ მძიმედ უნდა იყვას“; „ქალ-ზლის ტირილი ამძიმებს  
მკვდარს“ (ე. ი. „აპატიოსნებს მიცვალებულს“ — ლ. ა.); „ეგ ცოლ  
დასვ მძიმედ, თორე ეგ კუდს გამაიბამსა-დ, ჩვენ სირცხვილს და-  
გვდებს“; „გირჩევ, რომ მძიმედ ეგდ შენ საჯდომზე... თუ ჭკვიანად არ  
ეგდები, წიხლს გკრავა-დ აისრ გაგავდებ!“... (ნ. ბალიაური).

ანტონიმია „მსუბუქი“ — „მძიმე“ ერთ საგულისხმო ფაქტსაც  
წარმოაჩენს: სალიტერატურო ქართულში ეს დაპირისპირება ეხება,  
ძირითადად და მეტწილად, ფიზიკურ წონას, ხოლო ხევსურულში  
ადამიანის ზნეობის მახასიათებელი კონოტაციითაც გვევლინება.

8. ხუნდ. **კემერ ბოწი** „საქონელი“, „მსხვილი რქოსანი პირუ-  
ტყვი“; ზედმიწ. „შავი საქონელი“.

საინტერესოა, თუ რატომ გაჩნდა **ბოწი** („საქონელი“, „პირუ-  
ტყვი“) სიტყვის მსაზღვრელად ატრიბუტივი **კემერ-** („შავი“).

საქმე ისაა, რომ მსხვილი რქოსანი პირუტყვი ხუნძურმა ენამ  
სწორედ ამ ნიშნით („შავი“) შეუპირისპირა სხვა შინაურ პირუტყვს  
— ცხვარს (ე. ი. „თეთრს“) იმისდა მიუხედავად, რომ თვითონ სი-  
ტყვა „ცხვარი“ (ხუნდ. ჭი) ხუნძურში არ გამოიყენებს მსაზღვრელად  
„თეთრის“ აღმნიშვნელ ატრიბუტივს (ხუნდ. ვაჰაბ). სხვაგვარად რომ  
ვთქვათ, „შავი“ მარკირებული აღმოჩნდა ენობრივად, ხოლო „თეთ-  
რი“ — არა.

ქართულში ცნობილი ტერმინი **მსხვილფეხა პირუტყვი** ხელოვ-  
ნურად არის დამკვიდრებული, უფრო ადრე არსებული და ქართუ-  
ლისათვის ორგანული **წვრილფეხა, წვრილფეხობა** სიტყვების ანა-  
ლოგიით. კრებითი შინაარსის სიტყვა **წვრილფეხობა** გულისხმობს  
ისეთ არსებებს, როგორიცაა ცხვარი, თხა, ღორი, შინაური ფრინვე-  
ლები და ა. შ. ამავე სიტყვით აღინიშნება ხოლმე ბავშვების სიმრავ-

ლევ (ითქმის უფრო „ლაწირაკის“ მნიშვნელობით).

9. ხუნძურ ფოლკლორში ადამიანის სილამაზის გამომხატველ ერთ-ერთ ეპითეტს წარმოადგენს ასეთი შედარება: **შოყრობე უნებ ლინ ბინ ულა** „ყელში ჩამდინარი წყალი ჩანს“; ერთ-ერთ დიალექტურ პოეტურ ტექსტში გვხვდება ამგვარადაც: **ხაჰაბ შუშინუსა ოლებ ლინ შადინ, შოყრონისა ოლებ ქუენ-ყელ ბინ ულა**, ზედმიწ. „როგორც თეთრი [ე. ი. გამჭვირვალე] ჭურჭლიდან [ჩანს] ჩამავალი წყალი, [ისე] მისი ყელიდან ჩამავალი საჭმელ-სასმელი ჩანს“ (სიმღერიდან).

ზუსტი ანალოგი დასტურდება ხევსურულში: ნ. ბალიაურის ცნობით, „თუ ქალს თეთრი ყელი აქვს, იტყვიან: **„ისეთ ლამაზ ქალ იყვ, რო ყელ ყურ შუქთ უშობდ“**. ან **„იმის ყელში ჩამდინარ წყალს დანახევდ კაცი“** (ხაზგასმა ჩემია — ლ. ა.).

ამ სახის მასალა უფრო მეტია დასაძებნი. ქართული და კავკასიის სხვა ხალხთა ფოლკლორული ტექსტების სემანტიკის შედარებით-შეპირისპირებითმა ანალიზმა კულტუროლოგიურად მნიშვნელოვანი და საინტერესო მრავალი ფაქტი უნდა გამოავლინოს. სამწუხაროდ, ამ ტიპის მასალა, ლინგვისტური თვალსაზრისით, არა თუ სისტემურად გამოკვლეული, აღწერილიც კი არ არის სათანადოდ.

ბოლოს კი ერთ ქართულ-ხუნძურ პარალელსაც მივაპყროთ ყურადღება: გავიხსენოთ საბას ცნობილი იგავ-არაკი „ნალბანდი მგელი“ თავისი დაბოლოებით:

„მგელმან თქვა: მამაჩემი ხარაზი იყო და მე ნალბანდობას რა მრჯიდაო?“

ხუნძებს აქვთ ანალოგიური შინაარსის ხალხური ზღაპარი „ბებერი მგლის სიმღერა“; რაც განსაკუთრებით საინტერესოა, მგლის სინანული აქაც სწორედ რიტორიკული კითხვით არის გადმოცემული:

|                       |                             |
|-----------------------|-----------------------------|
| ოცოდა უბაჩ ბაზე,      | „ხარს რომ შუბლზე ვკოცნიდი,  |
| მატაღდად დუნ ბუკარაბ? | სიღედრი ვიყავი?             |
| ჩოდა ტიყუბაბი ჭუაზე,  | ცხენს რომ ნალებს ვაკრავდი,  |
| ყებედდად დუნ ბუკარაბ? | მჭედელი ვიყავი?             |
| ჰამაგუნ ქექ აჰიზე,    | ვირთან ერთად რომ შემოვძახე, |
| ქოჭოჯანდად ბუკარაბ?   | მომღერალი ვიყავი?“          |

დიანა ანფიმიადი, მაია ბარიხაშვილი,  
ელენე ნაპირელი

## მიმღეობის საკითხისათვის ქართული დიალექტური კორპუსის ინგილოურ ლექსიკონში

საკითხი, რომლის დამუშავებასაც მოხსენება ეძღვნება, ქართული დიალექტური კორპუსის ინგილოური ლექსიკონის დამუშავებისას გააქტიურდა.

ინგილოურის ონლაინლექსიკონი ეყრდნობა როგნედა ღამბაშიძის „ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონს“, მაგრამ მისი ზუსტი ასლი არ არის — კორპუსის აგების პრინციპიდან გამომდინარე, მომხმარებლისათვის მოხერხებული და სისტემატიზირებული რესურსის შექმნის მიზნით, მასში გარკვეული ცვლილებები შევიდა, შესაბამისად, საინტერესო სამეცნიერო პრობლემების მთელი რიგი გამოიკვეთა.

ამჯერად მიმღეობის საკითხზე შევჩერდებით. საქმე ის არის, რომ ბეჭდურ გამოცემაში ლემების მარკირების ერთი პრინციპი არ არის გატარებული. მიმღეობა ზოგჯერ ცალკე სტატიად არის გატანილი, უფრო ხშირად კი მასდარის ბუდეშია შეტანილი.

ქართული ენის ინგილოურ დიალექტში მიმღეობის წარმოების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

აღნიშნულია, რომ სხვადასხვა გვარის მიმღეობა **ნა-** პრეფიქსითაა ნაწარმოები. ამგვარად ნაწარმოებ მიმღეობის ფორმებს წინადადებაში გარკვეული სინტაქსური ფუნქცია ენიჭება. მაგ.: მიწა **და-ნასმენმა** უთხრა („მიწის მსმენელმა“ — კაკ.); მიწა **დანასმენი** მიწას უსმენავს („მიწის მსმენელი მიწას უსმენს“ — ალიაბათ.) და სხვა (რ. ღამბაშიძე, გრ. იმნაიშვილი).

ონლაინლექსიკონზე მუშაობისას გატარებულია ერთი პრინციპი: მიმღეობები გაერთიანებულია მასდარის ბუდეში, როგორც გრამატიკული ვარიაციები, ხოლო დიფერენცირებული მნიშვნელობები გავიტანეთ საილუსტრაციო ველში: მოხსენებაში დეტალურად განვიხილავთ მიმღეობის წარმოდგენის სურათს ონლაინლექსიკონში და ბეჭდურ წყაროსთან მიმართების საკითხებს.

# ავთანდილ არაბული, თამარ ვაშაკიძე, თეა ბურჭულაძე

## აბრევიატურების ფორმაწარმოების საკითხები

1. აბრევიატურათა ბრუნვის ნიშნებითა თუ თანდებულებით გაფორმების მოსაწესრიგებლად გასათვალისწინებელია შემოკლებულ სახელწოდებათა რამდენიმე ტიპი:

ა) აბრევიატურაც და შედგენილი სახელწოდებაც (იგულისხმება შედგენილი სახელწოდების ბოლო სიტყვა) თანხმოვანფუძიანია: **ააიბ**-ი — არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული **პირ**-ი; **სად**-ი — სასჯელაღსრულების **დებარტამენტ**-ი; **სდსს**-ი — სახელმწიფო დაცვის სპეციალური **სამსახურ**-ი და სხვ. აღნიშნული ტიპის აბრევიატურები უნდა ვაბრუნოთ ისე, როგორც უკუმშველი თანხმოვანფუძიანი სახელები. ზოგი აბრევიატურა მრავლობითი რიცხვის ფორმებითაც გამოიყენება (მაგ., **ააბ**-ი, **ააიბ**-მა, **ააიბ**-ს...; ააიპ-ებ-ი, ააიპ-ებ-მა...; ააიპ-ში, ააიპ-ზე, ააიპ-იდან...);

ბ) აბრევიატურაც და შედგენილი სახელწოდებაც ხმოვანფუძიანია: **საია** — საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა **ასოციაცია**; **უდო** (УДО) — პირობით ვადამდე განთავისუფლება... ამ შემთხვევაში აბრევიატურები იბრუნვის ისე, როგორც უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელები (საია, საია-მ, საია-ს...; საია-ში, საია-სთან, საია-დან...);

გ) აბრევიატურა თანხმოვანფუძიანია, შედგენილი სახელწოდება — ხმოვანფუძიანი: **სეს**-ი — სურსათის ეროვნული **სააგენტო**... აღნიშნული ტიპის შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს თავად შემოკლებული სიტყვის ფუძეს (ბოლო ასო-ბგერას). მაშასადამე, დასახლებული აბრევიატურები იბრუნვის ისე, როგორც უკუმშველი თანხმოვანფუძიანი სახელები (სეს-ი, სეს-მა, სეს-ს...; სეს-ში, სეს-ზე, სეს-თან, სეს-იდან, სეს-ამდე...);

დ) აბრევიატურა ხმოვანფუძიანია, შედგენილი სახელწოდება — თანხმოვანფუძიანი: **თსუ** — თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტი**-ი... აქაც გასათვალისწინებელი იქნება თვით აბრევიატურის ფუძე (ბოლო ასო-ბგერა), მაშასადამე, შემოკლებული სახელწოდება უნდა ვაბრუნოთ ისე, როგორც უკვეცელი ხმოვანფუძიანი სახელი (თსუ,



თსუ-მ, თსუ-ს...; თსუ-ში, თსუ-დან...);

ე) უცხოური აბრევიატურები შეიძლება გადმოიცეს როგორც a) ლათინური სახელწოდებების ქართული გახმოვანებით (**იუნისეფი** — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ფონდი, **თიბისი** — თბილისის ბიზნესცენტრი...), ისე — b) ლათინური ასო-ბგერებით (UNICEF — United Nations International Children's Emergency Fund...). თანხმოვან- და ხმოვანფუძიანი ვარიანტები, ბუნებრივია, ამ შემთხვევაშიც გამოიყოფა. თანხმოვანფუძიანი: **იუნისეფი**, **იუნისეფ-მა**, **იუნისეფ-ს...**; **იუნისეფ-ში**, **იუნისეფ-ზე**, **იუნისეფ-იდან**; ხმოვანფუძიანი: **თიბისი**, **თიბისი-მ**, **თიბისი-ს...**; **თიბისი-ში**, **თიბისი-დან...** (ი ხმოვანი აქ ფუძისეულია აბრევიატურის ბოლო ასო-ბგერის გახმოვანების გათვალისწინებით: C — სი). შესაბამისად, თანხმოვანფუძიანი იქნება UNICEF-იც (UNICEF-ი, UNICEF-მა, UNICEF-ს...; UNICEF-ში, UNICEF-ზე...), ხოლო TBC — ხმოვანფუძიანი (TBC, TBC-მ, TBC-ს...; TBC-ში, TBC-დან...).

ვ) ცალკე ჯგუფს ქმნის იმ ტიპის აბრევიატურები, როცა შემოკლებულია ორსიტყვიანი სახელწოდების მხოლოდ პირველი კომპონენტი (**სტუდსაბჭო**, **სტუდსაბჭო-მ**, **სტუდსაბჭო-ს...**; **სტუდსაბჭო-ში**, **სტუდსაბჭო-დან**) ან სამსიტყვიანისა — პირველი და მეორე (**ყაზტრანსგაზ-ი**, **ყაზტრანსგაზ-მა**, **ყაზტრანსგაზ-ს...**; **ყაზტრანსგაზ-ში**, **ყაზტრანსგაზ-იდან...**);

ზ) გამოიყოფა აგრეთვე ისეთი აბრევიატურები, რომლებიც (წინა ტიპის მსგავსად) ფაქტობრივ დამოუკიდებელ სიტყვებად დამკვიდრდა (მათი შედგენილობის გააზრება აღარ ხდება). მაგ., **ეუთო** — ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ბუნებრივია, იბრუნვის როგორც ხმოვანფუძიანი: **ეუთო**, **ეუთო-მ**, **ეუთო-ს...**; **ეუთო-ში**, **ეუთო-დან...**). ასეთივეა: **ცესკო** (= ცენტრალური საარჩევნო კომისია), **ნატო** (= ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) და სხვ.

თ) ფუძეგახმოვანებულ აბრევიატურებს ბრუნვის ნიშნები და თანდებულები დეფისით არ გამოეყოფა (ზემოთ ყველა ტიპის აბრევიატურა დაშლილადაა წარმოდგენილი ფუძის ნათლად წარმოჩენის გამო): საიამ, საიამი...; სესმა, სესიდან...; უდომ, უდოზე...; ეუთომ, ეუთოში, ეუთოდან...; ცესკო, ცესკომ, ცესკოში... რაც შეეხება გაუხ-

მოვანებელფუძიან შემოკლებულ სიტყვებსა (სდსს — სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური) და ლათინური ასო-ბგერებით წარმოდგენილ აბრევიატურებს (NATO — North Atlantic Treaty Organization...), აქ დეფისის მოხმობა აუცილებელია (NATO-მ, NATO-ში...; სდსს-მ, სდსს-ს, სდსს-ში...);

მაშასადამე, მოქმედი აბრევიატურის ფორმაწარმოებისას შედგენილი სახელწოდების ბოლოს სიტყვის ფუძეს არა აქვს მნიშვნელობა. აბრევიატურა თავად ქმნის ფუძეს — ხმოვნითს ან თანხმოვნითს. მისი ფორმაწარმოებაც ამას ეფუძნება, კვეცისა და კუმშვის გამოორიცხვით (ზოგი გამონაკლისის გარდა, როცა აბრევიატურა დამოუკიდებელ სიტყვად აღიქმება, მაგ., **ელფოსტა — ელფოსტის, თემქა — თემქის, მეღდა — მეღდის, ექთანი — ექთნის**).

## ნ ო დ ა რ   ა რ დ ო ტ ე ლ ი

### **მეორე გრამატიკული კლასის წარმომავლობისათვის ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში<sup>1</sup>**

1. სპეციალურ ლიტერატურაში წარმოდგენილი მოსაზრებების გათვალისწინებითა და დამატებითი ენობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენათა ერთიანობის ხანისათვის რეკონსტრუირდება გრამატიკული კლასის კატეგორიის ოთხკლასიანი სისტემა (შდრ. დიუმეზილი 1933 : 29; 2015 : 45; ტრუბეცკოი 1964 : 340):

| მხ. რ.  |           | მრ. რ.    |
|---------|-----------|-----------|
| I კლ.   | <b>*ჟ</b> | <b>*ჟ</b> |
| II კლ.  | <b>*ღ</b> | <b>*ღ</b> |
| III კლ. | <b>*ბ</b> | <b>*ბ</b> |
| IV კლ.  | <b>*რ</b> | <b>*რ</b> |

---

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: № 31/45).

საკვლევ ენათა დაშლის წინა პერიოდისათვის IV კლასის ნიშნად დ-ს აღდგენა არარეალური ჩანს, რადგანაც საყოველთაოდ გაზიარებული **დ > რ** (ანდლულაძე 1968 : 45; თოფურია 2003 : 20...) შეიძლება მომხდარიყო იმ ენობრივ ერთეულში, რომელიც საფუძვლად დაედო ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ფუძეენას. სწორედ **რ** (< \*დ) კლასის ექსპონენტისა და საერთო-დადესტური \***რ**-ს ფუძეენის დროინდელი თანხედენით ჩანს გამოწვეული სიტყვაფორმათა ანლაუტში **რ**-ს შესატყვისობის მწყობრი, კანონზომიერი და რეგულარული პარადიგმა, რომელშიც „... ყოველგვარი გამონაკლისი ეჭვს იწვევს“ (გუდავა 1979 : 58).

2. თავდაპირველად II გრამატიკული კლასის გენეზისის შესახებ წამოყენებულ იქნა ორი ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი: 1) ივ. ჯავახიშვილი „მდებრობითი სქესის“ (ქალის კლასის) თავდაპირველ ნიშნად **მ**-ს მიიჩნევს და IV კლასთან მის ისტორიულ კავშირს უგულებელყოფს (ჯავახიშვილი 1992 : 255); 2) არნ. ჩიქობავა II კლასის გენეზისს IV კლასის ბიფურკაციით ხსნის, რასაც ასაბუთებს: ა) II და IV კლას-ნიშანთა ფორმოზირივი სიახლოვით ან თანხედენით; ბ) ხუნძური ბრუნების გარკვეული ფაქტებით; გ) ქართველურ ენათა მონაცემებით (ჩიქობავა 2013 : 375-378). ამ ორმა ურთიერთგამომრიცხავმა მოსაზრებამ მომდევნო პერიოდის კავკასიოლოგიაში სხვადასხვაგვარი თეორიები წარმოშვა (იხ. თოფურია 2003 : 16-23).

3. ჩვენი დაკვირვებით, ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ და ნახურ ენათა მონაცემები IV კლასისაგან II კლასის წარმომავლობის ვარაუდს მხარს არ უჭერს. მართალია, დიდოურ და ნახურ ენათა სინამდვილეში II კლასი აერთიანებს უგონო ცოცხალ არსებათა, ნივთთა და მოვლენათა ერთი რიგის სახელებს (ხვარშ. ლ'ილე „ბატკანი“,  $\text{p}^{\text{h}}$  „კარი“, ზებუ „დღე“...; ჩეჩნ. გოურ „ცხენი“, ჩა „დათვი“, ბუორზ „მგელი“, ხა<sup>n</sup> „დრო“...). როგორც ზემომოყვანილი მაგალითები ცხადყოფენ, II კლასში არის გადმოგუფებული უგონო ცოცხალ არსებათა, ნივთთა და მოვლენათა არა მარტო IV კლასის, არამედ III კლასის სახელებიც, რაც არნ. ჩიქობავას მოსაზრების დაზუსტებას მოითხოვს.

4. არათანამიმდევრული ჩანს ამ საკითხის გადაწყვეტა საკვლევ ენათა ბრუნების მიხედვითაც. მართალია, გრამატიკულ კლასთა გა-

რჩევა სახელთა ბრუნებაში ხელშესახებია არა მარტო ხუნძურში, არამედ ანდიურ-დიდოურ ენებშიც, მაგრამ სახელებში კლასთა განმასხვავებელი ატრიბუტული ბრუნების ჩამოყალიბება II კლასის ფორმირების ხანასთან შედარებით გვიანდელი მოვლენაა. რაც შეეხება II კლასის გენეზისის გასარკვევად ქართველურ ენათა ჩვენების გათვალისწინებას, ამ ენათა სინამდვილეში II კლასის ეკვივალენტური ნიშანი (ა) არ ჩანს, თუმცა არც ნივთთა კლასების (III, IV) გარჩევის დამადასტურებელი მონაცემებია წარმოდგენილი. იმ შორეულ წარსულში, როცა ივარაუდება იბერიულ-კავკასიური ფუძეენისაგან ქართველური ფუძეენის გამოყოფა, შესაძლოა პროგრესული ორკლასიანი სისტემა არსებობდა და გონიერ სულიერ არსებათა კლასი ჯერ კიდევ არ იყო დიფერენცირებული.

5. ირკვევა, რომ **ღ** კლას-ნიშნისაგან მომდინარე **ღ** (**ღ < რ < ღ**) და საერთო-დადესტნური **ღ** სხვადასხვა წარმომავლობისანი არიან (თოფურია 2003 : 22). ამგვარი ინტერპრეტაციის სისწორეს, ფონემათმესატყვისობათა კანონზომიერების გარდა, ერთგვარად განამტკიცებს ჭამალურ და ბეჟიტურ ენათა მონაცემები, რომელთა გათვალისწინებით ცალკეული დიალექტები (*resp.* თქმები) **ღ** სონანტს (**რ > ღ**) გვიჩვენებენ. ეს, ცხადია, არის გვიანდელი პროცესის შედეგი ისევე, როგორც ხვარშიულში **რ** კლას-ნიშნის ტრანსფორმაცია (**რ > ლ**).

ჩვენი აზრით, ნივთის კლასის სახელთა გადაჯგუფება II კლასში აშკარად მეორეული მოვლენაა, რაც ამ კლასში შემავალ გონიერ არსებათა (ქალი და მისთ.) საზოგადოებრივი ღირებულებისა და როლის მკვეთრ გაუარესებას უნდა მოჰყოლოდა; ამ მოვლენებს უნდა მოეხდინა ქალისა და ნივთის კლასებში თავმოყრილ სახელთა ერთგვარი სემანტიკური ნიველირება. ამგვარი პროცესების მასტიმულირებელი ფაქტორი უნდა ყოფილიყო აბსტრაქტული აზროვნების განვითარების პროცესი, რაც საბოლოოდ კლასთა შემცირებისა და მთლიანად მოშლის წინაპირობაა.

## ლია ბაკურაძე

### **ფერეიდნული მასალის ბექდური წყაროების დიალექტური კორპუსისათვის მომზადების პრინციპები**

ქართულ დიალექტურ კორპუსში ინტეგრირებისას ბექდური ტექსტები მნიშვნელოვან რედაქციას გადის.

კორპუსის მოთხოვნები, უნიფიცირებისა და ანოტირების პრინციპების გათვალისწინება ტექსტის რედაქტირებისას მოითხოვს რიგი ცვლილებების შეტანას. ეს ცვლილებები ეხება როგორც ტექსტის ტექნიკურ გამართვას, ისე მის ენობრივ მხარეს.

გამოცემულ ფერეიდნულ ტექსტებში არაერთგვაროვანი სურათია: დარეჯან ჩხუბიანიშვილის, თედო უთურგაიძისა და ჯემშიდ გუნაშვილის ტექსტები განსხვავდება მაგალი თოდუასა და მია მაჭავარიანის ტექსტებისგან რიგი თავისებურებებით; ასეთივე სხვაობაა ქართულ დიალექტოლოგიაში დაბეჭდილ არნ. ჩიქობავას მიერ ჩაწერილ ტექსტებთან.

ყოველივე ამის გათვალისწინებით გარკვეული სამუშაოა ჩასატარებელი:

#### **ა. ტექსტის ტექნიკური გამართვა**

მარკირებულია ტექსტში მოცემული მეტამონაცემები:

- მთქმელის გვარი და სახელი, დამატებითი ინფორმაცია მის შესახებ;
- სათაური და ნუმერაცია
- ჩამწერის შეკითხვა, რეპლიკა, კომენტარი
- გაწყვეტილი სიტყვა
- სპარსულად ნათქვამი ფრაზები თავისი ქართული თარგმანით.

ამ ტიპის ინფორმაცია მნიშვნელოვანია ტექსტის ინტერდისციპლინური გამოყენების პოტენციალის თვალსაზრისით, მაგრამ ის არ უნდა მოხვდეს საერთო კონკორდანსში, ამიტომ საჭიროა მისი მარკირება: მსგავსი ტიპის ინფორმაცია ექცევა კვადრატულ ფრჩილებში. ამ ცვლილებების გათვალისწინება თავიდან ააცილებს ოპერატორს

ტექსტის ანოტირებისას მეტამონაცემებისა და დიალექტური ფორმების ერთმანეთში აღრვის საფრთხეს.

ასევე მარკირებულია და კვადრატულ ფრჩხილებში ხვდება ყოველგვარი დამატებითი ინფორმაცია კონკრეტული სიტყვაფორმის შესახებ:

- ახალი ფორმა — თუ სიტყვა ახალი შესულია და არ ეკუთვნის დიალექტს.
- ფსევდოლიტერატურული ფორმა — თუ ესა თუ ის ფორმა კონკრეტული მთქმელის მიერ არის არასწორად შექმნილი სალიტერატურო ენის გავლენით (ხშირად ასეთი ფორმები შემდგომ მკვიდრდება და ვრცელდება მთელ კოლექტივში).
- იშვიათი ფორმა, რომელმაც შემდეგ ანალიზისას შეიძლება ეჭვი გააჩინოს — (ასეა!)
- რთულ შემთხვევებს ასევე ვუწერთ ანალიზს ან წარმომავლობას — ანოტირებისას ოპერატორს რომ გაუადვილდეს საქმე.
- იშვიათად არის სხვა ხასიათის კომენტარებიც.

### **ბ. ტექსტის ენობრივი მხარე**

გამოცემული ტექსტების ნაწილი ჩაწერილია ხელით ან მაგნიტურ მატარებელზე, ყოველგვარი ექსპერიმენტული კვლევის გარეშე, შესაბამისად, ფონეტიკური თავისებურებები სხვადასხვა ბეჭდურ გამოცემაში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი.

ამ ფაქტის გათვალისწინებითა და კორპუსში უნიფიცირებული ტექსტების ინტეგრირების მიზნით უარი ვთქვით:

- გრძელ ხმოვნებზე, რადგან ისინი ფერეიდნულ დიალექტში არ არის ფონოლოგიური ღირებულებისა: გრკეთებიაყე — გოოკეთებიაყე; დნტყობის — დეეტყობის. ეკალმხალარი — ეკამხალა არი.
- აპოსტროფებით აღნიშნულ ინტენსიურად წარმოთქმულ თანხმოვნებზე, რადგან ისინი მხოლოდ სპარსული მახვილის გავლენითაა: ას'წავლის — ასწავლის.

ბოლოხმოვნიანი სახელის ფუძეზე მეშველი ზმნის დართვისას იკარგება ა ხმოვანი: ოზო არი — ოზო'რი. მსგავსი შემთხვევები ზოგ გამოცემაში აპოსტროფის გარეშეა წარმოდგენილი — ოზოორი; ვფიქრობთ, ენკლიტიკური ფორმები ყველგან ერთგვარად უნდა იყოს

აღნიშნული აპოსტროფით: ოზო'რი.

მოვხსენით დეფისი იქ, სადაც ტექსტებში დეფისით იყო გამოყოფილი ნაწილაკები: ვიყიდითყე-ყე — ვიყიდითყე; მისაძ-ლა — მისაძლა.

ასეთივე არაერთგვაროვანია სასვენი ნიშნების გამოყენება გამოცემებში, განსაკუთრებით განკერძებულ გამოთქმებთან, პირდაპირ და ირიბ ნათქვამთან. ხშირი იყო სამი წერტილის გამოყენება ჩართულთანაც. კორპუსისთვის რედაქტირებულ ტექსტებში ეს სასვენი ნიშანი დარჩა მხოლოდ გაწყვეტილ, დაუსრულებელ ფრაზასთან, დანაჩენ შემთხვევებში კი სამი წერტილი შეიცვალა ტირეთი.

ერთგვაროვანი გახდა პირდაპირი და ირიბი ნათქვამის შემთხვევაში სასვენი ნიშნების გამოყენების წესებიც.

მსგავსი ტიპის შემთხვევები განხილული იქნება მოხსენებაში.

მსგავსი ცვლილებების შეტანა ტექსტებში განპირობებულია კორპუსში არსებული ტექსტების ერთგვაროვნობის დაცვის მოთხოვნით, რაც, თავის მხრივ, კორპუსზე დაყრდნობილი კვალიფიციური კვლევის წინაპირობაა.

## ცირა ბარამიძე

### **-ეტ/ -იტ/ -ედ სუფიქსიანი რედუბლიცირებული ძირები ქართულში**

ქართულში დასტურდება რიგი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებშიც გამოიყოფა ზმნური სუფიქსები, ხოლო ფუძის აგებულების შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს დავუშვათ, რომ ეს ძირ-ფუძეები რედუბლიკაციის შედეგად მიღებული ფორმის გაცვეთის შედეგია.

მოხსენებაში განხილულია ლექსიკური ერთეულები, რომელთა აგებულებაში მონაწილეს -ეტ/-იტ/-ედ სუფიქსები და რომლებიც უნდა მიჩნეულ იქნენ რედუბლიცირებულ ძირებად:

**წერწეტ-ი** (< \*წერ-წერ-ეტ-ი) ლექსემის სემანტიკური გადაწევა გვესახება ამგვარად: „წერა — როგორც ჭრა, კვეთა“ > წერწეტი „გამოჭრილი > გამოკვეთილი ტანით“.

**ღერღერედ-ი** (ძვ. ქართ.) > მეგრ. ღორღონჯ-ი < \*ღორ-ღორ-ო(ნ)ჯ-ი „ბატი“

**ჩერჩეტ-ი** < \*ჩერ-ჩერ-ეტ-ი

**ქერქეტ-ი** < \*ქერ-ქერ-ეტ-ი

**კერკეტ-ი** < \*კერ-კერ-ეტ-ი

თუ ცალკეულ ფუძეში ხერხდება -ეტ/-იტ/-ედ სუფიქსების გამოყოფა (მაგალითად: ხერ-ეტ-, ჩხვლ-ეტ-, წყვე-ეტ...), მაშინ ამ სუფიქსების გამოყოფა უფრო სარწმუნოა რედუბლიცირებულ ფუძეებში. წარმოების თვალსაზრისით იგი მეორეულია, მიღებულია. -ეტ შეიძლება გამოიყოს მონოკონსონანტური ზმნური ძირისგან მიღებულ სახელში: ხეტ-ი < \*ხ-ეტ-ი „განუსჯელად მოქმედი, წინდაუხედავი“ (მდრ. ხეტ-იალ-ი; ხეტის ამოსავალი სემანტიკა შეიძლება იყოს სვლა: ხ-ედ- < \*ჴ-ედ-).

ლ. სანიკიძე მიიჩნევს, რომ ამგვარ რედუბლიცირებულ ძირებში გვაქვს თანხმოვანთა მონაცვლეობა: ძირძიტ-ა „მუწუკი“; ცერცეტ-ი; ჩერჩეტ-ი; ჩურჩუტ-ი; ბერბეტ-ი „ჩერჩეტი“ (გურ.); კირკიტ-ი; კერკეტ-ი; ღირღიტ-ი; ყერყეტ-ი „სულელი“; „ჩურჩუტი“... ასევე ფიქრობს, რომ ბოლოკიდური **ღ** განმეორებისას გადადის **ტ**-ში: ძვ. ქართ. ღერღედ-ი „ბატი“, ღერღეტ-ი, გერგეტ-ი „გედი“ (ფიქრობ, რომ გედის მნიშვნელობა ამ ერთეულმა გვიან შეიძინა, ბატის ანალოგიით)...

**ჩერჩეტ-ი** (შესაძლებელია, ეტიმოლოგია უკავშირდებოდეს ჩერძირს (გაჩერება) — რევაზ აბაშიას ეტიმოლოგიით);

**ბერბეტ-ი** (უნდა უკავშირდებოდეს ბერ- ძირს „დაბერება“);

**კერკეტ-ი** (ის, რაც მაგარია, შეკრულია: კერ-/კარ-: შე-კერ-ვ-ა, შე-ვ-კარ, მდრ. კარ-ი).

ფიქრობ, რომ საანალიზო ლექსიკური ერთეულები უნდა დაიშალოს არა ამგვარად, მაგალითად: ბერ-ბეტ-ი, სადაც რ-ტ თანხმოვანთმონაცვლეობა გვაქვს; ჩვენი აზრით, მოხდა იდენტური ფუძის რედუბლიკაცია ზმნური სუფიქსის დართვისას და შემდეგ გამარტივდა ფუძე:

ბერბეტ-ი < \*ბერ-ბ-ეტ-ი < \*ბერ-ბერ-ეტ-ი

ცერცეტ-ი < \*ცერ-ც-ეტ-ი < \*ცერ-ცერ-ეტ-ი



ძირძიტ-ა < \*ძირ-ძ-იტ-ა < \*ძირ-ძირ-იტ-ა  
 კირკიტ-ი < \*კირ-კ-იტ-ი < \*კირ-კირ-იტ-ი  
 ღირღიტ-ი < \*ღირ-ღ-იტ-ი < \*ღირ-ღირ-იტ-ი  
 ყერყეტ-ი < \*ყერ-ყ-ეტ-ი < \*ყერ-ყერ-ეტ-ი

რიგ შემთხვევაში ცალკეულ ლექსიკურ ერთეულად შემონახულია ამოსავალი ძირ-ფუძე (ბერ-, ძირ-), უმეტეს შემთხვევაში კი ამგვარი რედუბლიცირებული ფუძეების ამოსავალი ძირ-ფუძის ეტიმოლოგია საძიებელია (მაგ., ისევე, როგორც ქართ. ლიცლიც-ი „წყლის ზედაპირის ანარეკლი“ ფუძის ამოსავალი მარტივი ფუძე შემოინახა სვანურმა: ლიც „წყალი“). -ეტ/-ედ სუფიქსები თავისუფლად მონაცვლეობენ ერთსა და იმავე რედუბლიცირებულ და მარტივ ფუძეებში, მაგალითად:

ჳერჳეტ-ო (< \*ჳერ-ჳერ-ეტ-ო) „პატარა ჳედა“ (საბა), „პატარა ხის ჩაქუჩი“, შდრ. ჳედ-ა (\*ჳე-ედ-ა) „ხის ურო“ (საბა).

**-ეტ/-იტ/-ედ** სუფიქსების შემცველი რედუბლიცირებული ფუძეების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამოსავალი უნდა ყოფილიყო აუსლაუტში სონორის შემცველი CVS ძირი, რომელთა შესატყვისები უნდა ვეძიოთ ზანურსა და სვანურში. მაგალითად, ქართ. წერ-, მეგრ. ჭარ-ლაზ. ჭარ-ნჭარ-, სვან. ლი-რ-ე „წერა“. წერ- ძირი დავადასტურეთ რედუბლიცირებულ ფუძეში **წერწეტ-ი** (< \*წერ-წერ-ეტ-ი).

ქართულმა ენამ რედუბლიკაციის დიდი გზა განვლო, რასაც ვერ ვიტყვით დანარჩენ ქართველურ ენებზე. ქართულში მრავალმხრივი რედუბლიკაციის ჩამოყალიბებას, შესაძლებელია, ხელი შეუწყო სამწერლობო ტრადიციამ და დიასისტემების სიმრავლემ, რაც შემდგომი კვლევის საგანია.

მარინა ბერიძე, ცივინო კვანტალიანი,  
მარინა კიკონიშვილი, ნარგიზა სურმავა

## **მორფოლოგიური ანალიზის პრობლემებისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში**

ქართული დიალექტური კორპუსის შექმნის მოცემულ ეტაპზე მიმდინარეობს მორფოლოგიური ანოტირებისა და გრამატიკული ომონიმიის დაძლევის პროცესი, სახელდობრ, გაანალიზებული ომონი-მური და არაომონიმური სიტყვანის ტესტირება, გასწორება და კონ-ტექსტებში შესაბამისი გრამატიკული მარკერების მინიჭება. სამუშა-ოს ეს ეტაპი არის ნახევრადავტომატური და ემსახურება არა მხო-ლოდ საბოლოო მიზანს — კორპუსის ლინგვისტურ ანოტირებას, არამედ მორფოლოგიური ანალიზის სისტემა **Geo Trans**-ის, და განსა-კუთრებით, მისი დიალექტური მოდულის სრულყოფას.

ტესტირების და საბოლოო გრამატიკული ანოტირების პროცესი წარმართება სპეციალური ინსტრუმენტით — ანოტირების რედაქ-ტორით.

რედაქტორში წინასწარ ატვირთულია გაანალიზებული სიტყვე-ბის სიები — არაომონიმური და ომონიმური.

მოკლედ აღვწერთ იმ ტიპურ პრობლემატიკას, რომლის დაძლე-ვაც უხდება მკვლევართა ჯგუფს ამ სამუშაოს შესრულებისას.

ყველაზე მეტი შეცდომა **ლემატიზაციის** საფეხურზე შეინიშნება. შეცდომები სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული: სალიტერატურო მორფოლოგიურ ლექსიკონში გამორჩენილია შესაბამისი ლექსიკური ერთეული, სალიტერატურო ენის ანალიზატორი შეცდომით ახდენს დიალექტური ფორმის იდენტიფიცირებას სალიტერატურო ფორმას-თან, სალიტერატურო ანალიზატორის ლემატიზაციის კონცეფცია არ თანხვდება დიალექტურისას და ა. შ.

არის საკითხები, რომელთა სისტემური შესწავლის გარეშე გრა-მატიკული ომონიმიის დაძლევის პროცესში პრობლემები წარმოიქ-მნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ტრანსლაციის შე-დეგად გაჩენილი გრამატიკული ომონიმია, როცა ერთი ფორმა შეიძ-ლება სხვადასხვა მეტყველების ნაწილად კვალიფიცირდეს. რთული

ეთარება სახელმწიფოს ანალიზისას და ა. შ.

მოხსენებაში განვიხილავთ მუშაობის პროცესში მიღებულ ზოგიერთ გადაწყვეტილებას, აგრეთვე, ომონიმური მარკირების ახლად გამოვლენილ წესებს, რომლებიც, სასურველია, გათვალისწინებულ იქნეს მორფოლოგიური ანალიზატორის დიალექტურ მოდულში.

ომონიმის ასეთი გზით დაძლევა დიალექტურ ტექსტებში დამოწმებული ყველა სიტყვის ტრანსლაციის (ტრანსპოზიციის) გამოვლენისა და კვლევის საშუალებას მოგვცემს. გარდა ამისა, ენობრივი არსენალის სრულყოფილ და სისტემურ აღწერაშიც დაგვეხმარება.

**მარინა ბერიძე, ლიანა ლორთქიფანიძე,  
დავით ნადარაია**

### **ავტომატური და ნახევრადავტომატური მორფოლოგიური ანოტირების პრინციპისათვის ქართულ დიალექტურ კორპუსში**

ქართული დიალექტური კორპუსის შექმნის მიმდინარე ეტაპი გულისხმობს მორფოლოგიური ანოტირებისა და გრამატიკული ომონიმის დაძლევის კონცეპტუალური და პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტას.

ქდკ-ს მორფოლოგიური ანალიზისთვის ჩვენ ვიყენებთ სისტემა „Geo trans“-ს, რომლის საშუალებითაც მუშავდება კორპუსის საერთო სიტყვანი.

კორპუსის საერთო სიტყვანი მოიცავს ორ სხვადასხვა მონაცემს: ტექსტურსა და სალექსიკონოს. ტექსტური მონაცემი წარმოდგენს ყველა კონტექსტით წარმოდგენილ სიტყვაფორმას, ხოლო სალექსიკონო — ლექსიკონის მთავარ ფორმას (ლემას), მის ფონეტიკურ, გრამატიკულ და სიტყვაწარმოებით ვარიაციებს. შესაბამისად, მეორე ჯგუფის სიტყვანში წარმოდგენილ მასალას ახლავს გრამატიკული ინფორმაცია: ლემა მონიშნულია პირველი იერარქიის მარკერით (გრამატიკული ჯგუფის მარკერი), გრამატიკულ და სიტყვაწარმო-

ბით ვარიაციებზე კი მიწერილია როგორც მეტყველების ნაწილის აღმნიშვნელი, ისე პარადიგმის აღმწერი მარკერები, აგრეთვე თანდებულები, ნაწილაკები, სავრცობი ხმოვანი და ზოგჯერ სემანტიკური ჯგუფის ნიშნებიც.

ტექსტური წარმომავლობის სიტყვანისა და სალექსიკონო მონაცემთა ერთობლივად დამუშავების მეთოდი დიალექტურ ფორმათა იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა (ბერიძე, ლორთქიფანიძე, ნადარაია 2011, 2012, 2013 და სხვ.).

ქდა-ს კონცეფციით მორფოლოგიური ანალიზი ავტომატური, ნახევრადავტომატური და ხელით ანოტირების პროცესთა თანმიმდევრულ ერთიანობას გულისხმობს.

მოხსენებაში აღწერილი იქნება მორფოლოგიური ანალიზის ტექნოლოგიური სისტემის თავისებურება, წარმოდგენილი იქნება პირველადი ავტომატური ანალიზის შედეგები, განხილული იქნება ავტომატურად ანოტირებული არაომონიმური და ომონიმური გრამატიკული მნიშვნელობის მქონე სიტყვათა სიების ტესტირებისა და კორპუსში (კონტექსტებში) მარკერთა საბოლოო მინიჭების პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ სავარაუდოდ, პირველადი ავტომატური ანალიზის შედეგად მთელი კორპუსული ტექსტური მასალის დაახლოებით 20-30%-ის ანოტირებაა შესაძლებელი. ამჟამად მიმდინარეობს ხუთი დიალექტისთვის ამ ეტაპზე შესრულებული ანალიზის ტესტირება, ომონიმიის ხელით მოხსნა და კონტექსტებში სწორი ანალიზის შედეგების ავტომატურად ასახვა.

ცალკე იქნება განხილული სიხშირული ანალიზის ექსპერიმენტი, რომელიც გულისხმობდა 1000-ზე მეტ კონტექსტში რეალიზებული სიტყვების სიის გამოყოფას და ცალკე დამუშავებას. ექსპერიმენტის შედეგად გამოვლინდა 140 ყველაზე ხშირად რეალიზებული სიტყვა, რომლებიც 500 000-მდე კონტექსტშია დამოწმებული. ამათგან თითქმის ნახევარი არაომონიმური მარკერთა ავტომატურად შეიძლება მოინიშნოს ან ყველა დიალექტში, ან დიალექტთა ნაწილში. სულ ასეთი ავტომატური ოპერაციის შედეგად 200 000-მდე კონტექსტი ანოტირდება კორპუსში. „ხშირი“ სიტყვების მეორე ნაწილი ომონიმურია. სიტყვანის ანალიზის შემდეგ კიდევ არის შესაძლებელი შიდა-დიალექტური და დიალექტთაშორის ომონიმიის გამიჯვნა და ერთი

ნაწილის სიტყვებისთვის კვლავ ავტომატური ანოტირების მინიჭება (მაგალითად, კაც N: Sg Dat / კაც N: Sg Nom — ერთსა და იმავე დიალექტში ამ ტიპის ომონიმია არ შეგვხვდება და ზუსტად შეიძლება მივუთითოთ ის დიალექტები, რომლებშიც ამათვან ერთ-ერთი მარკერის ავტომატურად მინიჭება იქნება შესაძლებელი).

ე. წ. „ამოუცნობი სიების“ შემდგომი დამუშავების ავტომატიზაციისათვის იქმნება მორფოლოგიური ანალიზატორის დიალექტური მოდული. ეს სამუშაო გულისხმობს დიალექტთა დონეზე გამოვლენილი თავისებურებების მიხედვით შედგენილი წესების ანალიზატორში დამატებას. წესები იქმნება ცალკეული დიალექტებისთვის და ანალიზიც ცალკეული დიალექტის სიტყვანში ხორციელდება. ანალიზატორის დიალექტურ მოდულში გათვალისწინებულია როგორც ამოსავალი (სალიტერატურო) სისტემისათვის დამახასიათებელი, ისე დიალექტის შიგნით ან დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის გამოვლენილი გრამატიკული ომონიმის ტიპური შემთხვევები.

კორპუსში ამოქმედდა სპეციალური ინსტრუმენტი — „ანოტირების რედაქტორი“. რედაქტორს მიეწოდება ზემოთ აღწერილი სპეციფიკური წესებით ფორმირებული მარკირებული სიები. რედაქტორში წარმოდგენილია:

1. ლემა

2. სავარაუდო მარკერთა ჩამონათვალი

3. ახალი მარკერის დამატების ფუნქცია (იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი მნიშვნელობა გამოვლინდა კონტექსტში)

4. კონტექსტი

რედაქტორის მეშვეობით ხორციელდება როგორც სწორი მარკერის ავტომატური მინიჭება კორპუსის ტექსტურ მასალაზე, ისე გრამატიკული ომონიმის დაძლევა.

გრამატიკული ომონიმის დაძლევა ქდკ-ში შრომატევადი პროცესია და საკმაოდ სერიოზულ თეორიულ და პრაქტიკულ საკითხთა გადაჭრას მოითხოვს დამატებით.

## მანანა ბუკია

### **მეგრულის შესწავლის სათავეებთან — იოსებ ყიფშიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“**

მოხსენებაში განხილულია იოსებ ყიფშიძის მიერ 1912 წელს წაკითხული მოხსენება „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“, რომლის ორიგინალი ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

მოხსენება რამდენიმე ნაწილისგან შედგება.

პირველ ნაწილში მომხსენებელი საუბრობს არასალიტერატურო ენების შესწავლის აუცილებლობაზე და მიუთითებს იმ ფონეტიკურ თუ ლექსიკურ თავისებურებებზე, რომლებიც სალიტერატურო ქართულში გამჭრალაია, მაგრამ მონათესავე მეგრულ-ჭანურისა და სვანურის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ოდინდელი ვითარების აღდგენა.

მოხსენებაში ი. ყიფშიძე მიმოიხილავს მეგრულის შესწავლის ისტორიას, განიხილავს ისტორიულ წყაროებს, სადაც მეგრულის ნიმუშებია დაცული, აგრეთვე მეგრულთან დაკავშირებულ სამეცნიერო ნაშრომებს (გიულდენშტედტი, კლაპროთი, როზენი, ბროსე, ცაგარელი).

მეორე ნაწილში განხილულია ქართულ-მეგრული ბგერათმესატყვისობები, მეგრულისთვის დამახასიათებელი ბგერები; მორფოლოგიის ძირითადი საკითხები (ბრუნების სისტემა, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზმნის მწკრივები, პოტენციალისი), საგანგებოდ უთითებს მეგრული ერგატიული კონსტრუქციის თავისებურებაზე — აორისტში მეგრული ქვემდებარე, მიუხედავად ზმნის გვარისა, ყოველთვის მოთხრობით ბრუნვაში დგას.

მოხსენების ბოლო ნაწილი ეხება მეგრულ ლექსიკას და მეტყველების ნიმუშებს. კერძოდ, ი. ყიფშიძე საუბრობს ტაბუირებულ მეტყველებაზე, ფოლკლორზე, მოჰყავს ძალიან საინტერესო პარალელები, ერთი მხრივ, მეგრულ ზღაპრებსა და, მეორე მხრივ, „ვეფხისტყაოსანს“ და „შაჰნამეს“ შორის.

ი. ყიფშიძე მოხსენებას ასრულებს ძალზე შთამბეჭდავი სიტყვებით, რომლებსაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა: „ქართველ-

თა და მის მომხმე ტომთა — მეგრელთა, სვანთა და ჭანთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყანა ფართო და ნოყიერია და მუშაკიც ამ ყანაში არ კმარა ერთი და ორი, არამედ საჭიროა ასი და ათასი. საჭიროა ყველას მუშაობა, ქართლელი იქნება ის, კახელი, იმერელი, მეგრელი, სვანი, ჭანი... იცოდეთ, რომ საქართველოს დრო სანატრელი მაშინ ხვდა მხოლოდ, როს შეუერთდა ფარნაოზ ქართლელს ქუჯი მეგრელი“.

## თეა ბურჭულაძე

### **რთული შედგენილობის მსაზღვრელ-საზღვრულის მართლწერისათვის**

1. ქართულში ხშირად გამოიყენება ისეთი სინტაქსური კონსტრუქციები, როცა მსაზღვრელად გვაქვს გარკვეული სტატუსის აღმნიშვნელი რამდენიმესიტყვიანი სახელწოდებანი. მაგალითად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კულტურის ცენტრი“, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „მეწარმეობის განვითარების სააგენტო“, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელექტრონიკა“ და სხვ.

2. სირთულეს ქმნის ასეთი ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმებისა და თანდებულდართული ფორმების მართლწერის საკითხები. მსგავსი წინადადებები სხვადასხვა დაწერილობით გვხვდება როგორც ოფიციალურ დოკუმენტებში, ისე პრესაში. მაგალითისათვის წარმოვადგენთ ნათესაობით ბრუნვისფორმიან შესიტყვებებს: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — „კულტურის ცენტრის“ შრომის შინაგანაწესი... ცხადია, აქ გამოიკვეთება დასახელებული აგებუ-

ლების მსაზღვრელ-საზღვრულის სხვა ბრუნვებში შეთანხმება-შეწყობის საკითხებიც.

ფეიქრობთ, მსგავსი აგებულების მქონე მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობისას უპირატესობა უნდა მივიანიჭოთ ისეთ კონსტრუქციას, როცა რამდენიმესიტყვიანი მსაზღვრელი ბრუნვაში ეთანხმება ასევე რამდენიმესიტყვიან საზღვრულს. მხოლოდ, მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით საჭირო ხდება მათ შორის ტირეს დასმა. პარადიგმა კი ასეთი სახით წარმოგვიდგება:

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი — „კულტურის ცენტრი“

არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირმა — „კულტურის ცენტრმა“

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს — „კულტურის ცენტრს“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის — „კულტურის ცენტრის“

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირით — „კულტურის ცენტრით“

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად — „კულტურის ცენტრად“

3. რაც შეეხება ამ რიგის მსაზღვრელ-საზღვრულის თანდებულ-დართულ ფორმებს, აქაც სხვადასხვა ფორმა დასტურდება: არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „კულტურის ცენტრში“ დასაქმებულში... ჩვენი რეკომენდაცია ასეთია — თანდებული დაერთოს მსაზღვრელსაც და საზღვრულსაც, ოღონდ მათ შორის ტირე აუცილებელია შინაარსობრივ-სტილისტიკური გამართულობისა და რთული დასახელებების გამიჯვნისათვის:

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირში — „კულტურის ცენტრში“ დასაქმებული პირები;

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირზე — „კულ-



ტურის ცენტრზე“ მოგახსენებთ;

არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთან — „კულტურის ცენტრთან“ არსებული ხარჯთაღრიცხვა;

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის — „კულტურის ცენტრისთვის“ დადგინდეს.

## ელისაბედ გაზდელიანი

### ლიქტურეში და წორ ტერმინთა განმარტებისათვის

სვანური ჩვეულებითი სამართლის ერთ-ერთი ტერმინია **წორ** ზს.; ლშხ., **წუერ** ლნტ. — „შურისძიება, სისხლის საფასური მკვლელობისათვის“. **აღმარ წორს ხეშემგდახ** (ლშხ. 7) „ესენი სისხლის საფასურს სთხოვდნენ“. **წორ-ობ** „მედიატორობა, საქმის გარჩევა მკვლელობისათვის“. საქმეს არჩევდნენ **მორუ-აღ** „მედიატორები“. შდრ. ქართ. **მოურავი** > სვან. **მორაჟ** „საქმის გამრჩევი, მომრიგებელი“. **ლი-წვრ-ი** ზს.; ლშხ.; **ლი-წუერ-ი** ლნტ. „შურისძიება, სისხლის საფასურის აღება“. **ლადი ჯიწუიჟხ სნ თეფხ ისგუა თხუმი ლიწუერი რუსაღლისგა** (პოეზ. 66) „დღეს გამართებთ შენ და შენს თოფს სისხლის აღება რუსებთან“. **ლი-** — **-ი** მასდარის მაწარმოებელი კონფიქსია, რომელმაც ზემოსვანურ და ლაშხურ დიალექტებში გამოიწვია ფუძისეული **ო**'ს ნაწილობრივი რედუქცია **უ**'დ, ხოლო ლენტეხურში უმლაუტი **ო-ჟე**. **ლე-წუერ-ი** ბზ.; ლშხ.; **ლე-წუერ-ი** ლნტ. „ის ვისთვისაც სისხლი უნდა აიღონ, სასისხლებელი“.

არსებობს გამოთქმა **უწურა-უთხნლა** „უსისხლებელ-მოუძებნელი“, იტყვიან მოკლულზე, რომლის მოკვლისათვის სისხლი არავის აუღია. ამ ტერმინით მოიხსენიებდნენ აგრეთვე მოკლულს, რომელსაც არავინ რჩება სისხლის ამღები (მამა, ძმა, ბიძაშვილის ოჯახის მკვიდრი ნათესავი). **ჯე ესერ უ-წურ-ა-დ ნომოჟ აცუირხ** (ბზ. ქრ. 46) „მე სისხლის აუღებლად (უსისხლებლად) არ დამტოვოთ“. **წორ, წუერ** სვან. ტერმინი უკავშირდება ქართულ **სწორ**-ს შდრ.

მეგრ. **წორი** „სწორი“, სვან. **წორ** ფორმებში თავკიდური **ს-** დაკარგულია. შდრ. ქართ. **გაუსწორდა** სვან. **ქადწორე** „ისისხლა“ და სხვ.

**ლიქტრეში** — ამ სახელწოდების დღესასწაულის შესახებ დაბეჭდილია სვანური ენის ქრესტომათიაში ბალსზემოურ და ბალსქვემოურ ტექსტებში. რიტუალების აღწერის მიხედვით, მათ შორის არის სხვაობაც და ერთგვარობაც. დასახელებული რელიგიური დღესასწაული აღინიშნებოდა: მესტიაში, მულახსა და მუჟალში. ბ. ნიჟარაძის ცნობით უშეუღლსა და ბეჩოს საზოგადოების ზოგ სოფელში. დღესასწაულის გავრცელებული სახელწოდებაა: **ლი-ქტრ-ეში-ი**, შეიძლება შეგვხვდეს **ლი-ქტრ-ეშ** ან **ლი-ქტრ-აშ** ფორმითაც. ყოველ წელს **ლან-ნუბ** „საძმო“-ში შემავალი ოჯახები რიგრიგობით იხდიან ამ დღეობას. ლხინი და პურობა გარკვეული დღეების განმავლობაში გრძელდება.

**ლი-ქტრ-ეში** საეკლესიო კალენდრით, ემთხვევა უძღები შვილის კვირას. როგორც სახარებიდანაა ცნობილი დაკარგული (უძღები) შვილის სახლში დაბრუნებით გახარებულმა მამამ **ჟისხუ** ზს.; **უსხჟაჲ** ლმზ., **ჟისხუჲ** ლნტ. „უსხი“, „ჭამებული“ დაუკლა უმცროს ვაჟს და მოუწოდა ოჯახის წევრებს და ახლობლებს ემხიარულათ და პურობა გაემართათ.

როგორც ჩანს, ამ დღესასწაულის სახელწოდებას საფუძვლად დაედო ლექსემა **ქორ** „სახლი“. რაც შეეხება **ლი-ქტრ-ეში-ი**, **ლი-ქტრ-ეშ**, **ლი-ქტრ-აშ** „სახლობა“ ფორმებში გამოიყოფა **ლი-** — **-ი** მასდარის მაწარმოებელი კონფიქსი. ხოლო **-აშ**, **-ეშ** ნათესაობითი ბრუნვის ნიშნებია. ე. ი. \***ლი-ქორ-ეში-ი** „სახლობა“ ფორმიდან ფუძისეული **ო** ხმოვნის ნაწილობრივ რედუქციით მივიღეთ: **ლი-ქტრ-ეში-ი**, **ლი-ქტრ-აშ**, **ლი-ქტრ-ეშ** ფორმები.

## რუსულან გერსამია, მათა ლომია

### **ბგერწერიოთი ლექსიკის სემანტიკური კლასიფიკაცია ლაზურში**

ბგერწერიოთი ანუ ფონოსემანტიკური ლექსიკის ანალიზი მოიცავს როგორც საკუთრივ ხმაბაძვის, ასევე, ზოგადად, ბგერათსიმბოლიზმისა თუ სინესთეზიის საკითხების ანალიზს; *საკუთრივ ხმაბაძვასა და სხვა სახის ბგერწერას* შორის „მკვეთრი ზღვარის გავლება ვერ ხერხდება ვერც სემანტიკური და ვერც ფუნქციონალური თვალსაზრისით“ (ი. მელიქიშვილი). ამ ტიპის ზმნები გამოხატავენს ალქმის მთლიანობას, მოლაპარაკის ფსიქოლოგიურ რეაქციას საგანთა გამორჩეული კლასის მიმართ, ამიტომ ხშირია ამ ზმნათა მნიშვნელობების გადაკვეთა (D. A. Holisky).

ქართულში ამგვარი ზმნების სემანტიკურ კლასიფიკაცია შემოთავაზებულია ი. ქობალავას, ი. მელიქიშვილის, დი ენ ჰოლისკისა და ნ. კახაძის ცალკეულ თუ ერთობლივ ნაშრომებში. მათი საერთო ანალიზის შედეგად დასაშვებია ოთხი ძირითადი სემანტიკური ჯგუფის გამოყოფა:

1. საკუთრივ ხმაბაძვა ანუ ხმიანობა, სხვადასხვა სახის ხმიერების გამოხატვა (ი.მელიქიშვილი);

2. დინამიკურობის — მოძრაობისა და მოქმედების (ი.მელიქიშვილი), მათ შორის, გადაადგილებისა (ი. ქობალავა) და ადგილზე მოძრაობის (D. A. Holisky, N. Kakhadze) ამსახველი ლექსიკა;

3. ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ ჟღერადობას (D. A. Holisky, ი. მელიქიშვილი);

4. სტატუკურობის — ფიზიონომიის, ყურების, გამოხედვის, გონებრივი მდგომარეობის — აღმნიშვნელი ლექსიკა (ი. ქობალავა)

ლაზურის ფონოსემანტიკური ლექსიკა არსებით სხვაობას არ იძლევა სხვა ქართველური ენების მონაცემთა საკლასიფიკაციოდ შერჩეულ ნიშნებთან შედარებით, განსხვავება მხოლოდ სტატისტიკური ხასიათისაა.

• **საკუთრივ ხმაბაძვა ანუ ხმიანობა, სხვადასხვა სახის ხმიერების გამოხატვა:** შიდა საკლასიფიკაციო სემანტიკურ ნიშნად შეიძლება შერჩეულია ოპოზიცია სულიერი — უსული:

სულიერი არსებები: **გეწუბინუ** „მიმინოს მოსახმობი ხმა“, **კარკალაფა / ოკარკალუ** „კაკანი“, **ოკარდანუ** „კაკანი“, **ოპეტელუ** „თხის კიკინი“, **პერდელი** „მსხვილფეხა საქონლის ბლავილი“, **ოკირკინუ** „იხვის ხმინობა“, **ოდვაკალუ** „იხვის, ბატის ხმიანობა“, **ონძგილუ** „კრიახი“...

უსულიო საგნები: **ოკურკულუ** „მუცლის ბუყბუყი“, **ოშია-ლუ** „შირიალი“, **ოცხიალუ** „ჩხრიალი“, **ორანწკალუ / ოლანწკალუ** „წკრიალი, რეკვა“, **ოლარკალუ** „რკინის, საზოგადოდ მეტალის ხმიანობა“, **ოწანგალუ** „მეტალის ჟღერადობა“, **მეწუფინუ / მოწოპინუ** „კოცნის ხმა“, **ოკირჭოლუ** „კრაჭუნი“... აღნიშნული ლექსიკა შესაძლებელია დახასიათდეს სხვა ნიშნების მიხედვითაც: *ხმის სიმძლვე, ინტენსივობა, განმეორებადობა, განგრძობითობა, დიურატიულობა...*

• **დინამიკურობის — მოძრაობისა და მოქმედების — აღმნიშვნელი ლექსიკა:** *მოძრაობა-გადაადგილება:* ველში შემოდის მოძრაობის ყველა სახე, რომელიც სივრცეში გადაადგილებას აღნიშნავს. ლაზურში ფონოსემანტიკურ ფუძეთა მრავალფეროვნებით მხოლოდ სვლის / სიარულის აღმნიშვნელი ფუძეები ხასიათდება, ფრენისა და ცურვის აღმნიშვნელი ფონოსემანტიკური ფუძეები იშვიათია: **ბარბა-ლაფა** „ბორძიკით სიარული ბავშვისა“, **ონოტკვაცინუ** „გასკდომამდე სირბილი, გაქცევა“, **ოჭგიალუ** „სირბილი; ჟრიალი“, **ოზვანწუ** „ხეტიალი“, **ონკაპინუ** „სირბილი, გარბენა“, **ოტოიკუ** „ხეტიალი, ხტუნვა“, **მეფათქალუ** „ფრენით მისვლა“... *ადგილზე მოძრაობა:* ხტომა: **მოწატარიკუ** „ადგილზე ხტომა“, **ოწინგილუ** „ცალ ფეხზე ხტომა“, **ოღლაბუ** „შეხტომა“, **მეწკაბუ** „გადახტომა, გაქცევა“, **ოცხონტუ** „გადახტომა“... ბარბაცი, კანკალი: **ბანდალაფა** „ბარბაცი, ბანცალი“, **ბანგალი, ბანგალაფა** „ბარბაცი“, **თირთინაფა / ოთირთინუ** „კანკალი, ძაძაგი, თრთოლვა, აკანკალება, აჟრჟოლება“, **ობადგალუ** „ფართხალი“, **ობანდალუ** „ბანდალი“, **ოძანძალუ** „ძანძალი“... ვინაიდან ჩამოთვლილი ლექსიკა განსხვავებული სემანტიკური ინფორმაციის შემცველია, მათი დაჯგუფება დასაშვების ცალკეული სემანტიკური მახასიათებლების მიხედვითაც, როგორებიცაა: *მოძრაო-*

ბის ტემპი / ინტენსივობა, ემოციურ მდგომარეობა, ფიზიკური და მენტალური მახასიათებლები...

• **ლექსიკა, რომელიც ერთდროულად გამოხატავს მოქმედების სახეს და ამ მოქმედების შედეგად გამოცემულ უღერადობას:** მოიცავს მოძრაობის ყველა სახეს, რომელსაც ახლავს ხმა/ხმაური. ამ ტიპის ლექსიკაში ჭირს მოძრაობის მიბადვისა და ხმის მიბადვის ერთმანეთისაგან გამოიჯვანა, ანუ ხმა/ხმაური მოქმედების თანმდევი ეფექტია. აღნიშნულ კატეგორიაში ერთიანდება: 1. საკვების დამუშავება (*ჭამა, ლეჭვა, ხვრა, ღრღნა...*): **გენძგილუ** „ძიხვანა; კორტნა“, **გოლუღონუ** „ლეჭვა“, **ოხატალუ** „კვენეტა“, **ოხვატუ** „ხვრა, ღრღნა, კვენეტა“, **ოხუტორუ** „ღრღნა“, **ცინცონუ** „ხილის მხოლოდ გარსის შემოჭმა“, **ოვანგუ** „ბლავგი კბილების ლეჭვა“, **ოლაღუნუ** „ლეჭვა“, **ოლაძგუ** „ლეჭვა“, **ოჯინჯოლუ** „ჯიჯვანა“... 2. სმა/დაღვების აღმნიშვნელი ლექსიკა: **ფეშლიბუ** „ამოსგრეტა, ასრუტვა“, **ოხლაპუ** „ხვლეპა“... 3. ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსიკა: **ბარბალი** „უშნო ლაპარაკი“, **დარდალი** „უმიზნო უაზრო ლაპარაკი“, **პარპალაფა** „საუბარი მოძრაობაში გაუჩერებლად“, **ლაქალუჭუ** „ერთხმად, ერთდროულად ყველას ლაპარაკი“, **ობომბულუ** „ხმადაბლა ბურტყუნა“, **ობრანგუ** „როშვა, უაზრო ლაპარაკი“, **ოდგიალუ** „უაზრო ლაპარაკი“, **ოტკიალუ** „უაზრო ტლიკინი, ჩქარი ლაპარაკი; ყრანტალი“, **ოჭირტოლუ // ოჭიტოლუ** „შენმატკბილებული ლაპარაკი“... 4. ემოციის გამომხატველი ლექსიკა (*სიცილი, ტირილი*): **ბეჯღაფა / ობეჯღუ** „ხმამაღლა ტირილი, ყვირილი“, **ბეჯღელი** „ბღავილ-ყვირილი მთელი ხმით“, **ოშლოკინუ** „სლუკუნა“... **გოჯიჯილუ** „კბილების გამოჩენით ღრძილებამდე სიცილი“, **ოქირქინუ** „კისკისი“, **ოხარხალუ** „ხარხარი“... 5. ცემის/კვრის აღმნიშვნელი ლექსიკა: **ობახუ** „გალახვა“, **ოფანცუ** „ნელა მირტყმა ხელისა“, **გოლან-ჟვარაფა** „მაღალი ბლავგი საგნის ბალახ-ბულახით დაჟეჟვა“, **გოჩან-ხაფა** „დაბეჟვა“, **გოჯაჯუ** „დაჩეჩვა“, **ოჩანქუ ჯოტალუ** „დარტყმა“, **ოხაპუ** „ტყეპა“, **ამჭინუ** „მუშტების ცემა“... 6. ბუნების მოვლენათა და სტიქიათა (ჰაერის, წყლის, ცეცხლის/სინათლის) მოქმედება-ხმიანობის აღმნიშვნელი ლექსიკა: 6. 1. წყლის მოძრაობა/ხმა: **ოშირშილუ** „რაკრაკი“, **ოჩანხალუ** „რაკრაკი“, **ოჩნანკუ** „ჩხრილი“, **გოწყაპუ** „დაპკურება“, **მენჩვალაფა** „მიშხეფება, მენჩვალური მიშხე-

ფებული“, **მებუჭყინუ** „წყლის შესხმა“... 6.2. ცეცხლის/სინათლის მოძრაობა: **ბურბულუა** „ცეცხლის ბრიალი ბუხარში ან ღუმელში“, **ვარვალი** „ბრჭყვილი“, **მხნატუა** „მოკამკამე, ბრჭყვინავი“, **ოკლანჩხუ** „შუქის, სხივის მიმოფანტვა, აკიაფება“, **ომცქუმუნუ** „ზღვაზე მზის სხივების კიაფი; წყალში თევზის ლაპლაპი“, **ოჩნატუ** „ბრწყინვა“, **ოჩნანტინუ** „ბრჭყვილი“...

• **სტატიკურობის — ფიზიონომიის, ყურების, გამოხედვის, მენტალური მდგომარეობის, — აღმნიშვნელი ლექსიკა** ჯგუფდება სხვადასხვა სემანტიკური ნიშნის მიხედვით და, ძირითადად, მიმღობური ფორმებით არის წარმოდგენილი: 1. *ვარვანი მახასიათებლები*: ადამიანი: **ბაძვალა** „აბურძნულთმიანი, აბურღული“, **ბუძვინერი** „დაბუჭული, აბურძვინილი“, **ამაკლანტა** „მუცელმეწეული“, **გამარჩაკერი** „თვალეზბრიალებული“, **გოჩონჩერი** „აწეწილი, აჩეჩილი, აბურძნული“, **გოტკებღერი** „გამხდარი, გაძვალტყავებული“, **გოფშიტილერი** „ყურებდაცქვეტილი“, **ღუნღულა** „ზოზინა“, **ეჭუჯიმეჭუჯი** „პატარა, დაბალი“, **კაწაწელა** „მაწანწალა, ძალიან გამხდარი, გაწნაკული“, **ლანტყვა** „შიმშილისაგან მუცელჩავარდნილი არსება“, **ტამბალა** „დაბალ ადამიანზე იტყვიან“... არაადამიანი: **ღორღელა** „დიდი აგებულების საქონელი“, **ხულაწაპა** „ძალიან გამხდარი, მშრალი საქონელი“... მენტალური კონცეპტი: **ბუდალა** „ჩერჩეტი“, **ლანგერი** „ჭკუადაკარგული“, **ტეტეჩი** „სუსტი ხასიათის ადამიანი“, **ჯანჯალა** „უტვინო; უვარგისი“, **ჯუნჯური** „შტერი, სულელი“...

დასაშვებია სხვა სემანტიკური ნიშნების — *ზომა-სიმაღლის, წონის, სივამხდრე-სიმსუქნის, სხეულის კონკრეტულ ორგანოებზე აქცენტირების* — მიხედვით დაჯგუფებაც; ზოგადსაკლასიფიკაციო ნიშნად შეიძლება შეიჩრჩეს მოქმედების *ხარისხი, ინტენსივობა, ინსტრუმენტის ტიპი, ასევე სუბიექტისა და ობიექტის რავგარობა, რომელიც მოქმედების მანერას აპირობებს*.

## ლ ე ლ ა გ ი გ ლ ე მ ი ა ნ ი

### ვითარებითი ბრუნვის ნიშნით გაფორმებული ზმნისართები სვანურში

ცნობილია, რომ ფორმის მხრივ ზმნისართი ან მარტივია, ან რთული — გარკვეული ფორმანტით თუ კომპოზიციის გზით ნაწარმოები, რომელიც ზოგჯერ მოკვეცილია. სვანურის ნაწარმოებ ზმნისართებში შეიძლება წარმოდგენილი იყოს მიცემითი, ვითარებითი, ნათესაობითი ან მოქმედებითი ბრუნვის ნიშნები.

ამჯერად შევეჩებით ვითარებითი ბრუნვის ნიშნით ნაწარმოებ ზმნისართებს, რომელთა რაოდენობა სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში საკმაოდ დიდია. ვითარებითი ბრუნვის მაწარმოებლად სვანურში **-დ** ფორმანტი გამოიყენება, რომელიც დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილს — ზედსართავ სახელს (მაგ.: **ბეგი-დ** (ბზ.) „მაგრა-დ“, **ხოჩამ-დ** (ბზ.), **ხოჩამ-დ** (ბქ.) (ლნტ.) „კარგად“, **ხოლამ-დ** (ბზ.) **ხოლამ-დ** (ბქ.) (ლნტ.) „ცუდად...“, რიცხვით სახელს (მაგ.: **აშხუ-დ** (ზ.ს) **ეშხუ-დ** (ლშხ.), **აშხუმ-დ** (ლნტ.) „ერთად“, **ეშხუნაირ-დ** (ბზ.) (ლშხ.) **ეშხუნაირ-დ** (ბქ.) **ეშხუნაირად** (ლშხ.) „ერთნაირად...“, ნაცვალსახელს (მაგ.: **ეჩქა-დ** (ბზ.) „მანამდე“, **ეჩხი-დ** (ქს.) „იქით, მოშორებით...“), აგრეთვე, სახელზმნებს (მაგ.: **ლადრანჯ-დ** (ბზ.) „სადარაჯოდ“, **ლადგარ-დ** (ბზ.) „მოსაკლავად...“), და შესაბამისად ვიღებთ ვითარებით ზმნისართებს.

სვანურში არის ისეთი შემთხვევები, როდესაც **-დ**-იან ვითარებით ზმნისართებს ენაცვლება **-ხ**-იანი მიცემითის ფორმები და ერთმანეთის პარალელურად იხმარება **-დ** და **-ხ** ფორმანტიანი ვითარების ზმნისართები (მაგ.: **ფედი-დ**||**ფედია-ხ** „ახლოს“, **ჯოდი-დ**||**ჯოდია-ხ** „შორს“ და სხვ.).

იშვიათად, მაგრამ მაინც **-დ** ფორმანტიანი ვითარებითი ზმნისართების მონაცვლედ შეიძლება შეგვხვდეს მიცემითის უძველესი ნიშნით **-ნ**-თი გაფორმებული ზმნისართებიც (მაგ.: **მანა-დ**||**მანან** „ახლად“, **ჟედ-დ**||**ჟედნ** „ძლივს“ და ა. შ.).

მიცემითი და ვითარებითი ბრუნვის ნიშნების მქონე ზმნისართები ერთმანეთს ენაცვლება სხვა ქართველურ ენებშიც (შდრ. ქართ. **პირას** და **პირად**, **ალაგას** და **ალაგად**, ზან. **წყინარას** და **წყინარო**

„წყნარად“, **წორას** და **წორო** „თანაბრად“...). საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ეს შენაცვლება მოულოდნელი არ არის, ვინაიდან მიცემითი და ვითარებითი საერთო წარმოშობისა უნდა ყოფილიყო.

ვითარებითი ბრუნვის ფორმით ნაწარმოები ზმნისართი შეიძლება შეგხვდეს:

1. ბრუნვის ნიშნის სრული ფორმით: **ჭუინელდ**||**ჭუინალ-დ** (ბზ.) (ლნტ.) „ძველად“, **ეენასდ** || **ენასდ** (ბზ.) **ეენასდ** (ლზზ.) „სწრაფად“, **ხოლამ-დ** (ბზ.) (ლზზ.), **ხოლამდ** (ბქ.) (ლნტ.) „ცუდად“...

2. ვითარებითი ბრუნვის სრული და მოკვეცილი ფორმებით: **დრამ** (ბზ.) || **დრამდ** (ბქ.) „ერთიანად“, **დამორდ** (ლზზ.) || **დამკრ** (ლნტ.) „თანაბრად, ერთიანად“, **დემნარ** (ბზ.) || **დემნარდ** (ბქ.) „არაფრად“...

3. ვითარებითი ბრუნვის ფორმაზე თანდებულის დართვით: **ისგ[დ]თექა** (ბზ.ბქ.), **ისკოქა** (ლნტ.) „შუამდე“, **ლირჰალ[დ]თე** || **ლირჰალდ** (ბზ.) „გათენებამდე“ და ა. შ.

კომპოზიციც შეიძლება გაფორმდეს ვითარებითი ბრუნვის ნიშნით და ზმნისართული მნიშვნელობის სიტყვა წარმოიქმნას: **თაგ-თაგდ** (ბქ.) (ლნტ.) „მეჩხერად“, **თამაშ-თამაშდ** (ბზ.), **თამ-თამაშდ** (ბქ.) „ნელ-ნელა“, **ბეგი-ბეგიდ** (ბზ.) „მაგრა-მაგრად“...

## ელენე გაუნაშვილი

### საშუალო ირანული ონომასტიკის კვლევისათვის საქართველოს არამეულ წარწერებში

ჩვენამდე მოღწეული ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები მოწმობს, რომ ქრისტიანობამდე საქართველოს ჰქონდა მჭიდრო კონტაქტები ისლამამდე ირანთან.

ირანელების კულტურულ და სახელმწიფოებრივ გავლენას თან ახლდა მათი ოფიციალური და სამწერლობო ენის – არამეულის ფართოდ გავრცელება იბერიის სამეფოში.



ძველი არამეულის, როგორც წერილობითი ენის, გამოყენების ტრადიციაზე მოწმობს ის მრავალრიცხოვანი არამეული წარწერები, რომლებიც აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ხანგრძლივი არქეოლოგიური გათხრების შედეგად. მათი დიდი ნაწილი მოპოვებულია იბერიის დედაქალაქ მცხეთასა და მის შემოგარენში – არმაზში, ბაგინეთსა და სამთავროში. არამეული წარწერები ასევე ნაპოვნია ცენტრალური და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა გეოგრაფიულ პუნქტებში, როგორიცაა: უფლისციხე, ურბნისი, დედოფლის გორა, ზღუდერი, ბორი, ძალისა, ვანი.

წარწერების უმრავლესობა განეკუთვნება აქემენიანების შემდგომ, ელინისტურ-პართულ პერიოდს (ძვ. წ. I ს — ახ. წ. II-III სს-ები), როდესაც ირანულ-ქართული კონტაქტები უფრო ინტენსიურ სახეს იღებს. დწინაქრისტიანულ ხანაში იბერიის სამეფოში არამეული წარწერები ერთადერთი ადგილობრივი წერილობითი ძეგლებია, ბერძნული ეპიგრაფიკული ნიმუშები ამ რეგიონში ჩვ. წ. I საუკუნიდან დასტურდება.

საქართველოს არამეული წარწერები სხვადასხვა ფორმის და შინაარსისაა, არაერთგვაროვან მასალაზეა შესრულებული და მათი საერთო ოდენობა 100-ზე მეტ ნიმუშს შეადგენს. ისინი შესრულებულია არამეული დამწერლობის იმ სახეობით, რომელიც სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა „არმაზულის“ სახელწოდებით (გ. წერეთელი) და მომდინარეობს არამეული დამწერლობის „ჩრდილო-მესოპოტამიური“ სახეობიდან, (ი. ელსნერი, ი. ნავე).

საქართველოს არამეული წარწერები მეტად მნიშვნელოვანია როგორც პალეოგრაფიულად, ასევე ლინგვისტური მხრივაც. ამ თვალსაზრისით საინტერესოა წარწერებში მოხსენიებულ ქართველ დიდგვაროვანთა ირანული საკუთარი სახელები.

მოხსენებაში პირველად არის სისტემურად წარმოდგენილი დღემდე გამოქვეყნებულ არამეულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დადასტურებული ირანული ონომასტიკის ნიმუშების (**Bazuk, Aturpat, Mihrdat, Iodmangan, Asparug** და სხვ.) ეტიმოლოგიური, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზი, მათი აუთენტური გადმოცემისა და შესაბამის ბერძნულ და ქართულ ფორმებთან მიმართების ჩვენებით.

## გიორგი გოგოლაშვილი

### **-ავ და -ამ თემისნიშნის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი დიალექტებში**

-ავ და -ამ თემისნიშნის ზმნები ქართული ენის დიალექტებში მრავალ თავისებურებას ავლენს. მოხსენებაში ორ საკითხს განვიხილავთ:

#### **1. თემის ნიშანთა მონაცვლეობა**

დიალექტთა ერთ ჯგუფში ავ-ს ენაცვლება -ამ თემის ნიშანი (მთიულურ-გუდამაყრულში, ქართლურში, კახურში, ინგილოურში, ჯავახურში, ზემოიმერულში, ლეჩხუმურში, რაჭულში); მესხურში ავ/ამ → ან. ზოგ დიალექტში ხდება საპირისპირო პროცესი ამ → ავ (ქართლურში, კახურში, ზემოიმერულში, რაჭულში). ერთსა და იმავე დიალექტში ამ ურთიერთსაპირისპირო პროცესების (მალ-ავ-ს → მალ-ამ-ს, მაგრამ სვ-ამ-ს → სვ-ავ-ს...) მოტივაცია ჩვენთვის ამოუხსნელია.

გვაქვს სხვა სახის მონაცვლეობაც:

ამ თემის ნიშანი ენაცვლება -ებ-ს: აკეთ-ამ-ს...

უთემისნიშნო ზმნები დაირთავენ ავ/ამ-ს: წერ-ავ/ამ-ს...

ხმოვანმონაცვლე ზმნები დაირთავენ ავ/ამ-ს: გლეჯ/გლიჯ-ავ/ამ-ს.

ზოგან დასტურდება მხოლოდ -ამ ფორმანტიანი ვარიანტი: აკეთ-ამ-ს, წერ-ამ-ს... ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში შუალედური არის ავ სუფიქსიანი ვარიანტი (აკეთ-ავ-ს → აკეთ-ამ-ს...)...

სადავოდ გვეჩვენება ვარაუდი იმის შესახებ, რომ ავ → ამ (და პირიქით) ფონეტიკური შენაცვლებაა. ვფიქრობთ, თემის ნიშანთა მონაცვლეობა ამ და სხვა შემთხვევაში მორფოლოგიური პროცესია და ფორმათა უნიფიკაციის ტენდენციის გამოვლენა.

#### **2. უწყვეტლის წარმოების საკითხები**

ძველ ქართულში -ავ/-ამ თემისნიშნის ზმნები I სერიაში სამგვარ საყრდენ ფუძეს გამოავლენენ:

აწმყოში ავ/ამ თემისნიშნის ზმნები: მალ-ავ, ა-ბ-ამ... (I ვარიანტი)

ა) უწყვეტლის I-II პირებში ეგ-დ დაბოლოებიანს: მალ-ეგ-დ, ა-ბ-ემ-დ... (II ვარიანტი)

ბ) უწყვეტლის III პირში ვი-დ დაბოლოებიანს: მალ-ვი-დ,

**ა-ბ-მ-იდ...** (III ვარიანტი)

ქართული ენის დიალექტებში ძველი ქართულის პარადიგმამ საინტერესო ტრანსფორმაცია განიცადა. უწყვეტლის პარადიგმა განვითარდა სამი მიმართულებით:

1. უწყვეტელი დაემყარა ფუძის I ვარიანტს: **ვ-მალ-ავ-დ-ი / მალ-ავ-დ-ი / მალ-ავ-დ-ა...** ვ-ა-**ბ-ამ-დ-ი**, ა-**ბ-ამ-დ-ი**, ა-**ბ-ამ-დ-ა** (ქართლურში, კახურში, მოხეტრში, მთიულურ-გუდამაყრულში, ქვემოიმერულში)...

2. უწყვეტელი დაემყარა ფუძის II ვარიანტს: **ვ-მალ-ევ-დ-ი / მალ-ევ-დ-ი / მალ-ევ-დ-ა...** ვ-ა-**ბ-ემ-დ-ი / ა-ბ-ემ-დ-ი / ა-ბ-ემ-დ-ა** (ხევსურულში, თუშურში, ფერეიდნულში, ზემოიმერულში, რაჭულში, აჭარულსა და იმერხეულში)...

3. უწყვეტელი დაემყარა ფუძის III ვარიანტს: **ვ-მალ-ვ-იდ-ი / მალ-ვ-იდ-ი / მალ-ავ-დ-ა...** ვ-ა-**ბ-მ-იდ-ი / ა-ბ-მ-იდ-ი / ა-ბ-მ-იდ-ა** (ფშაურში, რაჭულში, გურულსა და აჭარულში)...

როგორც ვხედავთ, რაჭულსა და აჭარულში გვაქვს ორ-ორი ვარიანტი — მეორე და მესამე.

შეინიშნება ერთი კანონზომიერება: დიალექტებში, სადაც **ავამ** თემისნიშნისეული ხმოვნები აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში არ რედუცირდება (მალ-ავ-ენ, ა-ბ-ამ-ენ...), უწყვეტელს იწარმოებენ I ვარიანტით (მალ-ავ-დ-ა, ა-ბ-ამ-დ-ა...); დიალექტები, რომლებშიც **ავ/ამ** თემისნიშნისეული მხოვნები რედუცირდება აწმყოს მესამე პირის მრავლობით რიცხვში, უწყვეტელს იწარმოებენ II და III ვარიანტით (მალ-ევ-დ-ა, ა-ბ-ემ-დ-ა... მალ-ვ-იდ-ა, ა-ბ-მ-იდ-ა...).

უწყვეტლის ფუძეს ყველა ვარიანტში ემყარება I სერიის სხვა მწკრივები: I კავშირებითი და I ხოლმეობითი (სადაც გვაქვს).

სამივე ვარიანტში მოხდა უწყვეტლის პარადიგმის გასწორება; ამავე დროს I და III ვარიანტში მოხდა სერიის პარადიგმის გასწორება. II ვარიანტში აწმყოს ფუძე სხვაობს სხვა მწკრივთა საყრდენი ფუძისაგან (**მალ-ავ — მალ-ევ, ა-ბ-ამ — ა-ბ-ემ**)... თუმცა იმერულში თავი იჩინა ტენდენციამ, რაც სერიის პარადიგმის გასწორების მცდელობად გვესახება, აწმყოს III პირის მრავლობითში **-ევ/-ემ** ფორმანტი გვაქვს. (მალ-ევ-ენ, ა-ბ-ემ-ენ...). მსგავს ფაქტებს ადასტურებენ მესხურშიც (რგ-ენ-ს...).

## ტარიელ გურგენიძე

### აფიქსაციათა სახეები

აფიქსის მიერ ძირის **წვეტა-უწვეტობის** თვალსაზრისით ორი კლასი შეიძლება გამოიყოს:

- 1) ძირის **მწვეტე** აფიქსები;
- 2) ძირის **არამწვეტე** აფიქსები.

ასევე ორი კლასი შეიძლება გამოიყოს ძირის მიერ აფიქსის წვეტის თვალსაზრისით:

- 3) ძირით **წვეტილი** აფიქსები;
- 4) ძირით **უწვეტი** აფიქსები.

თუ ამ ორი თვისების მიხედვით ერთდროულად დავახასიათებთ აფიქსებს, მივიღებთ ოთხ შესაძლებელ ვარიანტს:

- I. ძირის მწვეტე და ძირით წვეტილი აფიქსები;
- II. ძირის მწვეტე და ძირით უწვეტი აფიქსები;
- III. ძირის არამწვეტე და ძირით წვეტილი აფიქსები;
- IV. ძირის არამწვეტე და ძირით უწვეტი აფიქსები.

I ტიპის აფიქსს ეწოდება **ტრანსფიქსი**;

II ტიპის აფიქსს ეწოდება **ინფიქსი**;

III ტიპის აფიქსს ეწოდება **ცირკუმფიქსი**;

IV ტიპის აფიქსს ეწოდება **კონფიქსი**.

ტრადიციული გაგება ტერმინისა **კონფიქსი**, რაც გულისხმობდა პრეფიქს-სუფიქსის ერთდროულ გამოყენებას, ამ სისტემაში შეცვლილია ტერმინით **ცირკუმფიქსი** (მელჩუკი 1963: 27-40). იგი განიხილება ერთიან, მთლიან აფიქსად. ასეთ შემთხვევაში ორი სხვადასხვა ელემენტი — პრეფიქსი და სუფიქსი არა გვაქვს, ცირკუმფიქსის ნაწილები ცალ-ცალკე არ ფუნქციონირებენ, ისინი სემანტიკურად ერთიანია (გამყრელიძე, კიკნაძე, შადური, შენგელაია 2003: 184-185).

ი. მელჩუკმა მის მიერ **კონფიქსით** აღნიშნულ ქვესიმრავლეში შეიყვანა სამი სახის აფიქსები: პრეფიქსი, სუფიქსი, ინტერფიქსი (ინტერფიქსი არის ისეთი აფიქსი, რომელიც აკავშირებს ფუძეებს რთულ ფორმაში).

აფიქსთა სიმრავლეში **ცირკუმფიქსით** აღნიშნული ქვესიმრავლის გამოყოფა მხოლოდ ტერმინოლოგიური ცვლილება არ არის. ამ ტერმინის გამოყენების შედეგად, ჩვენი აზრით, შესაძლებელი ხდება დაძლევა იმ ე. წ. „წინააღმდეგობებისა“, რომლებსაც ხედავენ სხვადასხვა ავტორები ამა თუ იმ გრამატიკულ კატეგორიათა განხილვისას (გურგენიძე 1969, 1983, 2009).

## ქეთევან დათუკიშვილი

### პირის კატეგორიისათვის ქართულ ზმნაში

ქართულ ენაში პირის კატეგორიასთან დაკავშირებული მრავალი საკითხი დღემდე საკამათო რჩება: სუბიექტისა და ობიექტის განსაზღვრა, პირის ნიშანთა ორი რიგი და მათი ფუნქცია, ინვერსიის პრობლემა და ა.შ.

პირის კატეგორიის განხილვისას სამეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობენ სუბიექტისა და ობიექტის სემანტიკურ ცნებებზე, შემდეგი აღწერენ, თუ რა ფორმით (რომელი ბრუნვის ფორმით) არის გამოხატული ისინი ზმნაში. ვფიქრობთ, ბევრი საკამათო საკითხი სხვაგვარად წარმოჩნდება, თუ ანალიზისთვის ავირჩევთ საწინააღმდეგო პრინციპს: აღვწერთ პირის კატეგორიის გამოხატვის მორფოლოგიურ საშუალებებს: პირის (**resp.** ზმნასთან შეწყობილი სახელის) ბრუნვებს და შემდეგ განვსაზღვრავთ მათ სემანტიკურ (სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვის) ფუნქციას. წარმოვადგენთ პირის კატეგორიის ამგვარი აღწერის სქემას.

ანალიზისას პირს აღვნიშნავთ **P (Person)** სიმბოლოთი.

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში ზმნასთან შეწყობილი სახელი (პირი) შეიძლება იდგეს სამ ბრუნვაში: სახელობითში (**Nominative**), მოთხრობითში (**Ergative**) ან მიცემითში (**Dative**). შესაბამისად, მათ აღვნიშნავთ შემდეგი სიმბოლოებით:  $P_N$   $P_{Er}$  და  $P_D$ . პირი შეიძლე იყოს **ბრუნვაცვალეზადი** ან **ბრუნვაუცვლელი**.

**ბრუნვაუცვლელი** პირის ბრუნვებია:

- სახელობითი —  $P_N$ : იმალება **ის**, დაიმალა **ის**, დამალულა **ის**.
- მიცემითი —  $P_D$ : ემალება **მას**, დაემალა **მას**, დამალვია **მას**.

**ბრუნვაცვალეზადი** პირის ბრუნვებია:

- სახელობითი / მოთხრობითი / მიცემითი —  $P_{N-EF-D}$ : წერს **ის**, დაწერა **მან**, დაუწერია **მას**.
- მიცემითი / სახელობითი —  $P_{D-N}$ : წერს **მას**, დაწერა **ის**, დაუწერია **ის**.
- მიცემითი / თანდებუიანი ნათესაობითი —  $P_{D-Prep}$ : სწერს **მას**, მისწერა **მას**, მიუწერია **მისთვის**.

ამ უკანასკნელ შემთხვევას (ტრადიციული ტერმინოლოგიით - სამპირიანი ზმნის ირიბ ობიექტს) ბრუნვაცვალეზად ვარიანტად არ განიხილავენ. ჩვენ ვთვლით, რომ ამ პირსაც პირობითად შეიძლება ბრუნვაცვალეზადი ეწოდოს.

მოხსენებაში ნაჩვენებია, თუ რა მიმართებაა პირთა რაოდენობასა და მათ ბრუნვაცვალეზადობას შორის. განხილულია აგრეთვე სუბიექტისა და ობიექტის გამოხატვის კანონზომიერება პირთა ბრუნვაცვალეზადობის მიხედვით.

## თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

### **საინფორმაციო მედიაენა — როგორც პოლიტიკური მანიპულირების მეთოდი**

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა საჯარო მოხსენებაში აღნიშნა: „პროპაგანდასა და ინფორმაციაში ჩადებული ერთი დოლარი გაცილებით ფასეულია, ვიდრე ათი დოლარი — იარაღის სისტემების შესაქმნელად გადადებული... ინფორმაცია საათში ერთხელ ყველგან მუშაობს“.

დღევანდელ მსოფლიოში მასობრივი ინფორმაცია საზოგადოებაზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ერთ-ერთ მძლავრ იარაღს წარმო-

ადგენს, შესაბამისად, პოლიტიკური მანიპულირების ყველაზე ეფექტურ საშუალებადაც სწორედ „საეთერო კომუნიკაცია“ გვევლინება.

ერთი და იგივე ინფორმაცია ხშირად სხვადასხვა ტელეარხის საშუალებით აბსოლუტურად განსხვავებული ემოციით მიეწოდება საზოგადოებას: ერთ შემთხვევაში მომხდარის შინაარსი უკიდურესადაა გამძაფრებული, ხოლო სხვა შემთხვევაში სათქმელი გაცილებით მოზომილი და შენიღბულია, მაგ.: „დაკავების ოპერაციის დროს პოლიციელებმა მოკლეს ეჭვმიტანილი“, შდრ.: „სამართალდამცველებმა ეჭვმიტანილის (ფაქტობრივად — მკვლელის) ლიკვიდაცია განახორციელეს“. ორივე ინფორმაციის მიხედვით ეჭვმიტანილი გარდაცვლილია, მაგრამ პირველ შემთხვევაში პოლიცია „მკვლელობასთან“ ასოცირდება, მეორეში — „მოვალეობის შესრულებასა და მკვლელის ლიკვიდაციასთან“; ან კიდევ: „წერტილოვანი საჰაერო დარტყმები“, შდრ.: „ობიექტების დაბომბვა“; „მიტინგის დაშლა“, შდრ.: „აქციის დარბევა“; „პრევენციული ზომები“, შდრ.: „გამაფრთხილებელი იერიში“; „თვითგამორკვევა“, შდრ.: „ექსტრემიზმი“; „ომი“, შდრ.: „მშვიდობის დამყარება ძალის გამოყენებით“ და სხვ.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნება ის ენობრივი საშუალებანი, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ერთი და იმავე ინფორმაციის განსხვავებული სტატუსით წარმოჩენა (საინფორმაციო მედიანის მასალაზე დაყრდნობით).

## მ ა კ ა თ ე თ რ ა ძ ე

### **ლეზიური ენის ფონოლოგიური სისტემის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევისათვის**

რაოდენობრივი კვლევითი მეთოდების გამოყენება ლინგვისტური მასალის დასამუშავებლად მნიშვნელოვანი საშუალებაა საგულისხმო სურათის შექმნისთვის. ფონოლოგიური სტატისტიკა ფონემას რამდენიმე თვალსაზრისით შეისწავლის; პირველი, და ასევე ბაზისი სტატისტიკური კვლევისა, არის ფონემათა განაწილების სიხშირის დათ-

ვლა. ჩვენ შეგვეცადეთ ლეზგიური ენის ფონოლოგიური სისტემის სიხშირული მონაცემები სტატისტიკურად შეგვეფასებინა და მიღებული შედეგები განგვეხილა იმ ენობრივ ალბათობებთან მიმართებით, რომლებიც გამოვლინდება ენობრივი მონაცემების თვისობრივად შესწავლისას.

ლეზგიურისთვის გავითვალისწინეთ ის ფაქტორები, რომლებიც გააძნელებდა ფონემათა ზუსტი სიხშირის დადგენას, მაგ., გრაფემათა და ფონემათა რაოდენობა ერთმანეთს არ ემთხვევა, მეორეც, ერთი და იგივე გრაფემა ერთ შემთხვევაში შეიძლება ფონემას აღნიშნავდეს, სხვა შემთხვევაში კი — კომპლექსს (ა); ან სხვადასხვა გრაფემით ერთი და იგივე ფონემა გადმოიცემოდეს (ე, ე).

ტექსტური კორპუსის მინიმალური მოცულობა ფონოლოგიური ანალიზისთვის ენათა მიხედვით განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგ., ჩეხურისთვის უდიდესი სიხშირის ფონემის დადგენისთვის საჭიროა არანაკლებ 8 000 ფონემისა, ყველაზე დაბალი სიხშირის ფონემისთვის კი — 150000 ფონემისა (კონიგოვა: 1965). ქართული ენის ხმოვანთა გამოყენების სიხშირეს განიხილავენ თ. უთუარგაიძე, ჰ. ფოგტი. ისინი მსგავსი მეთოდით (უთუარგაიძე — 32 ნაბეჭდი გვერდი; ფოგტი — 11000 ფონემა) ითვლიან ხმოვანთა განაწილების სიხშირეს და იდენტურ დასკვნებს აკეთებენ.

ლეზგიურის ფონოლოგიური სტატისტიკისთვის გამოვიყენეთ 11 გვერდი მხატვრული და პუბლიცისტური შინაარსის ტექსტი, რომელიც 30000-მდე ფონემას მოიცავს.

ჩატარებული კვლევის პირველადი შედეგები შემდეგია: ფონემათა საერთო რაოდენობის 39,4% ხმოვნებია, 60,6% — თანხმოვნები.

ხმოვანთა შედარებითი სიხშირის (rf) ცხრილი:

| ხმოვნები | შედარებითი სიხშირე |
|----------|--------------------|
| a (ა)    | 19,42%             |
| i (ი)    | 9,72%              |
| e (ე, ე) | 4,11%              |



|        |       |
|--------|-------|
| u (y)  | 4,10% |
| y (yь) | 1,14% |
| o (o)  | 0,44% |
| æ (я)  | 0,40% |
| i (и)  | 0     |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი სიხშირის ხმოვანი არის /a/. მაღალი აწეულობის /i/ ორჯერ უფრო ნაკლები სიხშირით გამოირჩევა, ვიდრე დაბალი აწეულობის /a/. საშუალო აწეულობის /e/ -სა და ლაბიალური, მაღალი აწეულობის /u/-ს სიხშირე თითქმის თანაბარია.

/y/-ს რელევანტური ნიშანი /u/-სთან მიმართებით წინა რიგის წარმოებაა, ხოლო /i/-სთან მიმართებით — ლაბიალობა. ლაბიალობის, როგორც დამატებითი დერივანტის, გამოყენების სიხშირე შედარებით დაბალია. როგორც თ. უთურგაიძე მიუთითებს, ლაბიალობის დართვით ხმოვანთა გამოყენების სიხშირე უნდა შემცირდეს (უთურგაიძე 1976: 21). ლეზგიური ენის ვოკალიზმიც მსგავს სურათს გვიჩვენებს.

რაც შეეხება დანარჩენ ხმოვნებს, ისინი, ძირითადად, ნასესხებ სიტყვებში გვხვდება, ამათგან, i (и) სალიტერატურო ლეზგიურში მხოლოდ რუსულიდან შემოსულ, არაადაპტირებულ სიტყვებში უცვლელად გამოიყენება და შესაბამისად, აღინიშნება ლეზგიურ გრაფიკულ სისტემაშიც. ჩვენს საკვლევ მასალაში მხოლოდ 17 ერთეული დავითვალეთ, რაც, საბოლოოდ, პროცენტულად ნულს გაუტოლდა. ზოგიერთი მკვლევარი ლეზგიური ენის დიალექტებში ძირეულ ლექსიკაში ადასტურებს ამ ხმოვანს (გაიდაროვი და სხვ. 2009: 50). იგივე შეიძლება ითქვას /o/ ხმოვანზეც, რომელიც არაორგანულია ლეზგიურისთვის. წინა წარმოების, დაბალი აწეულობის /æ/ ძირში ძალიან იშვიათია, მხოლოდ ერთ სუფიქსში გვხვდება (-æj). უმეტესობა ფუძეებისა, სადაც /æ/ ფიქსირდება, არაბულიდან ნასესხები ჩანს (ჰასპელმათი 1993: 31).

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება ხმოვნებთან ერთად თანხმო-  
ვანთა განაწილების სიხშირე და სხვა სტატისტიკური მონაცემები:  
გამოყენების სიხშირის საშუალო არითმეტიკული, საშუალო შეწონი-  
ლი, ფონემათა დისპერსია, ვარიანტთა კოეფიციენტი და სხვ.

## დ ი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

### **-ცრ სუფიქსი წოვათუშურში**

საკვლევ სუფიქსის ფუნქციონირების საკითხებს წოვათუშურში  
ეძღვნება ე. ქადაგიძის წერილი, რომელიც 1987 წელს გამოქვეყ-  
ნდა, თუმცა იგი გამოყოფს არა-ცრ-ს, არამედ — აცრ მაწარმოებელს.  
ამავე დროს, ის ამ სუფიქსის მხოლოდ ერთ ფუნქციაზე ამახვილებს  
ყურადღებას (კნინობით-ალერსობითობაზე). ლექსიკური მასალის  
ანალიზის საფუძველზე, ჩვენი აზრით, შესაძლებელია ზოგიერთი სა-  
კითხის სხვაგვარად გააზრება და ახალი ნიუანსების გამოკვეთა:

1) -ცრ სუფიქსი გამოიყოფა საკუთრივ წოვათუშურ ლექსიკაში.  
დღეს, ხშირ შემთხვევაში, აღარ ჩანს მისი ფუნქცია, მაგრამ ის რომ  
წარმოშობით კნინობით-ალერსობითის მაწარმოებელი უნდა იყოს,  
ჩანს ჩეჩნურის მონაცემებიდან, სადაც მის ფუნქციურ შესატყვისად -  
გ სუფიქსი გვაქვს, შდრ., მაგ., დახა-ცრ „შურთხი“ — ქისტური —  
დნხაგ. ჩეჩნურში -გ სუფიქსს კნინობითობის ფუნქცია აქვს (ა. ჩოქა-  
ევი). საკუთარი ლექსიკის მხოლოდ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულში  
ჩანს -ცრ სუფიქსის აღნიშნული ფუნქცია: ვაშლა-ცრ „ძამიკო“,  
აშლა-ცრ „დაიკო“... ამ სუფიქსს ნასესხებ ლექსიკაში კი რიგ შე-  
მთხვევაში წოვათუშური იყენებს კნინობით-ალერსობითი და ქონე-  
ბის სახელების მაწარმოებლად. უნდა აღინიშნოს, რომ სახელებში ყო-  
ველთვის ვერ ხერხდება -ცრ-ს გამოყოფა, ვინაიდან, ზოგიერთ მათ-  
განს არ მოეპოვება -ცრ სუფიქსის უქონელი საპირისპირო ფორმები:  
**თათრა-ცრ** „თათარა“, ვირთაგვა-ცრ „ვირთაგვა“ და სხვ.

2) -ცრ სუფიქსი დაერთვის როგორც თანხმოვანფუძიან, ისე ხმო-  
ვანფუძიან სახელებს. ხმოვანფუძიანთაგან უმრავლესობა ა-ფუძიანია

და, ჩვენი აზრით, უმართებულოა აქ ა-ს სუფიქსის ნაწილად მიჩნევა. მაგ., მუშა-ცრ „მუშა“, პიტნა-ცრ „პიტნა“, ჭალა-ცრ „ჭალა“ და სხვ. ა თანხმოვანფუძიან სახელებთანაც ჩნდება, მაგ., მამლ-ა-ცრ „მამალი“ (< მამლ-ა-ცრ < მამალ-ა-ცრ) , მაგრამ აქ იგი თანხმოვანთგამყარად უნდა მივიჩნიოთ.

როდესაც -ცრ სამმარცვლიან სახელებს დაერთვის, ხდება რედუქცია. მაგ., ბოსტნა -ცრ „ბოსტანა“, ენძლა-ცრ „ენძელა“, კობლა-ცრ „კობალა“ და სხვ.

მაშასადამე, შესაძლებელია გამოიყოს -ცრ სუფიქსის შემდეგი ფუნქციები: კნინობით-ალერსობითი და ქონების სახელების წარმოება. ამ უკანასკნელში, თავის მხრივ, განირჩევა მსგავსებისა და ნიშანთვისების აღმნიშვნელი სახელები.

## ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

### **მესამე სუბიექტური პირის /-ნ/ ნიშნის გენეზისისათვის მეგრულ-ლაზურში**

მეგრულ-ლაზური მასალის ანალიზისა და ქართული ენის სათანადო მონაცემებთან შეპირისპირების საფუძველზე გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ მეგრულ-ლაზურის მესამე სუბიექტური პირის /-ნ/ ნიშანი ძველ ქართულში დადასტურებული მესამე სუბიექტური პირის /-ნ/ ნიშნის შესატყვისს კი არ უნდა წარმოადგენდეს, როგორც ეს აქამდე მიიჩნეოდა, არამედ საერთოქართველური /\*-აჟ/ თემის ნიშნის მეგრულ-ლაზური /-უნ/ რედუქციის რეინტერპრეტაციის შედეგად უნდა იყოს მიღებული: /\*-უნ/ > /-უნ-ნ/.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ამ ვარაუდის დასაბუთების ცდა და შედეგები, რომლებიც აქედან გამომდინარეობს.

# გ უ ჩ ა კ ვ ა რ ა ც ხ ე ლ ი ა

## არქეტების ცნებისათვის

ტერმინმა „არქეტიპი“ ფართო გავრცელება პოვა მე-20 საუკუნის სამეცნიერო ურთიერთობაში. იგი იხმარება სხვადასხვა მეცნიერებაში, მათ შორის ლინგვისტიკასა და მის მომიჯნავე დისციპლინებში, როგორცაა: კოგნიტიური ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა და სხვ.

როგორც სპეციალისტები წერენ, ტერმინი პირველად გამოყენებული ყოფილა ანტიკურ პლატონიზმში, მე-20 საუკუნეში კი ფართო კულტურულ მიმოქცევაში შემოიტანა შვეიცარიელმა ფსიქონალიტიკოსმა კ. გ. იუნგმა („არქეტიპების შესახებ“, 1937), რომელიც ფროიდის მიმდევარი იყო, მაგრამ შემდგომ მისი ანტაგონისტი გახდა. ანალიტიკური ფსიქოლოგიიდან ამომავალი იუნგის კატეგორია — არქეტიპი, აერთიანებს აზროვნების თანდაყოლილსა და შექმნილ მყარ ფორმებს, რომლებიც ქცევაში აისახება — პრობლემური სიტუაციების დროს სინამდვილის სტრუქტურირიზაციასა და გადაწყვეტილებათა მიღებაში.

თუ ანტიკურ ხანას მივმართავთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ პლატონისათვის არქეტიპი, როგორც იდეა, არის სამყაროს თავისებური „მატრიცა“, მაშინ როდესაც იუნგისთვის არქეტიპი წარმოადგენს არაცნობიერის სტრუქტურირების საფუძველს, ამასთანავე, თუ ფროიდთან ეს არაცნობიერი ინდივიდუალურია და სხვადასხვა კომპლექსში ხორციელდება, იუნგთან იგი ფსიქოფიზიოლოგიური ბუნებისაა, რომელიც არ არის დეტერმინირებული არც გარემოთი და არც გამოცდილებით. არქეტიპი ინდივიდუალურ არქეტიპზე უფრო ღრმად ძვეს და იგი ერის, რასის, მთელი კაცობრიობის ხსოვნას მოიცავს. ასე იქცევა ინდივიდუალური კოლექტიურ არქეტიპად.

არქეტიპი წარმოადგენს არც თვით სახეს, არამედ მის სქემას, რომელიც უნივერსალურობის თვისების მქონეა და აერთიანებს წარსულსა და აწმყოს, საყოველთაოსა და კერძოს, მომხდარსა და პოტენციურად შესაძლებელს, რაც ვლინდება მაგალითად, არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ყოველდღიურ ქმედებაში (სიზ-

მრებში, ფანტაზიებში). არქექტივის დავიწყება ან რღვევა მთავარი მიზეზია როგორც ინდივიდუალური ნერვული აშლილობის, ისე ცივილიზაციის აშლილობისაც. ამიტომ იუნგის მიმდევართათვის არქექტივის ხელოვნებით კვლავწარმოება — ესთეტიკის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა: მხატვრული ნაწარმოების ღირებულება და ზემოქმედებითი ძალა არქექტიპული სახეებითა და მოტივებით განისაზღვრება.

ლიტერატურათმცოდნეობაში არქექტივის დეფინიცია, როგორც იმ საყოველთაო ზოგადი და ფუნდამენტური თავდაპირველი სახეებისა და მოტივების აღნიშვნა (სახელდება), რომლებიც საფუძვლად ედება მხატვრულ სტრუქტურებს, საკმაოდ ადეკვატური აღმოჩნდა. იუნგისეული ესთეტიკის თანახმად, ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზი, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს არქექტივის გამოყვანას მხატვრულ ნაწარმოებში არსებული ისეთი კომპონენტებიდან, როგორცაა: სიმბოლოები, მითოლოგიები და მოტივები.

არქექტივის ცნება ენათმეცნიერებაში გამოიყენება ისტორიულ-შედარებითი მეთოდით ენათა კვლევებისას. აქ არსებითია ამოსავალი ენობრივი ფორმა, ანუ წინარე ფორმა, პროტოტიპი, რომლის აღდგენას ემსახურება მონათესავე ენებში ბგერათშესატყვისობათა დადგენა. არქექტიპი აქაც, როგორც ზემომოყვანილ დარგებში, განიხილება როგორც თეორიული შესაძლებელი ფორმა, რომელიც რიგი ენის რეალურად დამოწმებული სტრუქტურული ელემენტების შედარება-შეპირისპირების გზით გამოიყვანება და ენათა ოჯახისა ან მონათესავე ენების ჯგუფის წინარეენობრივი მდგომარეობის რეპრეზენტანტს წარმოადგენს.

მოხსენებაში დასმულია საკითხი მეცნიერულ ცნებათა განმარტებით ლექსიკონში სალექსიკონო სტატიის აგებისა და იქ სხვადასხვა დარგის ერთი დასახელების ანალოგიურ ცნებათა შეტანის მიზანშეწონილობისა და გზების შესახებ.

## ერთი ტიპის კომპოზიტა დაწერილობისათვის თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში (პრესის ენასა თუ სხვადასხვა სახის დოკუმენტებში) საკმაოდ მრავლად დასტურდება ერთი ტიპის სამნაწილიანი კომპოზიტები სხვადასხვაგვარი დაწერილობით. მაგ.: „საინტერესოა, თუ როგორ ტრანსფორმირდება **ტელე-კინო-პროდუქცია** მასობრივი მანიპულაციის საშუალებად“; „მთავრობის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ **ტელე-რადიო-დეპარტამენტის** თანამშრომლებთან“; „კადრირების მეშვეობით არა მხოლოდ რეალობა აისახება, არამედ ის განიმარტება კიდევ, რასაც სიუჟეტის განვითარების დრამატურგია და ტექსტი ემატება, ჯამში კი **ტელე კინო პროდუქტი** მაყურებელზე დიდ გავლენას ახდენს“; „ამის ანალიზის საშუალებას იძლევა იმ პერიოდის **ტელეკინოპროდუქცია**“; „მთავრობის წარმომადგენლებს შეხვედრა ჰქონდათ **ტელერადიოდეპარტამენტის** თანამშრომლებთან“; „რა შედეგი მოიტანა პროპაგანდისტულმა **ტელე-კინო პროდუქციამ** ახალი საზოგადოებრივი აზროვნების დაკვირვების პროცესში“; „მან აჭარის **ტელე-რადიო დეპარტამენტის** რეგიონალურ საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის კანონპროექტზე ისაუბრა“; „აღსანიშნავი იყო აგრეთვე **ტელე რადიო-კომიტეტის** მუშაობის გააქტიურება“; „**ტელე რადიო-დეპარტამენტი** წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულებას“; „როგორც **ტელერადიო-კომიტეტი**, ისე კინოსტუდია „ქართული ფილმი“ სახელმწიფოს დაქვემდებარებაში იმყოფება“; „შვედეთში საარჩევნო კამპანიის დროს (7 კვირით ადრე არჩევნებამდე) პარტიებს ეძლევათ უფასო **ტელერადიო-ეთერი**“; „მასმედია პოლიტიკურ საკითხებზე კომენტარებისათვის რეგულარულად იწვევს ყველას **ტელე-რადიოეთერში**“; „ის გახლდათ ეთნომუსიკოლოგი, **ტელე-რადიოკომიტეტის** მუსიკალური პროგრამების მთავარი რედაქციის მთავარი რედაქტორი“...

მასასადამე, დაწერილობის თვალსაზრისით დასტურდება შემდეგი ტიპები: 1) სამნაწილიანი კომპოზიტის ყველა წევრი დეფისით გამოე-

ყოფა ერთმანეთს (**ტელე-კინო-პროდუქცია**); 2) სამივე კომპონენტი წარმოდგენილია ცალ-ცალკე (**ტელე კინო პროდუქცია**); 3) კომპოზიტი დაწერილია ერთად (**ტელეკინოდეპარტამენტი**); 4) პირველი ორი კომპონენტი წარმოდგენილია დეფისით, ხოლო მესამე — ცალკე (**ტელე-კინო პროდუქტი**); 5) პირველი კომპონენტი ცალკეა დაწერილი, ხოლო მეორე და მესამე — დეფისით (**ტელე რადიო-პროდუქცია**); 6) პირველი და მეორე ნაწილი წარმოდგენილია ერთად, ხოლო მესამე მათ გამოეყოფა დეფისით (**ტელერადიო-კომიტეტი**); 7) პირველ კომპონენტს დეფისით გამოეყოფა მეორე და მესამე კომპონენტები, რომლებიც ერთადაა დაწერილი (**ტელე-რადიოეთერი**).

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

### **ბრუნების სისტემისათვის საერთოლენზგიურში<sup>2</sup>**

ლენზგიური ენებისათვის მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია ბრუნების შემდეგი პრინციპები: ორფუძიანობა — ბრუნებისას განირჩევა პირდაპირი და ირიბი ფუძეები; ირიბი ფუძის ფორმა ლენზგიურში, თაბასარანულში, აღლულურსა და არჩიბულში ერგატივს ემთხვევა, კრიწულში — გენიტივს. დანარჩენ ლენზგიურ ენებში ირიბი ფუძე ან პირდაპირს ემთხვევა, ანდა — ჩანართოვან ელემენტთა მეშვეობით იწარმოება, რომელიც ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის იკავებს ადგილს.

ბრუნვები ფორმალურად და ფუნქციურადაც იყოფა აბსტრაქტულ (ძირითად) და ლოკატიურ ბრუნვებად. აბსტრაქტულ ბრუნვათა რიცხვი ლენზგიურ ენებში, როგორც წესი, ოთხით განისაზღვრება; ესენია: სახელობითი (აბსოლუტივი), ერგატივი (რომელიც ინსტრუ-

---

<sup>2</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: № 31/45).

მენტალისის ფუნქციასაც ითავსებს), გენტივი და დატივი. წახურში, ამას გარდა, ინსრუმენტალისი და აფექტივი დასტურდება, ინსტრუმენტალისი ბუდუნურშიც გვხვდება, არჩიბულსა და უდიურში — ორი მიცემითი, ხოლო კავკასიის ალბანურში — დატივის სამი ფორმა და ვოკატივი. რაც შეეხება ლაკატიურ ბრუნვებს, ისინი ლეზგიურში, თაბასარანულში, აღულურში, წახურსა და არჩიბულში სერიებშია გაერთიანებული. ლეზგიურში, აღულურში, წახურსა და არჩიბულში თითოეული სერია სამ-სამი ბრუნვითაა წარმოდგენილი (უძრაობის — ესივი; დაშორებითი — აბლატივი; მიმართულებითი — ალატივი), ხოლო თაბასარანულში — ექვსით (იგივე + კომიტატივი (თანაობითი) და ორი დირექტივი — დაშორებითი და მიმართულებითი). დანარჩენ ლეზგიურ ენებში, რომლებშიც ლოკატიურ ბრუნვათა სერიულობა დაკარგულია, შეინიშნება მისი ნაშთი.

საერთოლეზგიურისათვის აბსტრაქტულ ბრუნვათა შემდეგი ნიმუშების აღდგენა გვესახება შესაძლებლად:

აბსოლუტივი: ს.-ლეზგ. \***-θ** > ლეზგ. **-θ**: თაბ. **-θ**: აღ. **-θ**: რუთ. **-θ**: წახ. **-θ**: კრიწ. **-θ**: ბუდ. **-θ**: არჩ. **-θ**: ხინ. **-θ**: უდ. **-θ**: კავკ.-ალბ. **-θ**.

დატივი: ს.-ლეზგ. \***-ს** > ლეზგ. **-ზ**: თაბ. **-ზ**: აღ. **-ს**: რუთ. **-ს**: წახ. **-ს/ს**: კრიწ. **-ს**: ბუდ. **-ზ**: არჩ. **-ს**: კავკ.-ალბ. **-ს**.

გენტივი: ს.-ლეზგ. \***-ნ** > ლეზგ. **-ნ**: თაბ. **-ნ**: აღ. **-ნ**: წახ. **-ნ**: უდ. **-ნ**: არჩ. **-ნ**: კავკ.-ალბ. **-Vნ**.

საერთოლეზგიური ერთობისათვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი თანდებულიან ბრუნვათა წარმოების შემდეგი მოდელი: ირიბი ფუძე + ლოკალიზაციის (სერიის) მაჩვენებელი + მიმართულების მაჩვენებელი. ამასთან, ირიბ ბრუნვათა ფუძე საერთოლეზგიურში, საფიქრებელია, ერგატივის ფორმას ემთხვეოდა. ეს ვითარება, როგორც უკვე აღინიშნა, შენარჩუნებულია ლეზგიურ, თაბასარანულ, აღულურსა და არჩიბულ ენებში. საერთოლეზგიურისათვის ირიბი ფუძის მაწარმოებლად სამეცნიერო ლიტერატურაში ნავარაუდევია როგორც ვოკალური (\***-ე**, \***-გ**, \***-ა**, \***-ჰ**) და კონსონანტური სუფიქსები (\***-რა**, \***-ნე**, \***-ნი**, \***-ლი**, \***-თი**), ისე ხმოვანთა მონაცვლეობაც ფუძეში: \***ა** : \***ო**; \***უ** : \***ი**.



რაც შეეხება ლოკალიზაციის მაჩვენებლებს, საერთოლენგუიური-სათვის შემდეგ მაწარმოებლებს ვვარაუდობთ:

„ორიენტირზე“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ლ-: ლეზგ. -ალ-  
თაბ. -ლ-: ად. -ლ-: რუთ. -ლ-: წახ. -ლ-: ბუდ. -ლ-: უდ. -ლ-: კავკ.-ალბ. -ლ-:  
არჩ. -თ // -თა(?).

„ორიენტირში“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ღ-: ლეზგ. -ღ-: თაბ.  
-ფ: ად. -ფ: რუთ. -ფ: წახ. -ფ: კრიწ. -ფ // -ჭ: ბუდ. -ფ // -ჭ: უდ. -ფ: არჩ.  
-ფ: უდ. -ფ: კავკ.-ალბ. -ფ.

„ორიენტირთან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ლჭჷ-: ლეზგ.  
-ჭჷ: თაბ. -ნ (ჟ): ად. -ჭჷ: რუთ. -ნჭჷ: კრიწ. -ჭჷ: ბუდ. -ჭჷ: უდ. -ნ: არჩ.  
-ლჭჷ: უდ. -ნ: კავკ.-ალბ. -ნ.

„ორიენტირთან უშუალო შეხება“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი  
\*-ქ-: ლეზგ. -ქ-: თაბ. -ქ-: ად. -ქ-: რუთ. -ქ-: წახ. -ქ-: კრიწ. -ქ-: ბუდ. -ქ-:  
არჩ. -ქ-: კავკ.-ალბ. -ქ.

„ორიენტირის უკან“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ვ-: ლეზგ.  
-ვ: თაბ. -ვ: ად. -ვ: რუთ. -ნ//ვ: წახ. -ვა: კრიწ. -ნ: ბუდ. -ნ: არჩ. -ნ (?):  
ხინ. -ნ.

„ორიენტირთა შორის“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ყნ-: თაბ. -  
ყნ // -ღნ: ად. -ღნ: არჩ. -ვნ.

„ორიენტირის ქვეშ“ ლოკალიზაციის მაჩვენებელი \*-ტა-: ლეზგ. -ქ-:  
თაბ. -ქა: ად. -ქა: რუთ. -ქ-: წახ. -ქ-: კრიწ. -ქ-: ბუდ. -ქ-: არჩ. -ტა: ხინ.

-ქ-: კავკ.-ალბ. -ყ.

მიმართულების მაჩვენებლებიდან საწყისი (უძრობის) მაჩვენებელი (ლოკატივი) საერთოლენგუიურში არამარკირებული უნდა ყოფილიყო, ხოლო აბლატივისა და ალატივის მაწარმოებლების რეკონსტრუქცია დაბრკოლებას აწყდება.

## ენობრივი სიტუაცია თანამედროვე ესპანეთში

თანამედროვე ესპანეთი მულტილინგვისტური, მულტიკულტურული და მულტინაციონალური ქვეყანაა.

სამართლებრივი და ინსტიტუციონალური თვალსაზრისით ენობრივ სიტუაციას დღევანდელ ესპანეთში ორი ძირეული ფაქტორი განსაზღვრავს: ის ფაქტი, რომ კონსტიტუცია აღიარებს ესპანეთის მულტილინგვისტურ და მულტიკულტურულ ხასიათს და ასევე ის ფაქტიც, გამოიყენა რა კონსტიტუციით შეთავაზებული შესაძლებლობა, ესპანეთმა, როგორც ჩანს, შეიძინა ავტონომიურ საზოგადოებებზე/თემებზე დაფუძნებული სტრუქტურა, — აღნიშნავს მ. სიხუანი.

**ესპანური** არის ესპანეთის ოფიციალური ენა, მაგრამ მისი ლეგალური სახელია **კასტილიური**, როგორც ეს განსაზღვრულია კონსტიტუციაში (1978). 'español'-ის გამოყენების საწინააღმდეგო ძირითადი არგუმენტი ისაა, რომ დანარჩენი ენებიც, რომლებზეც ესპანეთში ლაპარაკობენ, ესპანურია. მიუხედავად ამისა, გონივრული ჩანს კასტილიურის გამოყენება და ესპანურის შემონახვა სხვა კონტექსტებისათვის მხოლოდ იქ, სადაც სხვა ოფიციალური ენებიც არსებობენ (ო. გონსალესი, 1995). აღსანიშნავია, რომ მსოფლიო მასშტაბით სინონიმების ესპანურისა და კასტილიურის ხმარების სიხშირე განსხვავებულია, მაგალითად, გვატემალაში ტერმინი კასტილიური უფროა გავრცელებული, ამერიკაში — ესპანური და ა. შ..

1978 წლის ესპანეთის კონსტიტუციამ კასტილიური სახელმწიფოს ოფიციალურ ენად გამოაცხადა, მაგრამ მან ასევე დაუშვა, რომ კატალონიური, ბასკური და გალიციური თანაოფიციალური ენები ყოფილიყვნენ თავიანთ შესაბამის რეგიონებში.

ესპანეთის კონსტიტუციის მე-3 მუხლი ამგვარად განსაზღვრავს მათ ოფიციალურ სტატუსს:

3.1 კასტილიური არის სახელმწიფოს ოფიციალური ესპანური ენა. ყველა ესპანელის მოვალეობაა, იცოდეს იგი და ყველა ესპანელს აქვს მისი გამოყენების უფლება.

3.2 ესპანეთის სხვა ენები ასევე იქნება ოფიციალური თავიანთ შესაბამის თვითმმართველ საზოგადოებებში, მათი სტატუსის შესატყვისად.

3.3 ესპანეთის ენობრივი სიმდიდრე და მრავალფეროვნება ის კულტურული მემკვიდრეობაა, რომელიც იქნება განსაკუთრებული პატივისცემისა და დაცვის ობიექტი/საგანი (ესპანეთის კონსტიტუცია 1978).

მიუხედავად იმისა, რომ ესპანურს მოსახლეობის თითქმის 100 პროცენტი ფლობს, ის ყველასთვის არ არის პირველი ენა, რადგან მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ცხოვრობს ორენოვან ავტონომიურ თემებში.

კასტილიურის შემდეგ ყველაზე გავრცელებული ენაა **კატალონიური**. ამ ენაზე მეტყველებენ კატალონიაში (5. 978.628), ბალეარის კუნძულებზე (680.933), ვალენსიაში (3.730.628). კატალონიურად ლაპარაკობენ ასევე ანდორაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ საფრანგეთსა და სარდინიაში.

აღსანიშნავია, რომ ესპანეთის ავტონომიებში კატალონიური სხვადასხვა ვარიანტით არის წარმოდგენილი.

კატალონიის ავტონომიის კანონმდებლობის მესამე მუხლის შესაბამისად:

1. კატალონიის საკუთარი ენა არის კატალონიური.

2. კატალონიური არის ოფიციალური ენა კატალონიაში, ისევე როგორც კასტილიური.

3. მთავრობა უნდა იყოს გარანტი ორივე ენის ოფიციალური და ნორმალური გამოყენებისა, მიიღოს აუცილებელი ზომები მათი შესწავლისათვის და შექმნას სათანადო პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ სრულ თანასწორუფლებიანობას კატალონიის მოქალაქეების უფლებებისა და მოვალეობების გათვალისწინებით.

კატალონიური ფართოდ გავრცელებული ენაა საგანმანათლებლო სისტემაში, მასმედიაში და ცხოვრების ყველა სფეროში. მაგრამ არც ის უნდა დაგვაფიქვდეს, რომ კატალონია ემიგრანტთა ქვეყანაა და დაახლოებით ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი არ დაბადებულა კატალონიაში. ეს ფაქტორი განმარტავს, თუ რატომაა კატალონიის

მოსახლეობის ესოდენ დიდი ნაწილისათვის მშობლიური ენა კასტილიური და არა კატალონიური. მიუხედავად ამისა, კატალონიაში მცხოვრები ეს მოსახლეობაც, რომელთათვისაც კატალონიური არ არის დედაენა, სწავლობენ და იციან კიდევ ის, რადგან ეს აუცილებელია წარმატებისათვის და კატალონიაში სრულფასოვანი ინტეგრაციისათვის. მართალია, კატალონიაში ძალიან მაღალია კატალონიურის ცოდნისა და პრესტიჟის ხარისხი, მაგრამ როგორც სხვა ავტონომიებში, აქაც 1983 წლიდან მოქმედებს „კატალონიის ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“).

ბალეარის კუნძულის ოფიციალური ენა არის კატალონიური.

### **მუხლი 3**

1. კატალონიურ ენას, ბალეარის კუნძულების ენას, მიენიჭოს ოფიციალური ენის სტატუსი, ისევე როგორც კასტილიურს, და ცოდნისა და გამოყენების უფლება. ენის გამო ვინმეს დიკრიმინაცია დაუშვებელია.

### **მუხლი 14**

კატალონიური ენის სხვადასხვა ვარიანტი, რომელიც კუნძულზე გამოიყენება, იქნება შესწავლისა და დაცვის საგანი ენის მთლიანობისათვის ზიანის მიუყენებლად.

კატალონიურს, რომელზეც ამ კუნძულებზე მეტყველებენ, აქვს ადგილობრივი ვარიანტები, რომლებიც ყველა კუნძულზე განსხვავებულია. ის ფაქტი, რომ მოსახლეობის უმეტესობამ შეინარჩუნა მისი გამოყენება, ასევე ის გარემოებაც, რომ ბოლო დრომდე ემიგრაცია შეზღუდული იყო, განაპირობებს იმას, რომ იმ მოსახლეობის ხვედრითი წილი, რომლისთვისაც ეს ენა მშობლიურია, ძალიან მაღალია. თუმცაღა ტურიზმის ინტენსიური განვითარება ბალეარის კუნძულებზე იწვევს ემიგრანტი მუშახელის და მომსახურე პერსონალის, ასევე უცხოელი რეზიდენტების მასიურ შემოდინებას. 1986 წლიდან ბალეარის კუნძულებზე მოქმედებს „ბალეარის კუნძულების ენობრივი ნორმალიზაციის კანონი“.

ვალენსიის ავტონომიაში, კასტილიურთან ერთად ოფიციალური ენაა **ვალენსიური**. ავტონომიის კანონმდებლობა გვაუწყებს:

## **მუხლი 12**

1 ავტონომიური თემის ორი ოფიციალური ენა არის ვალენსიური და კასტილიური. ყველას აქვს უფლება იცოდნენ და გამოიყენონ ისინი.

2 ვალენსიის მთავრობა უნდა იყოს გარანტი ორივე ენის ნორმალური და ოფიციალური გამოყენებისა და უნდა მიიღოს აუცილებელი ზომები მათი ცოდნის უზრუნველსაყოფად.

3. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია

4. გარანტირებულ იქნეს საგანგებო დაცვა და პატივისცემა ვალენსიური ენის ასაღორძინებლად.

5. კანონი დააწესებს თემის ენის ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო გამოყენების კრიტერიუმებს.

6. კანონი განსაზღვრავს იმ ტერიტორიებს, სადაც ამა თუ იმ ენის გამოყენება დომინირებს, ასევე იმ შემთხვევებსაც, როცა დასაშვებია თემის საკუთარი ენის არცოდნა და გამოუყენებლობა.

ვალენსიური ენის ბუნება და მისი, როგორც კატალონიურის ერთ-ერთი ვარიანტის, იდენტიფიკაცია წარმოქმნის გარკვეულ პრობლემებს, რომელთა გადაჭრისათვის მთავრობა ეფექტურ ნაბიჯებს დგამს. ვალენსიის ავტონომიური თემის ერთი ნაწილი თავიდანვე კატალონიურად მეტყველებდა, მაგრამ ენას დაბალი სოციალური პრესტიჟი აქვს, ვინაიდან ქალაქებში და საზოგადოების მაღალ ფენებში თანდათან მოხდა მასზე უარის თქმა. თუმცაღა დიდი ნაწილი იმ ადამიანებისა, ვისთვისაც ვალენსიური მშობლიური ენა არ არის, აცხადებს, რომ ესმის ვალენსიური. ვალენსიურის დამკვიდრებასა და გაძლიერებას ხელს უწყობს აგრეთვე 1983 წელს ამოქმედებული „კანონი ვალენსიური ენის გამოყენებისა და სწავლების შესახებ“.

**გალიციური** გავრცელებულია ესპანეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, გალიციაში. იგი 4 პროვინციისაგან შედგება: კორუნა, ლუგო, ოურენსი და პონტევედრა.

გალიციის ავტონომიის კანონმდებლობის პრეამბულის მე-5 მუხლი ნათლად განსაზღვრავს რეგიონის ენობრივ სიტუაციას:

1. გალიციური არის გალიციის ავტოქთონური ენა.

2. გალიციური და კასტილიური წარმოადგენს გალიციის ოფიციალურ ენებს და ყველას აქვს მათი შესწავლისა და გამოყენების უფლება.

3. გალიციის ხელისუფლება უზრუნველყოფს ორივე ენის ნორმალურ და ოფიციალურ გამოყენებას და ხელს უწყობს გალიციურის გამოყენებას საზოგადოებრივი/საჯარო ცხოვრების ყველა სფეროში კულტურის, ხელოვნებისა და ინფორმაციული სისტემების საშუალებით და, ასევე, მიმართავს ყველა აუცილებელ საშუალებას მისი შესწავლის ხელშეწყობისათვის.

4. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია.

გალიცია არის თემი/საზოგადოება, რომელშიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის მშობლიური ენა სათემო/თემის ენაა. ეს გულისხმობს ენობრივი დაცულობის მაღალ ხარისხს, მაგრამ ეს ასევე აჩვენებს, რომ გალიცია საუკუნეებია ემიგრაციის რეგიონია და არა იმიგრაციისა. მართალია, ძალიან ბევრი ადამიანი ამბობს, რომ იცის ენა, მაგრამ ამავე დროს ამ ენის სოციალური პრესტიჟი ტრადიციულად მინიმალურია, ხოლო მისი გამოყენება ასოცირდება სიღარიბესა და გაუნათლებლობასთან, თუმცადა ეს სიტუაცია ნელნელა იცვლება 1983 წლიდან გალიციაში „გალიციის ენობრივი ნორმალიზაციის კანონის“ ამოქმედების შემდეგ.

**ბასკურიც** თანაოფიციალური ენაა ბასკეთის ავტონომიურ თემში. თუმცა, გარდა ესპანეთის ბასკეთისა, ბასკურად მეტყველებენ საფრანგეთის ბასკეთშიც (იპარალდე).

ბასკეთის ავტონომიის კანონმდებლობის მე-9 მუხლი 6 გვაუწყებს:

1. ეუსკარას (ბასკურს) ბასკეთის საკუთარ ენას, კასტილიურთან ერთად მიენიჭოს ეუსკადის ოფიციალური ენის სტატუსი, ხოლო ქვეყნის ყველა მოსახლეს ორივე ენის ცოდნისა და გამოყენების უფლება.

2. ავტონომიური თემის საჯარო ინსტიტუტებმა, ბასკეთის სოციო-ლინგვისტური მრავალფეროვნების გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყონ ორივე ენის გამოყენება, დაარეგულირონ მათი ოფიციალური ხასიათი და მიიღონ სათანადო ზომები მათ შესასწავლად.

3. ენის გამო ვინმეს დისკრიმინაცია დაუშვებელია.

4. ბასკეთის ენათა სამეფო აკადემია (**Euskaltzaindia**) წარმოადგენს ოფიციალურ საკონსულტაციო დაწესებულებას ყველა საკითხში, რომელიც ბასკურ ენას შეეხება.

მიუხედავად იმისა, რომ ბასკეთში ნაციონალიზმი ძალიან ძლიერია, ენის ცოდნა იქ პროპორციულად ყველაზე დაბალია. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ისტორიის მანძილზე ბასკეთის გეოგრაფიული არეალი თანდათანობით მცირდებოდა და თავად ბასკეთშიც არის ისეთი საგრაფოები, სადაც ბასკურად საუკუნეებია აღარ ლაპარაკობენ. მე-20 საუკუნის ბოლომდე არ არსებობდა საყოველთაოდ მიღებული სტანდარტი, როგორც წერილობითი მოდელი ლიტერატურისა და ადმინისტრაციული მიზნებისათვის. მეორეც, ის წარმოადგენდა უმცირესობის ენას მნიშვნელოვანი დიალექტური ნაირსახეობებით (სულ ცოტა 8 დიალექტი) იზოლირებულ სოფლებში. აკლდა პოზიტიური ენობრივი პოლიტიკისა და დავეგმარების მცდელობა. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ კასტილიური და ბასკური არამონათესავე ენებია, ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული ენები და ამიტომაც მისი ათვისება იმ ადამიანების მიერ, რომლებიც ამ ენაზე არ აღზრდილან, მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რაც ართულებს აღორძინების პროექტების განხორციელებას. 1982 წლიდან ბასკეთში ამოქმედდა „ბასკური ენის გამოყენების ნორმალიზაციის კანონი“. გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოლო რამდენიმე წელიწადში უდავოდ შეიმჩნევა პროგრესი.

ნავარის რეგიონალური კანონმდებლობის მეცხრე მუხლი განმარტავს:

1. ნავარის ოფიციალური ენა არის კასტილიური

2. ბასკურსაც ენიჭება ოფიციალური ენის სტატუსი ნავარის ბასკურენოვან მხარეებში. კანონი განსაზღვრავს, თუ რომელია ეს მხარეები/ოლქები, დაარეგულირებს ბასკურის ოფიციალურ გამოყენებას და, ზოგადსახელმწიფო კანონმდებლობის კონტექსტში არეგულირებს ამ ენის გავრცელების შესაძლებლობას.

1986 წელს ნავარაში ამოქმედდა „ბასკური ენის კანონი რეგიონალურ კანონმდებლობასთან მიმართებაში“, რამაც კიდევ უფრო წახალისა ბასკურის განვითარება ამ მხარეში. მისი შესწავლისა და

გამოყენების განახლების მცდელობებმა გარკვეული შედეგი გამოიღო და ამჟამად მთელ ნავარაში შეიძლება ნახოთ ბასკურ ენაზე მოსაუბრე ადამიანები, თუმცაღა მცირე რაოდენობით.

ესპანეთში გავრცელებულია სხვა ენებიც, რომელთაც ოფიციალური სტატუსი ჯერ არ მოუპოვებიათ. უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში განხილვის საგანია ენათა სახელწოდებები და რაოდენობაც კი. მაგალითად, არანეზული (გასკონური დიალექტი) გამოიყენება არანის ხეობაში (Gargallo 1999). ასტურიული (bable) და არაგონული განიხილება როგორც ესპანურისაგან დამოუკიდებელი ენები და თანამედროვე ესპანეთსი იქმნება მათი გრამატიკა და ლექსიკონები (კ. გონსალესი, 1999).

ასტურიას ავტონომიის სამოქალაქო კანონმდებლობა განმარტავს:

#### **მუხლი 4**

„ბაბლე (იგივე ასტურიული) უნდა იყოს დაცული, ხოლო მისი გავრცელება მასმედიასა და განათლების სისტემაში — წახალისებული. ყველამ პატივი უნდა სცეს მის ადგილობრივ ვარიანტებს, ისევე როგორც მისი ნებაყოფლობითი შესწავლის უფლებას.

ასევე არაგონის ავტონომიის სამოქალაქო კანონმდებლობაში ნათქვამია:

#### **მუხლი 7**

არაგონულის ენობრივი ნაირსახეობანი დაცული იქნება როგორც რეგიონის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნაწილი.

ანდალუზია (ავტონომიის სამოქალაქო კანონმდებლობა)

#### **მუხლი 12**

3. ავტონომიური თემი იყენებს თავის ძალაუფლების შემდეგი ძირითადი მიზნის მისაღწევად: ანდალუზიელი ხალხის მდიდარი და მრავალფეროვანი ისტორიული, კულტურული და ენობრივი ფასეულობების კვლევის, გავრცელებისა და შემეცნების საშუალებით ანდალუზიელთა თვითშეგნების განმტკიცება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ესპანეთში ოფიციალურ ენათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს.



ლიანა ლორთქიფანიძე, ნინო ამირეზაშვილი,  
ლიასამსონაძე, ანა ჩუტკერაშვილი,  
ნინო ჯავაშვილი

## **ქართული ენის გრამატიკული ონლაინ ლექსიკონი**

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში საერთაშორისო ურთიერთობების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია სათანადო, ღირსეული ადგილის დაკავება როგორც მთლიანად სახელმწიფოსთვის, ისე მისი ცალკეული წარმომადგენლისთვის. სახელმწიფო ენა მსოფლიოს ქვეყნებთან ინტეგრაციისათვის გახსნილი კარიბჭის ერთადერთი გასადგობია.

განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს ენის სწავლება წარმოადგენს. უცხო ენების ცოდნის საფუძველზე ყალიბდება და წარმოიშობა საერთაშორისო კონტაქტები კულტურულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ნებისმიერ სოციალურ სფეროში. ამ პირობების დასაკმაყოფილებლად საჭიროა გაუმჯობესდეს ენის სწავლების პროცესი. ენის – ურთულესი და უზარმაზარი ბუნებრივი ინტელექტუალური სისტემის – სრულყოფილი დაუფლება ნებისმიერი სრულფასოვანი კურსის გავლის შედეგადაც თითქმის შეუძლებელია. მიღებული ცოდნის გამოყენება, როგორც წესი, მოითხოვს დამატებით რეგულარულ დახმარებას, რომელსაც ჩვეულებრივ ლექსიკონი ახორციელებს.

ტექნიკის განვითარების დღევანდელ ეტაპზე კომპიუტერის მეშვეობით მრავალი ინტელექტუალური სისტემა შექმნილი და რეალიზებული. მათ შორის მნიშვნელოვანია კომპიუტერული ენობრივი სისტემები, რომელთა ღრმა თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ენის მოდელირება, ანუ ისეთი ხელოვნური სისტემები, რომლებიც გაიმეორებენ ენობრივი ქცევის ძირითად ასპექტებს: ენის ცოდნას, ცოდნის გამოყენებას გამონათქვამების ანალიზი-სინთეზისთვის და ცოდნის შექმნას. სწორედ ცოდნის შექმნის პრაქტიკულ რეალიზაციაზეა ორიენტირებული წარმოდგენილი სისტემა.

ენის სწავლების კომპიუტერული სისტემის აგების ამოსავალ პუნქტად ლექსიკონის კომპიუტერიზაცია გამოყენებული. მიუხედავად იმი-

სა, რომ ამოცანის გადასაჭრელად ჩვეულებრივი “წიგნური” ლექსიკონები ძალიან ფასეულია, მათ ორი სერიოზული ნაკლი აქვთ: ინფორმაციის ნაკლებობა და “პასიურობა”. აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ ლექსიკონში ყოველი სალექსიკონო ერთეული მონიშნულია მისი პარადიგმის მხოლოდ ერთადერთი საწყისი სიტყვაფორმით (ლემით), რომლიდანაც სრული პარადიგმის წარმოდგენა რთულია, განსაკუთრებით ქართული ენისთვის. განვითარებულმა ქვეყნებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს გრამატიკულ ონლაინ ლექსიკონებზე მუშაობა და ისინი თითქმის ყველა საერთაშორისო ენისთვისაა რეალიზებული (როგორცაა მაგალითად: რუსული – <http://www.morfologija.ru/словоформа/олень>, გერმანული — <http://www.canoo.net/services/Controller?input=mami&service=inflection>). ამ სახის სისტემები ძალიან პოპულარულია საზოგადოების ყველა ფენაში. ინტერნეტსივრცეში, ორენოვანი ლექსიკონების გვერდით, უცხო ენების სწავლებად სისტემებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ენის კომპიუტერული სწავლებადი სისტემებისათვის გრამატიკული ლექსიკონი საბაზისო ელემენტს წარმოადგენს. ამჟამად მის შექმნაზე ბევრი ჯგუფი მუშაობს საქართველოშიც და საზღვარგარეთაც. მაგრამ დღესდღეობით ინტერნეტსივრცეში არ გამოჩენილა არც ერთი პროდუქტი, რომელიც ძირითადად მოიცავდა ქართული ენის ლექსიკას და მის მორფოლოგიურ გენერატორს. ჩვენი პროდუქცია ქართული ენის შესასწავლი პირველი ინტერაქტიური ონლაინ-პროგრამა იქნება, რომელსაც შეეძლება ენის შემსწავლელს მიაწოდოს ფუნდამენტური ცოდნა ენის ლექსიკისა და სიტყვების გრამატიკული ვარიაციების შესახებ.

ამჟამად იქმნება პროგრამული ინსტრუმენტების პაკეტი, რომელიც მომხმარებელს დაეხმარება განახორციელოს ქართული სიტყვაფორმის ანალიზი და სინთეზი ინტერნეტ-სივრცეში როგორც ფორმაწარმოების, ისე სიტყვაწარმოების დონეზე. ონლაინ ლექსიკონი ნებისმიერი სიტყვისთვის უზრუნველყოფს მისი შესაბამისი სალექსიკონო საბაზისო ლემის ძიებას და წარმოადგენს შესაბამისი პარადიგმის ყველა წევრს.

სალექსიკონო ბაზაში უკვე შესულია 100.000 საწყისი სიტყვა და მათი ფორმაწარმოების ყველა წესი. ჩვენ მიერ შექმნილი, და არა ერთ ამოცანაზე აპრობირებული, **GeoTrans** სისტემა საშუალებას მოგვცემს დინა-

მიუხრდადვად გავზარდოთ ლექსიკონის საწყის სიტყვათა რაოდენობა ნებისმიერ მომენტში, თეორიულად უსასრულოდ, რასაც დიდი ყურადღება ექცევა უცხოური ენების მსგავს სისტემებში.

## ნონა მამისეიშვილი

### „ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში

ქართულ ფონოსემანტიკურ ლექსიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევები, როდესაც საკუთრივ ხმაბაძვითი ფუძეები ჟღერადობითა და აგებულებით არ განსხვავდება არახმაბაძვითი ფუძეებისაგან, ფონოსემანტიკური კავშირები ხშირად აქაც ჩანს. ბ. ფოჩხუას მოჰყავს რამდენიმე მაგალითი: **ჩაწიკწიკება** ხმაბაძვით ფუძეს შეიცავს, **წიკწიკი** ისეთი ხმიანობაა, რომელსაც საათის მექანიზმი გამოსცემს მუშაობის დროს, მაგრამ „წვრილი ასოებით ლამაზად და მჭიდროდ დაწერის“ აღმნიშვნელი ფუძეც ამგვარადვე ჟღერს — **ჩაწიკწიკებს, ჩაწიკწიკებული**.

სამეცნიერო ლიტერატურაში ფონოსემანტიკურ სიტყვათა ამგვარი მრავალმნიშვნელობა სხვადასხვაგვარდაა ახსნილი (დი ენ ჰოლისკი, ნ. აშმარინი, ს. კუდაიბერგენოვი, ბ. ფოჩხუა...)

ვ. ვუნდტის აზრით, როდესაც ბგერითი წარმოდგენები გადადის გრძნობით ხატში, მიიღება **„ბუნებრივი ბგერითი მეტაფორები“** — არაგანზრახული ასოციაცია უშუალოდ აღმოცენებული ბუნებრივი გრძნობითი ელფერისაგან (ემოციური ტონებისაგან) ანუ „ემოციებზე დამყარებული ბუნებრივი ასოციაციები“.

ქართული ენის დიალექტურმა ლექსიკამ საშუალება მოგვცა ბ. ფოჩხუას მიერ მოყვანილი მაგალითების სია მნიშვნელოვნად გაგვეზარდა. მაგ.: **აბულბულება, აგურგურება, ათუნთულება, აპრიალება, ახარხარება, გაბარბალება, გაბიზინება, გაზიზინება, გათანთალება, გაპიპინება, გასანსალება, გასისინება, გასივსივება, გასუნსულება, გასურსუმალება, გატანტალება, გაშტიალება, გაციცინება, გაციცინილება, გაჭიკჭიკება, შემოჭვანჭვარიქება, შეჭიკჭი-**

## **კება, შეჭიხინება, ჩაკუწკუწება, ჩაკუჭკუჭება, ჩაკაჭკაჭება, ჩარი-ჩხინება, ჩაჭიკჭიკება, ჩაჭიპჭიპება, ჩაწიკწიკება...**

ამგვარი ლექსიკის შესწავლის საფუძველზე ჩანს, რომ ზმნისწინები ზოგჯერ ახალი მნიშვნელობის მასდარებს აწარმოებენ, მაშინ, როცა „პრევერბის დართვის შესაძლებლობა პირველად მასდარებს ანდა მათგან ნაწარმოებ ზმნებს მეტად შეზღუდული აქვს“ (არნ. ჩიქობავა). დროთა ვითარებაში პირველად მასდართა სემანტიკურმა სხვაობამ და ზმნისწინზე სიტყვათწარმოებითი ფუნქციის დაკისრებამ გამოიწვია ის, რომ **„ჩაწიკწიკება, ჩაჭიკჭიკება“** ტიპის მასდარები უზმნისწინოდ აღარ იხმარება და ლექსიკონებშიც იშვიათადაა დამოწმებული ამ ფორმით. „განსაკუთრებულად იშვიათია საწყისის ხმარება უზმნისწინოდ, ე. ი. უსრული ასპექტის ფორმით, თუკი ზმნისწინს თვალსაჩინო შინაარსობრივი ნიუანსები ახლავს“ (ზ. ჭუმბურიძე).

საფიქრებელია, რომ პირველადი მასდარები, რომლებიც ფონოსემანტიკური საშუალებით ხმიანობას, მოძრაობას, ნათებას ან სხვა სემანტიკას გამოხატავენ, საფუძველშივე ატარებდნენ პოლისემიურ მნიშვნელობებს. პირველად მასდართა ერთ-ერთი მნიშვნელობის გაბუნდოვანება-დაკარგვის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ზმნისწინები ახალ მნიშვნელობებს აწარმოებენ, ვინაიდან აღარ ხერხდება ფონოსემანტიკურ მასდართა ფუძისეული გამოყენება.

## **თ ა მ ა რ მ ა ხ ა რ ო ბ ლ ი ძ ე**

### **შორისდებულის შესახებ ქართულში**

ზოგადად შორისდებულის განსაზღვრება უნივერსალურია და ამ მეტყველების ნაწილს ყველა ენაში ერთი და იგივე ფუნქცია აქვს. ეს არის ემოციის გამომხატველი განყენებული სიტყვა, ბგერა ან ბგერათა ჯგუფი. ზოგ ენებში შორისდებულის გამოყენების სპექტრი უფრო ფართოა, მაგალითად, თანამედროვე ინგლისურში. ეს ენა არ ერიდება ახალი კონტენტის შორისდებულების სხვადასხვა ხერხით

წარმოებას. ამდენად, ასეთ ენებში ეს მეტყველების ნაწილი წარმოდგენილია უფრო ფართო გაგებით და შორისდებულებში შეტანილია სიტყვა-პარაზიტებიც, რაც სხვა ენებში და სხვა ქვეყნებში გააზრებულია, როგორც მეტყველების დეფექტები.

ინგლისურ ენაში, განსაკუთრებით კი ამერიკულ მეტყველებაში უფრო კონკრეტულია თითოეული შორისდებულის მნიშვნელობაც — ქართული ენისგან განსხვავებით. მაგალითად, შორისდებული „ვახ!“ ქართულ ენაში შეიძლება ასახავდეს მწუხარებას და დანანებას და ასევე მას შესაძლოა, ჰქონდეს დიამეტრალურად საპირისპირო გააზრებაც და სიხარულს გამოხატავდეს.

მოსხენებაში წარმოდგენილი იქნება შორისდებულთა ტიპოლოგია და დაისმება საკითხი, რომ ეს მეტყველების ნაწილი არ მოექცეს სალიტერატურო ნორმების თემატიკაში, როგორც ემოციის გამომსახველი სიტყვა. ემოცია კი შესაძლოა სხვადასხვა თავისუფალი ფორმებით იქნეს გადმოცემული. ზოგი ენა ისეთ რამესაც უშვებს, რომ სხვა ენიდან შემოაქვს ფონემები (ბგერები) შორისდებულისთვის.

## ნ ა ნ ა მ ა ჯ ა ვ ა რ ი ა ნ ი

### **„მედგარის“ ეტიმოლოგიისათვის**

სიტყვა „მედგარი“ საბასთან განმარტებულია ასე: მედგარი ქართულად ორად ითქმის: წერილისა ენით — მცონარსა და მსოფლიოთა — მზაკვარსა... ქველ-ში განმარტება ასეთია: ძლიერი, შეუპოვარი... მედგარი ბრძოლა, მედგარი წინააღმდეგობა გაუწია.

მოსხენებაში წარმოდგენილია „მედგარ-ის“ სემანტიკის შეცვლის მიზეზის დადგენის ცდა.

## დამანა მელიქიშვილი

### **„ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი“**

1. „ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი“ წარმოადგენს სალექციო კურსს, რომელიც დანიშნულია ქართველური ენათმეცნიერების პროგრამის მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. კურსი ემყარება და აგებულია აკად. არნ. ჩიქობავას მეთოდოლოგიური იმანენტიზმის საფუძველზე და ამ პრინციპების პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენს.

არნ. ჩიქობავამ აჩვენა, თუ როგორ უნდა ყალიბდებოდეს გრამატიკული (სინტაქსური) ცნება-ტერმინები (ეს არის პრინციპული მეთოდოლოგიური საკითხი, რომელსაც ეძღვნება მისი „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1928, 1968), თუ რა შეუსაბამობანი მოსდევს იმანენტიზმის პრინციპის დარღვევას (უგულვებელყოფას) გრამატიკაში: ლოგიკური ცნება-ტერმინებით (სუბიექტი — ობიექტი) ოპერირებამ შედეგად მოგვცა პირის ნიშანთა ცხრილში რეალური ფუნქციის არაადეკვატური ასახვა; გვარ-სახეობითი დამოკიდებულების არასწორმა განსაზღვრამ დეფინიციისა და რეალური ვითარების შეუსაბამობა გამოიწვია გვარისა და „ქცევის“ გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაცია-კვალიფიკაციის სფეროში: გვარი განსაზღვრულია სემანტიკური თვალსაზრისით, კლასიფიკაცია კი ხდება მორფოლოგიური პრინციპით, რის შედეგადაც ზმნური მოდელები არასწორადაა მიკუთვნებული გვარის ამა თუ იმ სახეს; ხმოვან-პრეფიქსები, სუფიქსები, რომლებიც სხვა ფორმალურ-გვარეობითს ცნებებს განეკუთვნება, მიჩნეულია ამ „გრამატიკული“ კატეგორიების ნიშან-მახასიათებლებად და სხვ.

2. კურსი მიზნად ისახავს ქართული ენის მორფოლოგიის, კერძოდ, ქართული სახელისა და ზმნის მორფოლოგიის საკვანძო საკითხების გაღრმავებულ დამუშავებას, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებული ქართული გრამატიკული ლიტერატურის კრიტიკულ ანალიზს და, საერთოდ, ლინგვისტური ანალიზის ლოგიკურად გამართული ჩვევების გამომუშავებას, ენის ლოგიკის, განვითარების ში-

ნაგანი კანონების ხედვის გამომუშავებას; ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების სისტემაში დანახვასა და შესწავლას; მორფო-სინტაქსური მოვლენების ერთიანობაში დანახვას; სახელისა და ზმნის ძირითადი კატეგორიებისა და ბრუნებისა და უღლების სისტემის ისტორიული თვალსაზრისით (დიაქრონიაში) შესწავლას; ლინგვისტური ანალიზის ისტორიულ-შედარებითი და აღწერითი მეთოდების პრაქტიკულად დაუფლებას; ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპებში გარკვევას და არსებული თვალსაზრისების მიმართ კრიტიკულ მიდგომას; ქართული ზმნური მოდელებისა და უღლების ტიპების ანალიზს, ისეთი სპეციფიკური საკითხების გარკვევას, როგორცაა ზმნის პირიანობა და ვალენტობა, პირთა გამოხატვის სისტემა ქართულში და მის სპეციფიკასთან დაკავშირებული საკითხების შედარებითი ანალიზი; გვარისა და ქცევის გრამატიკული კატეგორიების სადავო საკითხებში გარკვევა და სხვ. კურსის მიზანია, საერთოდ, ლინგვისტური ანალიზის ჩვევებისა და პრინციპების დაუფლება, კვლევის დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით ხედვის გამომუშავება.

3. კურსი, ასევე, მიზნად ისახავს ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას **გრამატიკული კატეგორიის — დიათეზების** — მიხედვით; ქართული ზმნური შესიტყვების სინტაქსური ურთიერთობის მექანიზმში გარკვევას: პირიანობისა და ვალენტობის მიხედვით სუბორდინაციული და კოორდინაციული სქემების აგებას და წვდვებში ჩასმას; ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთობის არსებითი განსხვავების ჩვენებას ინდოევროპული ენების ზმნური შესიტყვების სინტაქსური მექანიზმისაგან.

4. აღნიშნული კურსის მოსმენის პროცესში სტუდენტები კრიტიკულად ამუშავებენ და განიხილავენ ლექციებსა და სემინარებზე დასმულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას, ავტორთა ამოსავალ დებულებებსა და არგუმენტაციას; ემპირიული მასალის კვლევისას ეუფლებიან მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პრინციპებს, რის შედეგადაც უმუშავდებათ დამოუკიდებელი კრიტიკული აზროვნება და მეცნიერული კვლევის ჩვევები.

## კობა მითაგვარია

### ზოგი ნასესხები საკუთარი სახელის შესახებ მეგრულში

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რედუქცია მეგრულ-ჭანურში, ფაქტობრივად, აღარ მოქმედებს. თუმცა ზოგი მეცნიერის მოსაზრებით (ვ. თოფურია), რედუქცია ზანურსაც ახასიათებს, მაგრამ იგი იმთავითვე სუსტი უნდა ყოფილიყო.

ვ. თოფურიას აზრით, ზანურში ზოგი რედუქციურებული ფორმა შეკუმშული სახით არის შესული ქართულიდან ან ხმოვანი სესხებისას არის ამოღებული: მელტონ < მელიტონ; ზოსმე < ზოსიმე, სპირღონი < სპირიდონი.

ასევე ხდება რედუქცია რუსულიდან მეგრულში კინობითი ფორმით შესულ სახელებში: Ванечка > ვანჩქა, Сонечка > სონჩქა, Верочка > ვერჩქა, Катерина > კატგრნე და ა. შ.

ამჟამად ეს სახელები მხოლოდ ასაკოვან ხალხში გამოიყენება.

## ნინო ნაკანი

### ახალი მასალები სვანური ბოტანიკური ლექსიკონისათვის

საქართველოს ფლორის მრავალფეროვნება მცენარეთა ახალ-ახალი სახელწოდებების აღწერა-შეგროვებისა და კვლევის საშუალებას იძლევა; ისინი ნათლად გამოხატავენ ადამიანთა სულიერ სამყაროს, მათ კულტურას, ტრადიციებს, ცხოვრების წესს...

ფიტონიმა სიუხვე შესაბამისად აისახება ქართველურ ენებშიც, მაგრამ ამჟერად მხოლოდ სვანურ, კერძოდ ბალსზემოური დიალექტის მასალას შევხებით. ძიების პროცესში ინფორმატორები ძნელად ან საერთოდ ვერ იხსენებდნენ ამა თუ იმ მცენარის სახელწოდებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შევძელით დაახლოებით 150-მდე



ახალი ტერმინის მოძიება, რომლებიც არ დასტურდება დღემდე გამოცემულ სვანურ-ქართულ და ბოტანიკურ ლექსიკონებში.

ჩვენს საანალიზო მასალაში მოიპოვება ისეთი მცენარეები, რომელთა სახელწოდება ერთი კონკრეტული სოფლის არეალში ვრცელდება და რომლებიც ატარებენ მდიდარ ინფორმაციას როგორც ფლორის, ასევე მისი სახელდების შესახებ. ინფორმატორები ხშირად თავად ხსნიან ამა თუ იმ ნომინაციის ისტორიას. საილუსტრაციოდ დავასახელებთ რამდენიმე მათგანს:

**მგრზწ ცვგ — მგრზა მგმსტიჟუ ლწსჟ, რატიანრე ხოშას ხაჟხენა.** ეჭას ოხენდა ამი ლწში ჩჟალფიშრქელი შჟანსხ. ამლა ხატულის ალ ცვგს მგრზწ ცვგს — ლემა („მურზას ეკალი“) — მურზა მესტიელი იყო. რატიანები<sup>1</sup> წინაპარს („უფროსს“) ერქვა. იმას მოუტანია ამის თესლი და გამრავლებულა სვანეთში. ამიტომ ეძახიან ამ ეკალს „მურზას ეკალს“.

**საჟარიონი ჟაგარალ — საჟარიონ მგლტალ ლწსჟ, ეჯნემ ანთჟერ რუხნოს ჟაგარალი ლისყენე ალ ბალახხანქაი ეჩანდო ათჟანს ალ ბალახს საგარიონი ჟაგარალ.** ჯაჭარს გუნ ხოსგუჟუ. ჯაჭარე მწიგს ამენქა მამგჟეშ ხაშიდდა — ბირკავა („სევერიანეს წამალი“) — სევერიანე ლატალელი იყო. იმან ისწავლა რუსეთში („რუსეთს“) წამლი<sup>1</sup> კეთება ამ ბალახისგან და შემდეგ დაერქვა ამ ბალახს „სევერიანე<sup>1</sup> წამალი“. წელს ძალიან უხდება. წელის („ჭაჭების“) ტკივილს, ამის გარდა, არაფერი შველოდა.

**ცაგრი ცვგ — ჩაჟარს ოხენდას ცაგერხან ალ ცვგი ლწში.** ჰაკუდარს ხაფონთენახ ი ჩჟალფიშრქელი შჟანსხ. სერ მანგ ცაგრი ცვგს ხატული — ბრტყელეკალა („ცაგერი<sup>1</sup> ეკალი“) — ცხენებს მოუტანიათ ცაგერიდან ამ ეკლის თესლი. კუდებზე („კუდებს“) ჰქონიათ მიკრული და გამრავლებულა სვანეთშიც. უკვე ყველა „ცაგერი<sup>1</sup> ეკალს“ ეძახის...

მოძიებული ფიტონიმები გამოხატავენ მცენარის მორფოლოგიურ ნიშნებს:

**კჟარკჟალიტაჟ („კურკუშელა“)** — ცერცველა. სახელდება განპირობებულია წვრილი მარცვლების ფორმით (დასტურდება მეგრულსა და იმერულში. სვანურში ნასესხები უნდა იყოს).

**მგბგბრლდინლ („ბორბალა“)** — ტუხტი. სახელდება მოტივირე-

ბულია სათესლე პარკის ბორბლისებური მოყვანილობით.

**ცაგი ყუბუნინლარ** („ეკლი<sup>1</sup> ბურთულები“) — ოროვანდი. სახელწოდების ამოსავალია ეკლიანი წებოვანი სათესლე ბურთულები...

**ყვარწა** („ყუნწა“) — მრავალძარღვა. სახელდება განპირობებულია მცენარის გრძელი ყუნწით, ხოლო იმავე მცენარის სინონიმის — **მებლა** („ფოთოლა“) — ნომინაცია — ფართო ფოთლის მიხედვით.

ფიტონიმებში გვხვდება ფრინველთა და ცხოველთა სახელებიც:

**დამდუჟ თუთინ** („დათვი<sup>1</sup> თუთუნი“) — ხარისკულა.

**ჟიჯი მეწე** („გველი<sup>1</sup> ქომაგი“) — აბრეშუმა. **კუმაშ იზბი. ჩიანგ ხამთქუა დაბარისგა. ჩუ ერ იბანძლი, მუგუდმა როქუ ჟიჯრე ლაპაჟ ი ლარდა ლი, ამჟი ნიხლდა ბოფშარს** — საქონელი ჭამს. ყანებში ყველგან იცის („სჩვევია“). რომ დაიხლართება, თითქოს გველები<sup>1</sup> სამალავი და სამყოფია, ასე გვეგონა ბავშვებს (ინფორმატორის სტილი შენარჩუნებულია)..

**ჩიჟი გიცტრილ** — ცხენი<sup>1</sup> ძირა. ჰგავს ჩვეულებრივ ძირას, მაგრამ საჭმელად არ ვარგა

**წელი ცაგ** („ვირი<sup>1</sup> ეკალი“) — **წელგქა მამგუეშმოშ იზბი ალას ი ეჯლა, მერანს, ათუანან ამჟი** — ვირი<sup>1</sup> გარდა, არაფერი ჭამს ამას და, ალბათ, იმიტომ დაერქვა ასე (ინფორმატორი თვითონ გამოთქვამს ვარაუდს!).

**წელი კიშხ** („ვირი<sup>1</sup> ფხი“) — ვირისტერფა. მოტივირებულია ფოთლის მიხედვით, რომელიც მიმსგავსებულია ვირის ფხს.

**ჭუტერი ბანჯ** („ყვავი<sup>1</sup> ნაბიჯი“) — მოლოქა.

მოძიებულ ნომინაციებში სახელდება ხდება მცენარის თვისებების, ფუნქციების... მიხედვით:

**მგომაში ცაგ** („ტანჯვი<sup>1</sup> ეკალი“) — ლემა. ამ შემთხვევაში ძირითადი ყურადღება მცენარის ეკლიან სათესლე ნაყოფზეა გამახვილებული, რომელთანაც შეხება იწვევს ტკივილს.

**მგუმდუტერშილ** („საშემოდგომო“) — უცუნა. ეს მცენარე მთაში იკეთებს ყვითელ ყვავილებს, ხოლო ბარში — იასამნისფერს ან იისფერს. აგვისტოს ბოლოს გამოჩნდება როგორც შემოდგომის მოახლოების მანიშნებელი (ინფორმატორის სტილი დაცულია).

**ყუაღლა** („თვინიერა“) — კესანე. ერთ ძირზე ბუჩქად ამოსული პატარა ცისფერი ყვავილები აქვს და მათი დანახვა თითქოს გამწვი-

დებს (მთქმელი ასე ხსნის მცენარის სვანურ სახელს).

ხშირ შემთხვევაში გამჭვირვალე მოტივაცია არ ჩანს:

**გერბლჿჿ** — ჯიჯლაყა; **კლეო/კლჿჿ** — კვლიავი; **ლეჿლანა** — ჭყორი; **მგხრბტრლ** — ცხენისკუდა...

ფიტონიმების მოძიება სვანეთში ისევ გაგრძელდება. ახალი მასალა მოგვცემს იმის საშუალებას, რომ შეიქმნას სრულყოფილი სვანური ბოტანიკური ლექსიკონი, რომელიც არა მხოლოდ ენათმეცნიერთათვის იქნება საინტერესო.

## ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

### **არნოლდ ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკული თავისებურებანი**

- არნ. ჩიქობავას სამეცნიერო თხრობა არასოდეს არ არის მშრალი და განყენებული, მისი სტილის დომინანტურ მახასიათებლად უნდა მივიჩნიოთ მეტყველების ადრესაცია.

- არნ. ჩიქობავას არ უჭირს დაინტერესოს განსხვავებული ფონური ცოდნის მქონე მკითხველი. იგი ყოველ ახალ ცოდნამდე მისასვლელად საჭირო წინარე ცოდნას თავადვე შეახსენებს საკუთარ ადრესატს.

- არნ. ჩიქობავას აქვს თხრობის დაწყების, ინტერესის გაღვივება-შენარჩუნებისა და საუბრის დასრულების გამოორჩეული სამეტყველო ტაქტიკა (ყოველი საკითხის, თუნდაც მცირის, განხილვისას მეცნიერი საკუთარ მსჯელობას იმგვარად აგებს, რომ ერთგვარ მიკროტექსტს ქმნის, რომელსაც დასაწყისიც, განვითარებაცა და დასკვნა-დასასრულიც საკუთარი აქვს).

- არნ. ჩიქობავას სამეცნიერო დისკურსს ინტერპერსონალურ ხასიათს სძენს კითხვითი წინადადებების სიჭარბე (არნ. ჩიქობავას შრომებში კითხვითი წინადადება ერთგვარი სიგნალია მორიგ საკითხზე გადასასვლელად, იგი, ამავე

დროს, ერთგვარი მოწოდებაცაა, რომელმაც მკითხველი უნდა ჩააბას საკითხის განხილვაში).

- არნ. ჩიქობავა ინკლუზიურ „ჩვენ“ ფორმას უფრო ხშირად იყენებს, ვიდრე ე. წ. ავტორისეულ „ჩვენ“ ფორმას, რომელიც სავსებით ემთხვევა პირველი პირის მხოლოდობითი რიცხვის გაგებას. ეს ფაქტიც მისი სამეცნიერო დისკურსის პრაგმატიკულ თავისებურებად უნდა შევაფასოთ, რადგან სამეცნიერო სტილისათვის დამახასიათებელი თხრობის ობიექტურობიდან, უფრო ზუსტად, უსუბიექტობიდან და ეტიკეტიდან გამომდინარე, სამეცნიერო თხზულებები ძირითადად ავტორისეული „ჩვენ“ ფორმის აბსოლუტურ დომინანტურობას მოწმობენ.

- არნ. ჩიქობავა ორწერტილსა და ფრჩხილებს ხშირად დასაბუთებული მოსაზრების პედალირებისათვის იყენებს.

- არნ. ჩიქობავას სამეცნიერო ტექსტები პრაგმატიკულ კონექტორთა (არგუმენტაციულისა და მეტადისკურსულის) ფართო სპექტრს მოიცავს, რაც რთულ ინტელექტუალურ კონსტრუქციებს ნათელსა და მკითხველისათვის ადვილად გასაგებს ხდის.

## მ ე რ ა ბ რ ო ბ ა ქ ი ძ ე

### **„სკნელ“ სიტყვის სემანტიკისა და ეტიმოლოგიისათვის ქართულ ენაში**

1. „სკნელ“ ძველ ქართულ ენაში ცალკე არ გამოიყენება, გვხვდება მხოლოდ წარმოებულ სიტყვებში, რომელთაც ერთი შინა-არსობრივი ხაზი აკავშირებთ და, ამდენად, ერთიან სემანტიკურ ველში მოიაზრებიან.

2. ამ სიტყვის მნიშვნელობა მოწოდებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს „ქართულ ლექსიკონში“. თავის განმარტებას იგი სავარაუდოდ თვლის.

3. ჩვენთვის საინტერესო სიტყვა გვხვდება ისეთ ლექსებში, როგორცაა „ქუესკნელი“, „ზესკნელი“, „გარესკნელი“, „გარდასკნელი“, „უკუანასკნელი“ (სულხანი), რომელთაც ფართო შინაარსობრივ სპექტრი აქვთ (კოსმოგონიური სემანტიკა, მითოლოგია, ზღაპრები...).

4. ამ სიტყვის შესახებ აზრი აქვს გამოთქმული თავის გამოკვლევაში დ. მაჭავარიანს, რომელიც გამოყოფს „კნელ“-ს, როგორც სუფიქსს. იგი არ განიხილავს ისეთ სიტყვებს, როგორცაა სულხან-საბას მიერ მოწოდებული „სკუნ“-ის შემცველი სიტყვები „მასკნე“, „სიკუნე“, „განსიკუნება“. მისი ყურადღების მიღმა რჩება აგრეთვე სიტყვა „ნასკუ“ და სხვა სიტყვები, რომელთა შესახებ თავისი შეხედულება „მასკნე“-სთან დაკავშირებით წარმოდგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს.

5. საკითხთან დაკავშირებით კვლევის სფეროში უნდა მოექცეს სიტყვა „სკული“ (სნდჰუნ, ხანციყ) ნასკვი, „საკრველი“ : განჭსენ სკული გულისა შენისაჲ 0, — განჭსენ ყოველი საკრველი სიცრუისა“ pb, — **იუბ ცსნდჰუნ ასხრადიქსან** ეს. 58, 6; განჭსენით სკული უმჭულოებისაჲ, **იუბქყ ცამნსაჲს ხანციყ ასხ რადიქსან** ბას. კეს.-მარბ. 51v-251; იხ. სკუნა. [სკუნა] იხ. მოსკუნა, ნასკუ (ი. აბულაძე). ამ მასალიდან კარგად ჩანს „სკულ“ სიტყვის სემანტიკა „შეკვრის“ მნიშვნელობით — აქვეა მოწოდებული ანტონიმური მნიშვნელობა — „განჭსნა“ (შდრ. „გულის ამოსკვნა“, „გულამოსკვნილი“, „გულის გახსნა“, „გულგახსნილი“, სადაც კარგად ჩანს ამ სიტყვის მნიშვნელობა). [ჩვენი აზრით], „სკნელ“ სიტყვის ძირი უკავშირდება „ს[ი]კ“-ს; შდრ. „ნასკუ“ < \*ნა-ს[ი]კ-უ, „სკული“ < \* ს[ი]კ-ულ-ი. შდრ. საბა — სკული = გამოსკვნილი ZABC.

6. საბას ლექსიკონში შეტანილია სიტყვა „მასკნე“ ასეთი განმარტებით: „ესე არს ვაზთა და აყიროთა და მისთანათა ძაფივით რომ აქვს ხეზე შესახვეველად“; „მასკნეს“ შესახებ თავისი შეხედულება გამოთქმული აქვს ივ. ჯავახიშვილს. იგი წერს: „ვაზის ერთ ნაწილთაგანს ძველ ქართულში „მასკნე“ ჰრქმევია. იბოლიტეს ნაშრო-

მის „კუთხევათა მათუკს იაკობისთა“-ს ქართ. თარგმანში წერია: „გამობას ვენაჴსა კარაული თუკი და *მასკნესა* ვენაჴისასა კიცუ კარაულისასა“ (ნ. მარი). ნ. მარი ფიქრობს, რომ „მასკნე“ აქ ვაზს ნიშნავს, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით კი ვაზის მნიშვნელობით აქ ვენაჴია ნახმარი, ხოლო „მასკნე ვენაჴისაჲ“ უნდა ვაზის რომელიღაც ნაწილის აღმნიშვნელი იყოს. ამ სიტყვის არსებობა ს. ორბელიანსაც აქვს დადასტურებული, რომელსაც ეს ტერმინი, თუმცა სულ სხვა ძეგლის მიხედვით, ეზეკიელის 177.10-ით აქვს დამოწმებული, მაგრამ თითქოს ცოცხალი სასაუბრო ენის საუნჯის წყალობითაც სცოდნია. ამას მისივე განმარტება ამჟღავნებს, რომელიც მისგან დამოწმებული ტექსტის ცნობაზე უფრო ვრცელი და შინაარსიანია. საბას სიტყვით, „მასკნე“... არს ვაზთა და აყიროთა და მისთანათა *ძაფივით* რომ აქუს ხეზე შესახვევად“-ო. ეზეკ-ის 17.7-ში კი ნათქვამია: „აჴა ვენაჴი იგი გარემოხუეული მისდამი და ძირნი მისნი მისსა მიმართ და რტონი მისნი გამოუვლინნა მას მორწყუად იგი *მასკუნესა* თანა“, ხოლო 17.10-ში წერია: „აჴა განბოხნების, ნუსადა წარიმართოს, არა მობერვასა თანა ქარისა ცხელისა განკმესა საკმილითა *მასკნესა* თანა აღმოსავლისა მისი და ნერბობაჲ მისი განკმეს“-ო (ი. ჯავახიშვილი). ბერძნ-ლათ-სომხ. პარალელების მოხმობით ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, რომ „დაბადების“ თარგმანისდა მიხედვით, „მასკნე“ თვით ვაზს არ ნიშნავს, არამედ იმ ადგილს, სადაც ვაზია დანერგილი“.

7. ბერძნ-ლათ-სომხ. პარალელების მოხმობით ივ. ჯავახიშვილი მსჯელობს „მას კნე“-ს ეტიმოლოგიაზე (გვ. 115), წარმოგვიდგენს ამ სიტყვის სავსებით სწორ გრამატიკულ და სემანტიკურ ინტერპრეტაციას საბაზე დაყრდნობით: „მასკნე“, ცხადია, „*სკუნა*“ სახელ-ზმნისაგან ნაწარმოები მიმდებარა, ამ ძირისაგანაა „დასკვნა“, რომელიც, საბას განმარტებით, „სიტყუს დამტკიცება“-ს, *დასრულებას* და *საბოლოო* გადაწყვეტილებას ნიშნავს — და „ნასკვი“ და „სიკუნი“, რომელნიც *შეკრული კვანძის* (ხაზგასმა მ.რ.) აღმნიშვნელია. ამიტომ თვით „მასკნე“ აქტიური მიმდებარის თავისი მა ფორმანტით თავდაპირველად უნდა „შემეკვანძელის, შემეკვრელის“ (ხაზგასმა მ. რ.) აღმნიშვნელი ყოფილიყო... „მასკნე“ მცენარისა და ნიადაგის სწორედ იმ ნაწილს ნიშნავდა, რომლითაც მცენარე და მიწა არიან ერთმანეთთან დაკავშირებული... (სიტყვის დახასიათება გრძელდება ვრცლად).

8. „სკუ“ ძირი გამოიყოფა ისეთ სიტყვებში, როგორცაა „დასკუნა“, „განსკუნა“, „მოსკუნა „შესკუნა“, „ჩასკუნა“ და სხვა ზმნის-წინიან ვარიაციებში შეკავშირების, „შეკვრის“ მნიშვნელობით.

9. ზემოგანხილულ მასალას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ „სკნელ“ < ს[ი]კ-ნ-ელ სიტყვის ძირი უკავშირდება „ს[ი]კ“-ს; შდრ. „ნასკუ“ < \*ნა-ს[ი]კ-უ], „სკული“ < \*ს[ი]კ-ულ-ი; შდრ. სულხან-საბა [სკუნ ნ. ამოსკუნა]

## ლი ა სამ სონ ა ძე

### უბრალო დამატების ამოცნობის საკითხისათვის

ტექსტური კორპუსის ანოტირების ეფექტურობა განისაზღვრება ანოტაციის ხასიათით, კერძოდ, რა ენობრივ დონეებს ასახავს იგი. ანოტირების სქემაში გარდაუვალია ქვედა გრამატიკული დონის, ანუ მორფოლოგიის ჩართვა; ამავდროულად, აუცილებელია ინფორმაციის გამდიდრება უფრო მაღალი ენობრივი სფეროებიდან — სინტაქსი, სემანტიკა...

ბუნებრივია, წინადადების სტრუქტურა ცენტრალური კომპონენტების — შემასმენლისა და ქვემდებარის გარდა, მოიცავს არამთავარ წევრებსაც. ამჯერად შევჩერდით უბრალო დამატებისა და გარემოებების ურთიერთგამიჯვნისა და თანხვედრის საკითხებზე.

უბრალო დამატებასა და გარემოებებს თითქმის ერთნაირი განსაზღვრებები აქვთ, ბრუნვებიც ორივეს ერთნაირი აქვს, რომლებიც შეიძლება იყოს თანდებულიანიც და უთანდებულოც და ისინი ერთი და იმავე მეტყველების ნაწილებით გადმოიცემა (ზმნიზედის გარდა).

წინადადების წევრთა ამოსაცნობად და მათ დასახასიათებლად არსებული წესები, როგორცაა შინაარსზე დაკვირვება, კითხვებით ამოცნობა, მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით დახასიათება და სინტაქსური კავშირების გარკვევა, მხოლოდ კომპლექსურად თუ გა-

არკვევს წინადადების წევრს, რადგან მხოლოდ ერთი რომელიმე წესი არასდროს არ არის განმსაზღვრელი.

როგორც ვიცით, უბრალო დამატების კითხვებია: ვინ? და რა? იმ ფორმით, რა ფორმითაცაა წარმოდგენილი საძიებო სიტყვა, ხოლო გარემოებების კითხვები უფრო მრავალფეროვანია — სად? საიდან? სადამდე? საითკენ? როდის? როგორ? რატომ? რისთვის?, მაგრამ ენას, რეგულარულთან ერთად, წესიდან არაერთი გადახვევა ახასიათებს და ამიტომ კითხვებით ამოცნობის მეთოდიც სუბიექტურია, რადგან ადამიანი კითხვას სვამს თავისი შეხედულების მიხედვით — საგანი სად მდებარეობს, თუ რასთან მდებარეობს.

მოსხენებაში განვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ საკითხებზე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომელთა გათვალისწინებით შეგვიძლია სისტემა უფრო მოქნილი გავხადოთ.

თუ ბრუნვის კითხვა შეეწყობა საძიებელ სიტყვას, იგი უბრალო დამატებაა (თუნდაც გარემოების კითხვაც შეეწყობოდეს) და თუ მხოლოდ გარემოების კითხვა შეეწყობა, მაშინ გარემოებაა.

*ბავშვი წერს ფურცელზე (რვეულში).* — (რაზე? რაში?) — უბრალო დამატებაა. (თუმცა, შეიძლება დაისვას კითხვა, სად წერს?).

*გაზაფხულზე თოვლი მოსულიყო.* (როდის?),

*გზაზე ერთი კაცი მიდიოდა.* (სად?). ბოლო ორ მაგალითში უტყუარად გვაქვს დროის და ადგილის გარემოებები, რადგან სხვანაირი კითხვა არ დაისმება.

გასარჩევად სხვა ხერხებიც შეიძლება მოვიშველიოთ. მაგალითად, აზრობრივი მიმართების გარკვევა. თუ მოქმედება მიემართება საგანს, ობიექტს, მაშინ დამატებასთან გვაქვს საქმე და მას დამატების კითხვა უნდა მივუყენოთ.

*მას პირზე აეფარებინა ხელი...* (რაზე?), ხოლო თუ მიმართება სივრცისადმია, — *ნაპირზე ნაკლებად ბნელოდა* (სად?), მაშინ ადგილის გარემოებაა.

ზოგჯერ „კენ“ და „თან“ თანდებულებიანი სახელები სხვადასხვა ფუნქციით წარმოგვიდგება. *ღვას ხესთან, ზღვასთან, სახლთან* — (სად?) ადგილის გარემოებაა.

*მვიდა ხესთან, ზღვასთან, სახლთან* — (რასთან?) — დამატებაა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მოქმედების მიმართებაა. დგომა ადგილ-



ზე (სივრცეში) გარემოებაა, ხოლო მისვლა საგანთან, ობიექტთან — დამატება

ადგილის გარემოებისა და უბრალო დამატების გასარჩევად მნიშვნელოვანია თვით სახელის ჯგუფიც. „კენ“ და „თან“ თანდებულნი სულიერთა სახელები, ჩვეულებრივ, უბრალო დამატებაა.

*იასონი პირდაპირ მედეასკენ მოდიოდა (ვისკენ?)*

*არჩილი კესოსთან იდგა (ვისთან?)*

*დარია სარკმელთან იჯდა და ქარგავდა (სად?)*

უბრალო დამატებისა და გარემოებების ერთმანეთისგან განსასხვავებლად ერთდროულად რამდენიმე ხერხი უნდა იქნეს გამოყენებული. ამათგან მთავარი მაინც მოქმედების საგნისადმი (ობიექტისადმი) თუ ადგილისადმი (სივრცის, გარემოსადმი) მიმართება და მისი ზმნიზედით შეცვლის შესაძლებლობაა; კითხვები კი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც დამხმარე ხერხი. აქ ინტუიციაც დაგვეხმარებოდა, მაგრამ, რადგან ინტუიციაც და კომპიუტერი ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, ამიტომ ასეთ შემთხვევებში სისტემამ უნდა მიმართოს ექსპერტს და მოიქცეს მისი მითითების შესაბამისად.

## მედეა საღლიანი

### ინტერფიქსური რედუბლიკაციისათვის სვანურში

სვანურში სხვადასხვა ხმოვნის (ი ~ ა, ა ~ უ/ა ~ უ, ა ~ ი, ი ~ უ, ი ~ გ) მონაცვლეობით რედუბლიცირებული ხმაბაძვითი ფუძეების რამდენიმე სტრუქტურული მოდელი (CVCn-CVCn, CnVC-CnVC, CVC-CVC, CnVC-CnVC, CVCn-CVCn, CnVC-CnVC, CnVC-CnVC) გამოიყოფა, რომელთაგან ყველაზე უფრო გავრცელებულია ი ~ ა ხმოვანთმონაცვლეობით რედუბლიცირებული ფუძეები (მაგ.: **ბიგუ-ბაგუ** (ჩოლ.) „ბაგუნი; რბილად მირტყმა-მორტყმის ხმა“, **ზღუიბ-ზღუაბ** (ჩოლ.) „წკნელის მირტყმა-მორტყმის ხმა“, **სიტ-სატ** (ზს.) „ლაწალუწი“, **რისტ-რასტ** (ზს.) „გალაწუნება, მირტყმა-მორტყმის ხმა“, **ბიჩხ-ბაჩხ** (ბქ.) „გაშლილი ხელით გარტყმის ხმა“ და ა. შ.), თუმცა CVCn - CVCn / CVC -

CVC ტიპის სტრუქტურული მოდელების პარალელურად ძალზე ხშირად დასტურდება CVCn-V-CVCn-V ტიპის რედუბლიკაცია (ანუ ე. წ. **ვოკალური ალტერნაცია მაერთი ხმოვნით**).

მაერთ ხმოვანად, როგორც მასალის ანალიზმა აჩვენა, წარმოდგენილია -ი- ხმოვანი, რომელიც სხვა ტიპის (CVC-V-CVC-V) რედუბლიკაციაშიც გვევლინება ინტერფიქსად. ვფიქრობთ, ამ ორი ფონემატური სტრუქტურით განსხვავებულ მოდელში გამოვლენილი მაერთი -ი- წარმოშობით ერთი და იგივე არ არის და მას სხვადასხვა ფუნქცია აკისრია.

უნდა ითქვას ისიც, რომ სვანურში ფუძის გაორკეცებისას, ასევე, ხშირია ინფიქსად **მა-** მარცვლის ჩართვაც.

მოხსენებაში ცალ-ცალკე არის წარმოდგენილი „მაერთხმოვნიანი“ და „მაერთმარცვლიანი“<sup>3</sup> რედუბლიკირებული მოდელები და სვანურ ვრცელ დიალექტოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით მოცემულია ცდა როგორც მაერთი ხმოვნის, ისე მაერთი მარცვლის ფუნქციისა და წარმომავლობის გარკვევისა.

### **არაიდენტურხმოვნიანი რედუბლიკაცია / ვოკალური ალტერნაცია მაერთი ხმოვნით**

#### 1. CVCn-V-CVCn-V ტიპის რედუბლიკაცია

**ბითქ-ი-ბჷთქ-ა** (ზს.), **ბითქ-ი-ბათქა** (ჩოლ.) „ბათქაბუთქი“, **ბიჭკჷ-ი-ბჷჭკჷ-ა** (ზს.) „ტკაცატკუცი; სკდომა-ხეთქვა“, **ბრინ-ი-ბრან-ა** (ბქ.) „ბრახაბრუხი; ბრახვანი“, **თუიგ-ი-თუაგ-ა** (ლხმ., ჩბხ.) „გაძრომ-გამოძრომით სიარული“, **პილტ-ი-პალტ-ა** (ჩოლ.) „უაზრო ლაპარაკი ბავშვის ან დიდი ასაკის გამხდარი ქალის“, **შკუიფ-ი-შკუაფ-ა** (ზს., ქს.) „ჯოხის დარტყმის ხმა; ბრახვანი“, **ჯიგგ-ი-ჯაგგ-ა** (ლხმ.) „ჯაჯგური“ და სხვ.

#### 2. CVC-V-CVC-V ტიპის რედუბლიკაცია

**ბილ-ი-ბულ-უ** (ჩოლ.) „ლულულდი, უაზრო საუბარი“, **ბირ-ი-ბურ-უ** (ჩოლ.) „სულელი ადამიანის ლაპარაკი“, **კირ-ი-კურ-უ** (ჩოლ.) „უაზრო, ჩქარი, გაუთავებელი ლაპარაკი“, **ჟირთხ-ი-ჟურთხ-უ** (ჩოლ.) „თლიფინით ლაპარაკი“, **ფიჩ-ი-ფუჩ-უ** (ლშხ., ლნტ., ჩოლ.)||**ფიჩ-ი-ფუჩ-**

<sup>3</sup> ცნება „მაერთმარცვლიანი“ შემოვიღეთ „მაერთხმოვნიანის“ ანალოგიით.

ო (ლმხ.) „ჩურჩული; ფაჩიფუჩი; ფაჩუნ“, **ყირტი-ყურტ-უ** (ჩოლ.) „ხამალა როყო საუბარი ერთმანეთში“ და ა. შ.

### **იდენტურხმოვნაანი რედუპლიკაცია მარცვლის ჩართვით**

CnVS და CVS სტრუქტურათა დუბლირებითა (resp. კონსონანტური და ვოკალური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) და ინტერპოზიციურად **-მა-** მარცვლის ჩართვით ვიღებთ CnVS + CV + CnVS და CVS + CV + CVS სტრუქტურის რედუპლიციურებულ ფუძეებს:

**ბჟღლ-მა-ბჟღლ** (ბზ., ლმხ.), **ბჟღლ-მა-ბჟღლ** (ბქ., ლნტ.) „განუწყვეტლივ ზუზუნი, ბზული, ჟიჟინი, ბჟული-ბჟული“, **ბღღლ-მა-ბღღლ** (ბზ., ლმხ.), **ბღღლ-მა-ბღღლ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „განუწყვეტელი ბღავილი“, **ბღწლ-მა-ბღწლ** (ჩოლ.) „განუწყვეტელი ბღავილი“, **დრიზ-მა-დრიზ** (ბქ.), **დრიზ-მჰ-დრიზ** (ლხმ.) „ხელის გარტყმის ძლიერი ხმა“, **თხგლ-მა-თხგლ** (ჩოლ.) „გაბმული სიცილი, ხითხითი“, **სგლ-მა-სგლ** (ზს., ლნტ.), **სგლ-მა-სგლ** (ლმხ.) „სისინი (ქარისა, ტყვისა, გველისა,...)“, **ყწლ-მა-ყწლ** (ბზ., ლმხ.), **ყწლ-მა-ყწლ** (ბქ., ლნტ., ჩოლ.) „გაბმული ყვირილი“, **ჭყღლ-მა-ჭყღლ** (ბზ.), **ჭყღლ-მა-ჭყღლ** (ბქ., ჩოლ.) „ჭყავილი, ჭყვირილი“ და სხვ.

სვანური ფონოსემანტიკური მასალის ანალიზმა გვაჩვენა, რომ რედუპლიციურებულ ფუძეებში შეერთება უმეტესად უკავშიროა, თუმცა გამოჩენილები მაინც იჩენს თავს და უკავშირო ფუძეგაორკეცებული ფორმების პარალელურად „მაერთხმოვნაანი“ ვოკალური ალტერნაციაც დასტურდება და „მაერთმარცვლიანიც“ სხვადასხვა ფუნქციით. ინტერფიქსად წარმოდგენილ **-ი-**ს, რომელიც ორ განსხვავებულ სტრუქტურულ მოდელში დაჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში აერთიანებს დახურული მარცვლით წარმოდგენილი დუბლირებული (ანუ კონსონანტური მიმდევრობის აბსოლუტური განმეორებით) ძირის სტრუქტურებს (**ფიც-ი-ფუც-უ, ფირფ-ი-ფურფ-უ, ყირტი-ყურტ-უ...**; **ბითქ-ი-ბჰთქ-ა, ძგვიბ-ი-ძგვაბ-ა, ჯიჭგ-ი-ჯაჭგ-ა...**), მას მაინც სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა, კერძოდ: ერთ შემთხვევაში **-ი-**ს მივიჩნევთ სახელობითი ბრუნვის ნიშნად, მეორე შემთხვევაში კი, საენათმეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ჩვენეული ინტერპრეტა-

ციებით, მაერთებელ კავშირად, რომელიც ფუძეს შეერწყა და თანდა-  
თანობით დაკარგა თავდაპირველი მნიშვნელობა.

რაც შეეხება **-მა-** მარცვალს, რომელიც ინტერფიქსად გვევლინება სვანურში და რომლის კვალი ქართულ არახმაბაძვით ფორმებშიც ჩანს, მარედუბლიცირებული (ანუ „ფუძეთგამყარი“) აფიქსი უნდა იყოს. **-მა-**ს ჩართვა რედუბლიცირებულ ძირებს შორის, ცხადია, სემანტიკურ ცვლილებასაც იწვევს (შდრ., ერთი მხრივ, **კილ-კილ** „კვილი (ზედმიწ. — კივ-ილ-კივ-ილ-ი)“, **გვლ-გვლ** „ყმული (ზედმიწ. — ყმული-ყმული)“, **დრიზ-დრიზ** „ხელის გარტყმის ხმა (ზედმიწ. — დრუზ-ვ-ა-დრუზ-ვ-ა)“... და, მეორე მხრივ, **კილ-მპ-კილ** „წივილ-კვილი“, **გვლ-მა-გვლ** „ყმული“, **დრიზ-მპ-დრიზ** „ხელის გარტყმის ხმა“ და სხვ.), მისი საშუალებით მრავალგზისი და, ასევე გაბმული ხმიანობა ვადმოიცემა.

ჩვენ მიერ განხილულ ყველა ტიპის რედუბლიცირებულ ფორმათა გამოყენებას ხშირად კონტექსტიც განსაზღვრავს და ისინი ძირითადად მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებში გამოიყენება: **კილ-‘კილ’ ენ-კიდ** „დაიკვილა (ზედმიწ. — კივ-ილ-კივ-ილ-ი აილო)“, მაგრამ **ჩუ ხოგ კილ-მპ-კილ** „ერთი ამბავი აქვს, გაჰკვივის (ზედმიწ. — ქე უ-დგ-ა-ს წივილ-კვილი)“; **დრიზ-‘დრიზ’ ახლანე** „დაარტყა (ზედმიწ. — დრუზ-ვ-ა-დრუზ-ვ-ა ვაადინა)“, მაგრამ **ჩუ ხოგ დრიზ-მპ-დრიზ** „აქვთ ერთი ამბავი, ჩხუბობენ მუშტებით (ზედმიწ. — ქე უ-დგ-ა-თ დრუზ-ვ-ა)“; **სგუიჭ-‘სგუიჭ’ ენკიდ** „გასროლის ხმა მოისმა (ზედმიწ. — ჭახანი აილო)“, მაგრამ **ჩუ ხოგ სგუიჭ-სგუაჭ** „ისვრის განუწყვეტლივ (ზედმიწ. — ქე უ-დგ-ა-ს ჭახან-ჭახანი)“ და ა. შ. ცხადია, ფორმათა სპონტანური ჩანაცვლება ერთგვარ დისონანსს შეიტანს სვანურ ფონოსემანტიკურ სისტემაში, ამიტომ კონტექსტის გათვალისწინება ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

უნდა ითქვას ისიც, რომ საანალიზო სტრუქტურულ მოდელებში (გუთლისხმობთ ზემოთ წარმოდგენილ სამივე სტრუქტურულ მოდელს, ე. ი. **-ი-** ხმოვნითა და **-მა-** მარცვლით ნაწარმოებ ფორმებს) ერთი მეორეს არ ცვლის, ანუ **-მა-** მარცვალს არ შეიძლება ჩაენაცვლოს მაერთი **-ი-** და, პირიქით, მაერთ **-ი-**ს არ ჩაენაცვლება **-მა-** მარცვალი (დაუშვებელია **ბჟვლ-მა-ბჟვლ** ფორმის ნაცვლად **ბჟვლ-ი-ბჟვლ-ა** ან **ყირტ-ი-ყურტ-უ-**ს ნაცვლად **ყირტ-მა-ყურტ-უ** და მისთ.), არც ორ სხვადასხვა სტრუქტურულ მოდელში ინტერფიქსად გამოვლენილი **-ი-** ენაცვლება

ერთმანეთს ანუ ეს ერთეულები ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის დამოკიდებულებაში იმყოფებიან.

ცხადია, „მაერთხმომიანი“ და „მაერთმარცვლიანი“ რედუბლიცირებულ ფუძეებს შორის სემანტიკური სხვაობაც ხელშესახებია და ამ სემანტიკურ სხვაობას სწორედ მაერთი -ი- და -მა- იწვევენ, რომელთა მეშვეობით ახალი ბგერწერითი რიგები ჩამოყალიბდა სვანურში.

## მ უ რ მ ა ნ ს უ ხ ი შ ვ ი ლ ი

### მე ~ არა-მე დაპირისპირებისათვის ქართულში

ქართული ენისათვის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კომუნიკაციის აქტში მონაწილე პირთა (მეტყველი — მსმენელი) ფორმალური წარმოჩენა და, შესაბამისად, ამ ნიშნით კომუნიკაციის აქტში მონაწილე (I-II) და არამონაწილე (III) პირების დაპირისპირება. ეს უნივერსალური ტენდენციაა და ის ჩანს მორფოლოგიაშიც და სინტაქსშიც; მაგალითისთვის, I/II პირის სახელი (სუბიექტი) ყოველთვის ითანხმებს ზმნას პირსა და რიცხვში, III პირის სახელი — მხოლოდ გარკვეულ პირობებში; ეს დაპირისპირება მორფოლოგიური მაჩვენებლების განაწილებაშიც ვლინდება, I/II პირი ზმნაში პრეფიქსებით აღინიშნება, III პირი — სუფიქსებით, I/II პირის ნაცვალსახელები უბრუნველი სიტყვებია, III პირისა — ბრუნებადი და ა. შ. (დაწვრილებით, იხ. რ. ასათიანი, 1994, 34...).

ქართული ენის სტრუქტურისათვის ნიშანდობლივი ჩანს სხვა რიგის დაპირისპირებაც, კერძოდ მე ~ არა-მე / სხვა. ეს დაპირისპირება ჩვენი აზრით, რეალიზებულია პირის კატეგორიის გამოხატვისას; კერძოდ, I პირი, მე თავისი გ- მარკერით უპირისპირდება ყველა არა-მე პირს (II სუბიექტურ და III ობიექტურ პირებს — ირიბსაც და პირდაპირსაც), რომელთაც იდენტური ფორმალური მარკერი ხ-/ჰ-ჰქონდათ და, სავარაუდოდ, სემანტიკაც მსგავსი უნდა ჰქონოდათ; მსგავსი დაპირისპირება დაჩნდება ობიექტური I პირისა და სხვა ობიექტური პირების ანალიზისას.

დაპირისპირება **მე ~ არა-მე** იკვეთება ორიენტაციის გრამატიკული კატეგორიის რეალიზაციისას; სააქეთო ორიენტაციას ძირითადად მო- ზმნისწინი გადმოსცემს და **მე**-სთან მიახლოებას აფიქსირებს — გარდაუვალ ზმნაში სუბიექტის: „მოიწია ჟამი ნაყოფისად“ მ. 21, 34 DE, გარდამავალში — პირდაპირი ობიექტის: „მო-ძი-იწიოს რად სიტყუად ჩემი“ რიცხ. pb. 11, 23, **მი**- ზმნისწინი **მე**-სგან დაშორებას გამოხატავს; გარდაუვალია იგინი მიუჯდეს ფილიპეს“ ი. 12,21 DE, შდრ.: ესენი მიუჯდეს ფილიპეს“ DE, გარდამავალი: „ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პითიასშსა“ შუშ. VII.28.

საყურადღებოდ გვეჩვენება ძველი ქართულის ის შემთხვევები, სადაც კომპენიკაციის აქტის მონაწილე II პირის პოზიცია ორიენტაციის თვალსაზრისით გარკვეული არ არის, კერძოდ, **მო**- აღნიშნავს მიმართულებას 1-ლი პირისკენ, **მი** კი — მიმართულებას მე-3 პირისაკენ; მე-2 პირს თავისი ზმნისწინი არა აქვს და იყენებს ან 1-ლი პირის **მო**- ზმნისწინს, ან მე-3 პირის **მი**- ზმნისწინს, შდრ.: ვინ **მო-გცა** შენ ჳელმწიფებად ესე“ მ. 23,21 DE — „ვინ **მიგცა** შენ ჳელმწიფება ესე (იქვე, C) (ა. შანიძე).

დაპირისპირება **მე ~ არა-მე** წარმოჩნდება ჩვენებით ნაცვალსახელებისა და ზმნისართების ანალიზის შემთხვევებშიც.

## თ ე ა ტ ე ტ ე ლ ო შ ვ ი ლ ი

### არაერთსიტყვიანი უდანართო სათაურების / სახელწოდებების მართლწერის გამო

ცნობილია, რომ წინადადების წევრის როლში შეიძლება მოგვევლინოს არაერთსიტყვიანი სათაურები თუ სახელწოდებები.

#### მაგალითები:

ახალი სეზონიდან „ნანუკას შოუს“ ახალი პროდიუსერი ეყოლება.

„დარჩი ჩემთან“ პაატას კინოდებიუტია.

ზაზა ურუშაძის „სამი სახლი“ ჩემი საყვარელი ფილმია.

„კვირის პალიტრა“ დაუკავშირდა ქიმიის მასწავლებელს.

ამგვარი ენობრივი ერთეულები ლექსიკალიზაციის გამო ფრაზის/წინადადების სტრუქტურაში, რა თქმა უნდა, იკავებენ რომელიმე წევრისთვის განკუთვნილ ადგილს და ისეთსავე სინტაქსურ მიმართებებს ამყარებენ სხვა წევრებთან, როგორც მათ პოზიციაში მყოფ ერთსიტყვიან წევრს ექნებოდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაერთსიტყვიანი სათაურებისა თუ სახელწოდებების ამგვარი ბუნების გამო მათ მართლწერასთან დაკავშირებით ხშირად იქმნება პრობლემები. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც არაერთსიტყვიან სათაურს/სახელწოდებას არ ახლავს დანართი წევრი. საკითხის ანალიზისთვის მივმართეთ ქართულ ბეჭდურ თუ ელექტრონულ მედიას და მოპოვებული მასალის დამუშავების საფუძველზე გამოვყავით ზემოხსენებული ტიპის სათაურთა თუ სახელწოდებათა მართლწერასთან დაკავშირებული შეცდომების ორი ტიპი:

1. **არაერთსიტყვიანი სათაური/სახელწოდება წარმოდგენილია ლათინურენოვანი ასოებით და გაფორმებულია ან არ არის გამოფორმებული სათანადო ბრუნვის ფორმით;**

2. **არაერთსიტყვიანი სათაური/სახელწოდება ქართულენოვანია, მაგრამ წარმოდგენილია არამართებული ფორმით.**

**პირველი სახის დაწერილობების ნიმუშებია:**

... წერდა კრაუტჰამერი 2002 წელს **National Interest**-ში.

ყოველივე ამის შესახებ **Microsoft Bing**-ის კორპორატიულმა ვიცებრეზიდენტმა, დერიკ კონელმა განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ დარეგისტრირებული მომხმარებლების მიხედვით შედარებით კარგ მდგომარეობაშია **Google Plus**-იც.

**Publisher's weekly online-ის** ცნობით, ელექტრონული წიგნების მომხმარებელი ახლა უფრო მეტ ფულს ხარჯავს ნებისმიერ წიგნებში, ვიდრე მაშინ, როცა მხოლოდ ნაბეჭდ პროდუქციას მოიხმარდა.

3 სექტემბრიდან კი **Lund's Konstall**-ის ბანერი დამთვალეირებელს ქართველ მხატვართა გამოფენაზე ეპატიჟება.

მაგალითებში წარმოდგენილი სახით სახელწოდებების გადმოცემა, ჩვენი აზრით, საერთოდ უგულებელსაყოფია, რამდენადაც ტრანსლიტერაციის წესები დადგენილია და სახელწოდებები ამ წესების დაცვით უნდა გადმოვიტანოთ ქართულად. ლათინურენოვანი შესატყვისი კი შესაძლოა (თუმცა არასავალდებულო) წარმოვადგინოთ ფრჩხილებში.

## **სახელწოდებების/სათაურების დაწერილობის მეორე ტიპის ნიმუშებია:**

„ეთამაშე ვარსკვლავის“ და „ლოტოს“ წამყვანი ანუკა ქორქია უკვე რამდენიმე თვეა შეყვარებულია.

სამეფო უზნის თეატრში ჯგუფელმა და მეგობარმა დათა თავაძემ პაატა ორ სპექტაკლში ათამაშა — „სხვისი შვილები“ და „მახინჯი“.

მაისში „დარჩი ჩემთან“ გადაიღო, პირველ ოქტომბერს „გასეირნება ყარაბალი-3“-ის გადაღებას იწყებს...

„მაიტა ნასოსის“ და „სვანის“ შემდეგ ცოტა ხნის წინ მუსიკალურად კიდევ ორი ახალი ფილმი გააფორმა.

ბუნებრივია, არაერთსიტყვიანი სათაურისა თუ სახელწოდების კონტექსტში წარმოდგენისთვის საჭიროა შესაბამის ბრუნვაში მისი ჩასმა. მიგვაჩნია, რომ **არაერთსიტყვიანი სახელწოდებები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ზმნაა, ან არასახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი სახელი, ან თანდებულიანი სახელი, ან სახელწოდება შეიცავს კავშირს, ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ჯობს, გამოვიყენოთ დანართთან ერთად და დანართი გავაფორმოთ შესაბამისი ბუნვითა თუ თანდებულით, ხოლო სახელწოდება დავტოვოთ სახელობით ბრუნვაში.** ამგვარად თავიდან ავიცილებთ მართლწერის თვალსაზრისით უმართებულო ფორმებსა და აზრობრივ ბუნდოვანებას.

## **თ ე დ ო უ თ უ რ გ ა ი ძ ე**

### **ირიბი ობიექტის რიცხვი**

საწყის პერიოდში ირიბი ობიექტის სიმრავლე ზმნის ფორმაში არ აისახებოდა — სიმრავლე ცალმხრივ იყო მარკირებული თვით ობიექტის ფორმით (მევმარების ჩ უ ე ნ, გევმარების თ ქ უ ე ნ, ევმარების მ ა თ).

ცნობილია, (1) ინოვაცია მრავლობითი რიცხვის გამოხატვაში | პირით დაიწყო (გუ-ევმარების ჩ უ ე ნ; არ შეიძლება გუევმარების



მე); (2) XV საუკუნის შემდეგ იწყება ირიბი ობიექტის სიმრავლის მარკირება II და III პირებშიც ზოგი ტიპის ზმნებში.

სუბიექტური წყობის ზმნებში ირიბი ობიექტი მხოლოდ მესამე პირში დგას (მე ვსთხოვ მათ, შენ სთხოვ მათ, ის სთხოვს მათ<sup>4</sup>), სადაც I და II პირებში მისი სიმრავლე არასოდეს ყოფილა მარკირებული სამწერლობო ენასა და დიალექტებში.

ირიბობიექტური პირიცა და სიმრავლეც არ გამოიხატება ობიექტური წყობის იმ სამპირიან ზმნებშიც, სადაც ის პირუცვლე-ლია (დამამსგავსა მან მე მათ, დაგამსგავსა მან შენ მათ, დაამსგავსა მან ის მათ), შესაბამისად ირიბი ობიექტის სიმრავლე აღუნიშვნელი რჩება ამ აქტივთა კონვერსიულ პასივებშიც (დავემსგავსე მე მათ, დაემსგავსე შენ მათ, დაემსგავსა ის მათ).

რაც შეეხება მედიოპასივებსა და სტატიკურ ვნებითებს, ზმნის ფორმაში ირიბი ობიექტის პირისა და სიმრავლის გამოხატვის ისტორია დინამიკური ზმნების ანალოგიურია გარკვეული შეზღუდვებით.

ძირითადად X საუკუნიდან თანდათანობით ხორციელდება ცვლილებები ირიბი ობიექტის სიმრავლის მარკირებაში ამ ტიპის სინთეტურ ფორმებში (გაქვთ თქვენ, აქვთ მათ; გყავთ თქვენ, ჰყავთ მათ).

ირიბი ობიექტის სიმრავლე კვლავ აღუნიშვნელი რჩება სუბიექტური წყობის დამხმარე ზმნიან ფორმებში (ვპყავარ მე მათ, ჰყავხარ შენ მათ<sup>5</sup>; ვჰგონივარ მე მათ, ჰგონიხარ შენ მათ). ამ ზმნებში სიმრავლე გამოეხატება მხოლოდ სუბიექტურ პირს (ჩვენ ვპყავართ მას, ჩვენ ვჰგონივართ მას...).

ობიექტური წყობის ფორმებში სიმრავლე თანაბრად გამოეხატება სუბიექტსა და ირიბ ობიექტს (გყავართ თქვენ მე; გყავართ ჩვენ შენ, ასევეა სტატიკურ ვნებითებში: გგონივართ თქვენ მე, გგონივართ ჩვენ შენ).

<sup>4</sup> დიალექტური /სთხოვთ მათ/ არის ობიექტური წყობის პარადიგმის III პირის ფორმა: გვთხოვს ჩვენ, გთხოვ(ს)თ თქვენ, სთხოვთ მათ.

<sup>5</sup> რაც შეეხება სინთეტურ გაქვთ ფორმას, მას დამხმარე ზმნიანი ფორმები არ უჩნდება გასაგები მიზეზით, ამიტომ სუბიექტის სიმრავლის მარკირება (ვთქვით, ვჰქონივართ ჩვენ მას, გჰქონივართ ჩვენ შენ...) გამოირიცხა.

იმ ფორმებში, სადაც ორივე პირი ( $S^P$  და  $O^{indp}$ ) მრავლობით რიცხვშია, ხდება მორფონოლოგიური ცვლილება — იკარგება ერთი -თ (გყავართ ჩვენ თქვენ, გგონივართ ჩვენ თქვენ).

სტატიკურ და, საერთოდ, ნებისმიერ ზმნა-შემასმენელთან პირმიმართ აქტანტთა სინტაქსური ურთიერთობა უცვლელია<sup>6</sup>. მრავლობითი რიცხვის მარკირების ცვლილებას რაიმე სახის სინტაქსური ცვლილება არ მოჰყოლია.

## როსტომ ფარეულიძე

### არსებით სახელთა შედარებითი ანალიზის საკითხები ნახურ ენებში

1) სტრუქტურის მიხედვით საერთო-ნახურ ენათა არსებით სახელებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

ა) საერთო-ნახური ერთმარცვლიანი არსებითი სახელები CV სტრუქტურისა:

ჩეჩნურ-ინგუშურ-ბაცბური (წოვათუშური)

წა „სახლი“

სა „სული“

ჩა „დათვი“

‘ა „ზამთარი“...

ბ) საერთო-ნახური არსებითი სახელები CV(C) სტრუქტურისა:

ჩეჩნურ-ინგუშ. ბაცბური (წოვათუშური)

კა კავ „ხორბალი“

ღა დად „მამა“

ყუ ყუვ „ქურდი“

შა ფ-შა „ყინული“ (ფ<\*ბ გაქვავებული გრ. კლ.

ნიშანი)...

---

<sup>6</sup> თუ ორმხრივი მარკირებით არა, ცალმხრივი მარკირებით მაინც ხდება პირმიმართ აქტანტთა სიმრავლის გამოხატვა: ზმნა-შემასმენელსა და პირმიმართ აქტანტებს შორის ყოველთვის ივარაუდება რიცხვში შეთანხმება.

|   |                |                      |
|---|----------------|----------------------|
| გ) საერთო-ნახური არსებითი სახელები CVC სტრუქტურისა: |                |                      |
| ჩეჩნური   | ინგუშური       | ბაცბური (წოვათუშური) |
| ლამ   | ლოამ           | ლამ „მთა“            |
| მალხ  | მალხ           | მათხ „მზე“           |
| ფჰიდ  | ფჰიდ           | ფჰიტ „ბაყაყი“        |
| მაყ   | მუოყ/ჯ „წვერი“ | მაჭ „ულვაში“...      |

CV და CV(C) სტრუქტურის სახელებისათვის ამოსავალი, როგორც ჩანს, უნდა იყოს პირველი სახეობა (ი. დეშერიევი). სახელის ფუძის გართულება თანხმოვნის (ან თანხმოვნების) დართვით;

2) საერთო-ნახური მარტივი ორმარცვლიანი არსებითი სახელები:

|         |          |                    |
|---------|----------|--------------------|
| ჩეჩნური | ინგუშური | ბაცბური            |
| ვაშა    | ვუშა     | ვაშუ „ძმა“         |
| ქუორთა  | ქუორთა   | ქორთ(ო) „თავი“     |
| დიშა    | დიშა     | დიშუ „და“          |
| სჷრჷე   | სეჷრა    | ფსარლო „საღამო“... |

3) სამმარცვლიანი მარტივი საერთო-ნახური არსებითი სახელები არ იძებნება. არსებული სამმარცვლიანი არსებითი სახელები შედგენილია — მეორე კომპონენტი მასდარს წარმოადგენს.

## ლი ა ქ ა რ ო ს ა ნ ი ძ ე , ა ნ ა ხ უ რ ც ი ლ ა ვ ა

### არაქართული წარმოშობის ტერმინებისათვის ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში

ტექნიკური ტერმინოლოგიის ბოლო გამოცემული რედაქცია 1977 წლისაა (რედაქტორები: აკად. რ. დვალი და დოც. რ. ლამბაშიძე). საზოგადოებისთვის, სამწუხაროდ, ჯერაც უცნობია არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფონდებში დაცული ინგლისურ-რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის გამოუქვეყნებელი მასალები. ინსტიტუტის არქივში ინახება ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1991 წლის 4 ივლისის

დადგენილება ტექნიკური ტერმინოლოგიის ახალი გამოცემის სარედაქციო კოლეგიის დამტკიცების შესახებ. კოლეგიის წევრებად დასახელებულნი არიან ცნობილი მეცნიერები. სწორედ ეს გამოუქვეყნებელი ფონდია საფუძველი ტექნიკური ტერმინოლოგიის უახლესი რედაქციისა.

ლექსიკონზე მუშაობისას წარმოიშვა მრავალი საკითხი, რომელთა გადაჭრასაც სარედაქციო ჯგუფი მოხსენებებსა თუ სტატიებში ცდილობს. ერთ-ერთ ასეთ პრობლემად მიგვაჩნია უცხო სიტყვათა სიჭარბე ტექნიკურ ტერმინოლოგიაში. უცხო ტერმინებს ქართული შესატყვისები ბევრგან უწერია, უმეტეს შემთხვევაში კი მხოლოდ არაქართული ტერმინებია, მაგალითად: ადვექცია, ადვექციური, ადიაბატა, ადიაბატური, ადსორბული, ადსორბირება, ადსორბტივი, ადსორბცია, ადსორბერი, ადონიტი, ადიტიური, ადიტიურობა.

„თუ ინტერნაციონალურ ტერმინს ქართულ ხალხურ სასაუბრო ენაში გააჩნია თავისი პარალელი, ჩვენც უთუოდ უნდა შემოვიღოთ იმ ვარაუდით, რომ ახლო მომავალში უცხო ტერმინი მოიხსნება და მართო მშობლიური დარჩება სახმარებლად“, — წერდა ვუკოლ ბერიძე, თუმცა მომავალში ამის გაკეთება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, დრომ აჩვენა, რომ უცხო სიტყვა უფრო მკვიდრდება, ვიდრე — ქართული, ხმარებიდან იკარგება ქართული შესატყვისები: კუთხზომი//კუთხემზომი გონიომეტრმა შეცვალა, ჰაერწნეზომი — ბარომეტრმა, სხივთაბნევა — აბერაცია, შთანთქმა — აბსორბცია და სხვ. ცხადია, სინონიმია უნდა დაიძლიოს, მაგრამ როგორ — დარჩეს მხოლოდ ქართული ტერმინი თუ უცხო, მაგალითად: დევიაცია თუ გადახრა, დეჰიდრატაცია თუ გაუწყლოება, დეგომაცია თუ გაუწყებურება, დინამომეტრი თუ ძალსაზომი, გალვანომეტრი თუ დენსაზომი და ასე შემდეგ.

სამწუხაროდ, დღევანდელი ქართველი სამეცნიერო საზოგადოება ნაკლებადაა მზად, შეელიოს უცხოს და მიიღოს ქართული ტერმინი. ბარბარიზმად არ ითვლება არარუსული წარმოშობის სიტყვები. სამეცნიერო წრეების, მწერლების აქტიურობა მუშაობამ თავისი შედეგი გამოიღო წინა საუკუნეში — ქართული გაიწმინდა რუსული ბარბარიზმებისაგან. დღეს კი ჩვენი გადასაწყვეტია, საერთაშორისოს ვუწოდებთ უცხო სიტყვებს და უყოყმანოდ მივიღებთ თუ ბარბარიზმს.

იზაბელა ქობალავა, რუსუდან გერსამია,  
მაია ლომია

## ულ-ა / ულ-უ „სვლა“ ზმნის სემანტიკა მეგრულსა და ლაზურში

მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნურ ძირებს შორის მეგრული და ლაზური ულ- „სვლა, სიარული“, როგორც ადამიანისათვის ყველაზე ბუნებრივი და მნიშვნელოვანი აქტივობის აღმნიშვნელი, ყველაზე გავრცელებულიცაა. მეგრულსა და ლაზურში იგი წარმოდგენილია როგორც მოქმედების სახელის — *მასდარის* (მეგრ. ულ-ა, ლაზ. ულ-უ) სახით, ისე საკუთრივ ზმნური, ულლებადი, ფორმებით.

ულ- ძირის (ისევე, როგორც საერთოდ ქართველური ზმნური ძირების) მნიშვნელობა ნეიტრალურია მოძრაობის ლოკაციური მახასიათებლების (მოძრაობის მიმართულება, ადგილი, დასაწყისი და დასასრული პუნქტები) მიმართ. ამ სახის ინფორმაციას გვაწვდიან ზმნურ ფუძეში ძირთან ერთად შემავალი ზმნისართული მნიშვნელობის პრეფიქსული ფორმანტები — **ზმნისწინები**, რომელთაც ფუძეში უკავიათ სტაბილური პოზიცია და ნეიტრალურ ძირთან კომბინაციებით ქმნიან განსხვავებულ ლექსიკურ ერთეულებს.

ულ- ძირის მნიშვნელობა მხოლოდ მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნათა საერთო სემანტიკურ მახასიათებლებს გულისხმობს როგორცაა: 1. **დინამიკურობა**, 2. **მოძრაობის სუბიექტი**, 3. **მოძრაობის სახე**, 4. **მოძრაობის დრო**, რომელშიც აღნიშნული მოძრაობა სრულდება.

1. **დინამიკურობა**. მეგრულ-ლაზურ ულ-თან დაკავშირებული მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ერთპირიანი ზმნები დინამიკურ ზმნათა კლასში შედიან და როგორც ნეიტრალური ძირები, გამოხატავენ მხოლოდ გადაადგილების პროცესს. მიმართულების აღმნიშვნელ ზმნისწინებთან კომბინაციით იგი ქმნის განსხვავებულ ზმნურ ფუძეებს, რომელთა ლოკაციური მნიშვნელობა მთლიანად დამოკიდებულია ზმნისწინთა მნიშვნელობაზე. შესაბამისად მეგრ.-ლაზ.

**ულ-** ძირის შემცველი განსხვავებული ზმნური ფუძეები გამოხატავენ მოძრაობის ლოგიკით მოსალოდნელ და ზმნისწინებით აღნიშნულ სამ დამოუკიდებელ ფაზას — მოძრაობის სპეციფიკის თვალსაზრისით ძირითადს, მიმდინარეობას, და მარგინალურ ფაზებს: დასაწყისსა და დასასრულს.

2. **მოძრაობის სუბიექტი.** ულ-ა/ულ-უ ზმნის სუბიექტი ცოცხალი არსებაა. ოპოზიცია — **ცოცხალი VC არაცოცხალი** მნიშვნელოვან როლს თამაშობს მეგრულისა და ლაზურის სახელური და ზმნური ლექსიკის სემანტიკურ ორგანიზაციაში. აქტიურ სუბიექტთა კლასში ერთიანდებიან ცოცხალი ბუნების წარმომადგენლები — *ადამიანები, ცხოველები, მცენარეები*. მათგან ადამიანთა და ცხოველთა მოძრაობა, ე.ი. ისეთ სუბიექტთა მოძრაობა, რომელთაც შეუძლიათ საკუთარი ძალით გადაადგილება, აღინიშნება ერთი და იმავე ზმნური საშუალებებით — ძირებით, ზმნისწინებით.

3. **მოძრაობის სახე.** ულ- ძირი ისევე, როგორც საერთოდ მოძრაობა-გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნური ძირები, ინფორმაციას იძლევა მოძრაობის **სახის** შესახებ. პირველ ყოვლისა, ეს სახე დამოკიდებულია აქტიური სუბიექტის არსებობაზე სხვადასხვა გარემოში — *ხმელეთზე, წყალსა და ჰაერში*. საარსებო გარემოს მიხედვით განსხვავებული ბიოლოგიური თავისებურებები განაპირობებენ მოძრაობის სახეებსაც. შესაბამისად გარჩეულია გადაადგილების ძირითადი სახეები: მეგრ. ულ-ა, ლაზ. ულ-უ „სვლა“ — ხმელეთზე გადაადგილება, მეგრ. [ნ]ჩურ-უა, ლაზ. ო-ნჩურ-უ /ო-ნჩვირ-უ (არქ.) „ცურვა“ — წყალში გადაადგილება, მეგრ. ფურინ-უა, ლაზ. ო-ფუთხ-უ „ფრენა“ — ჰაერში გადაადგილება.

აღნიშნული სახეებიდან მეტი მრავალფეროვნებით გამოირჩევა გადაადგილება ხმელეთზე, სადაც ყველაზე გავრცელებული სახეა სწორედ ულ-ა, ულ-უ „სვლა, სიარული“.

ხმელეთზე საკუთარი ძალით მოძრაობის სხვა სახეებიც არსებობს; იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიხატებიან ეს სახეები ენაში, ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ნეიტრალური ულ-ა, ულ-უ ზმნით გამოხატული გადაადგილების *მარკირებული სახეები*: შდრ.:

მეგრ. **რულ-ა**, ლაზ. **ო-ნკაპინ-უ** „რბენა“ — მეგრ. **სხაპ-უა**, ლაზ. **ო-ცხონტინ-უ** / **ო-ცხონტ-უ** „ხტუნვა“, მეგრ. **ცოც-უა**, ლაზ. **ო-წინ-გილ-უ** / **ო-ცონიკ-უ** / **არკუჩხონი** „ხტუნვა, ასკინკილა; მეგრ. **რსიალი**, ლაზ. **ო-სიალ-უ** „სრიალი“; მეგრ. **კერკელი** „გორაობა“, ლაზ. **ო-ნგორ-უ** „გორვა, კოტრიალი“; მეგრ. **ხოხ-უა** „ხოხვა, ბობღვა, ჩოჩვა“. მათ გამოსახატავად გამოიყენება როგორც განსხვავებული ლექსიკური ერთეულები (ზმნური ძირები), ისე ზმნისართული (მეგრ.) და მიმდებარე (ლაზ.) კონსტრუქციები.

**ულ-ა** / **ულ-უ** ზმნის ნეიტრალური სემანტიკიდან გამომდინარე, იგი ერთადერთია, რომელიც გამოყენებულია **ხმელეთზე** არასაკუთარი ძალით გადაადგილების აღმნიშვნელადაც. იგულისხმება შემთხვევები როგორც ცოცხალი ან არაცოცხალი ძალით, ისე რაიმე სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

რამდენადმე მსგავსი ვითარებაა **წყალში** გადაადგილების აღნიშვნის დროსაც. მეგრ. **[ნ]ჩურ-უა**, ლაზ. **ო-ნჩურ-უ** / **ო-ნჩვირ-უ** „ცურვა“ ადამიანისათვის (და ცხოველისთვის) სიარულთან ერთად გადაადგილების ბუნებრივი ფორმაა. ამ შემთხვევაში ადამიანი, ცხოველი გვევლინება როგორც წყლის გარემოში საკუთარი ძალით მოძრაობს არსება და მისი გადაადგილება აღინიშნება იმ ზმნით, რომელიც ბუნებრივია მოცემულ გარემოში, ე. ი. **ცურვით**: წყალში გადაადგილებაზე: მეგრ. **მა მევ-ჩურ-უნქ**, ლაზ. **მა ვი-ნჩვირ**. სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილების დროს მოძრაობის სახე გარჩეულია მეგრულში: **ნიშით მე-ჩურ-უნს** „ნავით მიცურავს“, ასევე შესაძლებელია ლაპარაკი ნავის „ცურვაზე“: **ნიში მეჩურუნს** „ნავი მიცურავს“, ლაზ. **ნიშვირ კი**, ძირითადად, **ულ-** ძირს იყენებს ორივე შემთხვევისთვის: **ფელუკათენ მეულუ** „ნავით მივდივარ“, **ფელუკა ნულუნ** „ნავი მიდის“, თუმცა იშვიათად გვხვდება: **ფელუკათენ ინჩვირს** „ნავით მიცურავს“, **ფელუკა ინჩვირს** „ნავი მიცურავს“ შესიტყვებებიც. რაც შეეხება გემის ან გემით გადაადგილებას, მეგრულ-ლაზურში გამოიყენება მხოლოდ „მიდის“ ზმნის ეკვივალენტური ფორმები: მეგრ. **„მე-ურს“**; ლაზ. **„ნულუნ“**.

ფრენა არის მოძრაობის სახე, რომლის დროსაც ადამიანის გადაადგილება შესაძლებელია მხოლოდ არასაკუთარი ძალით (ნებისმიერი საფრენი აპარატით), რაც გამოიხატება ამ გარემოსათვის ბუნებრივი გადაადგილების აღმნიშვნელი ზმნით — „ფრენა“: მეგრ. *თვითმფრინავით მეგ-ფურინ-უნქ*, ლაზ. *ტერაეთენ ვ-ო-ფუთხ-უ* „თვითმფრინავით მიფრინავ“, მეგრ. *თვითმფრინავი მე-ფურინ-უნს*, ლაზ. *ტერაე ფუ-თხუნ* „ თვითმფრინავი მიფრინავს“.

4. **მოძრაობის დრო. ულ-**, როგორც უწყვეტი პროცესის (იხ. ზემოთ) გამომხატველი ზმნური ძირი, გამოიყენება ძირითადად უსრულასპექტიან, აწმყოს ჯგუფის, ფორმებში — აწმყოსა და ნამყო უწყვეტელში: მეგრ. *მე-ურ-ს*, ლაზ. *ნ-ულ-უნ* „მიდის“, მეგრ. *მე-ურ-დ-უ* // *მი-შ-უ*, ლაზ. *ნულუტუ* „მიდიოდა“. სრულასპექტიან (აორისტსა და მასზე დამყარებულ პერფექტის ჯგუფის) ფორმებში მას ენაცვლება მეგრ. *რთ-*, ლაზ. *ხთ-* სრულასპექტიანობის გამომხატველი საერთო ქართველურ ძირი. მაგრამ სრულასპექტიან ფორმებთან, გარდა ძირისა, განსხვავებულია ზმნისწინებიც: ნაცვლად უსრულასპექტიან ფორმებთან გამოყენებული *მი-* და *მო-* მარტივი ზმნისწინებისა, გამოყენებულია ამ ზმნისწინთა შემცველი რთული ზმნისწინები — მეგრ. *მიდა-*, *მოლა-*; ლაზ. *მენდა-*, *გამა-*: მეგრ. *მიდართუ*, ლაზ. *მენდა-ხთ-უ* „წავიდა“ — მეგრ. *ქემერთუ*, ლაზ. *ქომეხთუ* „მივიდა“; მეგრ. *მოლართუ*, ლაზ. *ქავამა-ხთ-უ* „წამოვიდა“ — მეგრ. *ქომორთუ*, ლაზ. *ქომო-ხთ-უ* „მოვიდა“

რაც შეეხება მყოფადის მწკრივებს, აქ გამოყენებულია მეგრ. **ულ-** > **ურ-**, ლაზ. **-ხთ** ძირი, მაგრამ სრულასპექტიანი ფორმებისათვის სპეციფიკურ მეგრ. *მიდა-* | *ქემე-*, *მოლა-* | *ქომო-*, ლაზ. *მენდა-* | *ქომე-*, *ქომო-* | *ქომუ-* ზმნისწინებთან კომბინაციაში. მეგრ. *მიდურქი*, ლაზ. *მენდაულუ* „წავალ“ - მეგრ. *ქემურქი*, ლაზ. *ქომეულუ* „მივალ“, მეგრ. *მოლურქი*, ლაზ. *ქომოულუ* „წამოვალ“ — *ქომურქი*, ლაზ. *მოულუ* „მოვალ“.



## მ ე დ ე ა    ლ ლ ო ნ ტ ი

### **ზ ო გ-ის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის (ქართ. საზოგადოება)**

ძველ ქართულში მოიპოვება დღემდე სანატრელი, მაღალზნეობრიობით ნასაზრდოები ურთიერთდამოკიდებულების გამომხატველი არაერთი მშვენიერი სიტყვა (მაგალითად, **თანა-კომპონენტინი: თანა-ზიარება** „ერთობა; მონაწილეობა“, **თანა-მზრუნველობა** „ზრუნვა; დახმარება; ჭირისუფლობა“, **თანა-შემწეობა** „დახმარება“, **თანა-ლუა-წა** „ზრუნვა“, და მრავალი სხვა; ასევე, **ერთ-კომპონენტინი: ერთ-თზარახვა** „თანამოაზრე“, **ერთგული** „ერთგული; თანამოაზრე“, **ერთნაწილ-ყოფა** „ერთობა“, **ერთნება, ერთნებობა, ერთნება-ყოფა, ერთსულება** „ერთსულოვნება“, **ერთსული, ერთვმობითი** „ერთსულოვანი“, და მრავალი სხვა).

უაღრესად საგულისხმოა, ამ მხრივ, ქართული **ზოგ-ის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდე, რომელშიც 30-მდე ლექსიკური ერთეული 8 სემანტიკურ განშტოებასა და 40-მდე მნიშვნელობას უყრის თავს, და ორი მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებით გადანაწილდება:

**1) „ნაწილის“, „ნახევარის“ და „განახევრების“, გა(მო)ყოფის“** სემანტიკით გაერთიანებული 20-მდე ლექსიკური ერთეული: **ზოგ, ზოგი, ზოგვი** „ნახევარი; „ნაწილი; ზოგი; ზოგიერთი; კერძო“; **ზოგადი** „ზოგი; ნაწილი“; **ზოგისაგანი** „ნაწილი“; **ზოგის-ზოგი** „ნახევარი, განახევრებული; ნაწილი“; **განზოგება** „განახევრება, გაყოფა“; **განზოგებულად** „ცალ-ცალკე“, **ზოგსრამე, ზოგსრე** „ნაწილობრივ; რამდენადმე, ცოტად თუ ბევრად“, **ზოგებით** „ნაწილობრივ, ნაწილ-ნაწილ; ცალ-ცალკე“; **ზოგებითი** „ნაწილობრივი“, **(და)ზოგვა** „(და) ზოგვა“, **ზოგვა** „გაფრთხილება; არგამეტება“, და სხვა;

**2) პირველის საპირისპირო მაგისტრალურ მიმართულებას შეადგენს „საზოგადოს“, „საერთოს“, „საზიაროს“, „ერთად (ყოფნის)“** სემანტიკით გაერთიანებული 15-მდე ლექსიკური ერთეული: **ზოგად** „საზოგადოდ; საერთოდ; ერთად (ყოფნა)“; **ზოგადი** „საერთო, საზოგადო; საზიარო“; **ზოგებით** „საზოგადოდ; ერთად (ყოფნა)“, **ზოგება** „საზიარო; საზიარობა“, **ზოგებითი** „საზოგადო, საერთო“; **საზოგადო** „საერთო; საზიარო; საყოველთაო“; **ზოგადობა** „კრებული; სიმრავ-

ლე“; **საზოგადოება, საზოგადოება** „საყოველთაობა“, **საზოგადო-ყოფა** „საყოველთაოდ ქცევა“; **საზოგადოება** „საზოგადოება“, და სხვა.

**ზოგ**-ის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეში საგანგებო ყურადღებას იპყრობს 6 სემანტიკურ განმტოებად გადანაწილებული ლექსიკური ერთეულები:

| „ნახევარი“  | „ნაწილი“   | „წვეილი“   | „(და)ზოგვა“  | „საზოგადო“   | „საზოგადო-<br>დოება“                           |
|---|--|--|--|--|--|
| <b>ზოგ</b><br><b>ზოგისზო-<br/>გი</b><br>„განახევ-<br>რებული“      | <b>ზოგი</b><br><b>ზოგვი</b><br><b>ზოგადი</b><br><b>ზოგისაგანი</b><br><b>ზოგისზოგი</b><br>„ნაწილი“;<br>კერძო“       | <b>ზოგი</b><br><b>ზოგვი</b><br>„წვეილი“;<br>ულელი“ | <b>(და)ზოგვა</b><br>„დაზოგვა“                      | <b>ზოგად</b><br>საზოგა-<br>დოდ; საერ-<br>თოდ; ერ-<br>თად(ყოფნა)<br>„ <b>ზოგადი</b><br>„საზოგადო“;<br>საერთო; სა-<br>ზიარო“ | <b>საზოგადო-<br/>ება</b><br>„საზოგა-<br>დოება“ |
| <b>ზოგი</b><br><b>ზოგვი</b><br>„ნახევარი“;<br>განახევრე-<br>ბული“ | <b>ზოგსრამე</b><br><b>ზოგსრე</b><br>„ნაწილობრივ“<br><b>ზოგებით</b><br>„ნაწილობრივ“;<br>ნაწილ-ნაწილ“;<br>ცალ-ცალკე“ |  | <b>ზოგვა</b><br>„გაფრთხი-<br>ლება“;<br>არგამეტება“ | <b>ზოგებითი</b><br>„საზოგადო“;<br>საერთო“<br><b>ზოგებით</b><br>„საზოგადოდ“;<br>ერთად(ყოფნა)“                               | <b>ზოგადობა</b><br>„კრებული“;<br>სიმრავლე“     |
| <b>განზოგება</b><br>„განახევ-<br>რება; გა-<br>ყოფა“               | <b>ზოგებითი</b><br>„ნაწილობ-<br>რივი“  |  |  | <b>ზოგება</b><br>„საზიარო“;<br>საზიარობა“  |  |
|   | <b>განზოგებუ-<br/>ლად</b><br>„ცალ-ცალკე“   |  |  | <b>საზოგადო</b><br>„საერთო“;<br>საზიარო; სა-<br>ყოველთაო“;   |  |
|   |  |  |  | <b>საზოგადობა</b><br><b>საზოგადობა</b><br><b>საზოგადო-<br/>ყოფა</b><br>„საყოველ-<br>თაობა“                                 |  |

მათგან უმეტესობა (**ზოგ, ზოგი, ზოგად, ზოგადი, ზოგებით, ზოგებითი**) ორივე მაგისტრალური სემანტიკური მიმართულებების კუთვნილებს, შიდა: „ნახევარი, განახევრება, გაყოფა; ნაწილი, ნაწილ-ნაწილ, ნაწილობრივ; ულელი“ და „საზოგადო, საერთო; საზიარო; საყოველთაო; ერთად(ყოფნა); კრებული“.

ქართულმა ენამ, ქართველმა სიტყვათმემოქმედმა, სიბრძნით განაგო და ისტორიული, სახელმწიფოებრივი თუ ამა თუ იმ სოციალური ერთობის სახელდებისათვის მიმართა სიტყვას, რომელიც იტევს კაცთა კეთილგონივრული ერთობის ურთიერთშემავსებელ ორკეც (მრჩობლ) შინაარსს, კერძოდ:

**საზოგადოება** არის ადამიანთა ღვთივმოსაწონი ერთობა, კრებული, რომლის წევრები ერთმანეთს კი **არ იმეტებენ**, არამედ თავდაუზოგავად უფრთხილდებიან, **ზოგავენ** ურთიერთს, ხოლო თითოეული წევრი, ვითარცა ამ ერთობის ორგანული **ნაწილი, თანა-მონაწილეა** ღვთის, მოყვასისა და სამშობლოსადმი სიყვარულით მსახურების იმ **საზოგადო, საზიარო, საერთო** საქმისა, რომელსაც ჰქვია „**ურთიერთას ტვრთის**“, ანუ საზოგადო უღლის ღირსეულად ზიდვა (შდრ.: გლათელთა მიმართ 6,2).

## ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი

### **მსაზღვრელ-საზღვრულის გამოხატვა კახეთის 1812 წლის აჯანყების დოკუმენტების მიხედვით**

დოკუმენტებში „კახეთის 1912 წლის აჯანყების ისტორიისათვის“ (თბილისი, 1999) მსაზღვრელ-საზღვრული სხვადასხვა ნაირსახეობით გამოიხატება: **1.** სრული სახეობა; **2.** გარდამავალი სახეობა; **3.** შეკვეცილი სახეობა.

ზემოჩამოთვლილი ვარიანტებიდან უმეტესად ვხვდებით შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის სრულ სახეობას: „ვხლებივართ **ნაჩალნიკს პრაენიკს**“ (ანაგა, 19); „გამოგვეცხადა **მთავარმართებლისა უფლისა მარკიზისა** ბრძანდება“ (ანაგა, 17)

შედარებით ნაკლებად გამოიყენება მსაზღვრელ-საზღვრულის გარდამავალი სახეობა: „ვგონებდით **კეთილ ცხოვრებას**“ (გარეჯი, 36)

ვხვდებით აგრეთვე შეკვეცილ სახეობებსაც: „გასულ მარტამდი **ჩვენ პურს** ვაჭმევდით“ (ვაჭირი, 47)

დოკუმენტებში აქტიურად გამოიყენება მსაზღვრელ-საზღვრულის

პოსტპოზიციური წყობა როგორც გენეტიური, ასევე ატრიბუტული მსაზღვრელისა, რაც შეიძლება ძველი ქართული ენის გავლენით აიხსნას: „ექსპედიციამ გამოსცვალა **განაჩენი სუდისა**“ (ანაგა, 20); „იშვიათად ვნახით **კარი ღია**“ (თელავი, 11).

ხშირად ვხვდებით ნარიანი მრავლობითით გამოხატული მსაზღვრელ-საზღვრულს: „ვიქმნებოდი **მარაულნი მშიერნი**“ (თელავი, 8). რიცხვში შეთანხმების მიხედვით, უმეტეს წილად დაცულია სალიტერატურო ნორმა, მაგრამ ვხვდებით ისეთ ფორმებს, როდესაც სიმრავლის გამომხატველ მსაზღვრელთან შესიტყვებული **ებ-იანი** მრავლობითით გადმოცემული საზღვრული მრავლობით რიცხვშია: „დღესაც **მრავალი საჩივრები** არის ჩვენი“ (თელავი, 10)

დადასტურდა ისეთი შემთხვევა, როდესაც მსაზღვრელი-საზღვრული მოთხრობით ბრუნვაშია, გვაქვს პოსტპოზიციური წყობა, საზღვრულის ბრუნვის დაბოლოება თანამედროვე კახური დიალექტის მსგავსია, ხოლო მსაზღვრელისა კი — ძველიქართულისებური: „**მისმა მსვლელობამ მთავარმართებელმან** მოწყალებითა და კაცთმოყვარებითა თვისითა მოგვიტანა“ (თელავი, 7).

ეს ფაქტი გვაგარაუდებნებს, რომ ეს გარდამავალი პერიოდი იყო კახურში, სანამ მსაზღვრელ-საზღვრულს ერთნაირი ბრუნვის დაბოლოება ჩამოუყალიბდებოდა.

საკვლევ მასალაში შევხვდით მიმართებითი ბრუნვით გადმოცემულ მსაზღვრელ-საზღვრულს: „**ამის ფიქრის მიზეზით** დავის ფიქრისათვის ველარ მოიცალოს“ (თელავი, 7). ვფიქრობთ, რომ ეს შემთხვევაც ძველი ქართულისადგომია.

ჩვენ შევხვდით მსაზღვრელ-საზღვრულის გამოყენების ისეთ ფაქტებს, რომლებიც დღევანდელ კახურში გამოიყენება. ამაზე კი ვრცლად მოხსენებაში ვისაუბრებთ.

## ნ ა ტ ო   შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი

### პარატაქსულ წინადადებათა კავშირთათვის სვანურში

რთულ თანწყობილ წინადადებაში გაერთიანებული მარტივი და შერწყმული წინადადებები ერთმანეთს შეიძლება უკავშირდებოდნენ მაერთებელი კავშირებით ან უკავშიროდ.

სვანურის პარატაქსულ წინადადებაში მაჯგუფებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად **ი** „და“ კავშირი გამოიყენება:

ემხო ბეფშუ ჩუ იგნი ლუკუნკუად ბაჩტცახან **ი** შიყ ტემემანუ ხარ (ბზ., სვან. ქრესტ., 37) „ერთი ბავშვი მოკაკული დადგება ქვასთან და ზურგი უკან აქვს“

ჩი ტაბზგს მიჩა-მიჩა მელტინ ხაყა **ი** ეჯმინდ ხეკუტეს ჩიღს ჩუ ლახაშახ ლეთრე (ლნტ., სვან. პროზ. ტექსტ., 54) „ყოველ სუფრას თავ-თავისი მელვინე ჰყავს და მათ უნდა დააღეგინონ ყველას სასმელი“...

როგორც ცნობილია, თანწყობილ წინადადებაში მოვლენათა და-პირისპირებულობის გამოსახატავად გამოიყენება **მაგრამ, ხოლო, კი** მაპირისპირებელი კავშირები.

„კი“ და „ხოლო“ კავშირები სვანურში თანწყობილ წინადადებაში არ გვხვდება, მათ ამ სემანტიკით ან **ი** „და“ კავშირი ენაცვლება, ან მოვლენათა დაპირისპირებულობა უკავშიროს თანწყობილი წინადადებებით გამოიხატება. თუმცა ყურადღება უნდა მიექცეს **ი** „და“ კავშირის ადგილს: ის არ დაისმის თანწყობილი წინადადების შემადგენელი რომელიმე წინადადების შუაში, ან ზმნის წინ, როგორც ეს **„კი“** კავშირს ახასიათებს, არამედ სწორედ ისე იქცევა, როგორც **ი** „და“ კავშირი და მაერთებელი კავშირის ადგილას გვხვდება:

ჰე, ლჰჰჰჰ ისგუ ბედ, სი სტოლ ჯიგ **ი** მი მწიღშუ ხტიდგარო! (ბქ., სვან. პროზ. ტექსტ., 42,26) „ჰე, ნეტავი შენ, შენ სუფრა გიდგას და მე **[კი]** მშიერი ვკვდები!“

მედალ ჩუბო კუმაშ ისგდი **ი** მწარდ მესიეს დეცს ხეკუტეს ლახრეკას თე (ჩოლ.) „მუდამ ქვევით საქონელი იყურება და კაცმა **[კი]** ზოგჯერ ცას უნდა ახედოს („ჰკიდოს თვალი“)“

ეს წინადადებები მოვლენათა დაპირისპირების სემანტიკას შეიცავს და **ი** „და“ კავშირი მაპირისპირებელ „**კი**“ და „**ხოლო**“ კავშირების მნიშვნელობას ითავსებს.

სვანურ პარატაქსულ წინადადებაში „**კი**“ კავშირის ფუნქციით შეიძლება მოგვევლინოს **გინ**- ნაწილაკიც, რომელიც ამავე დროს ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ სარკაზმის სემანტიკას და რთულ თანწყობილ წინადადებას მეტ ექსპრესიულობას ჰმატებს:

მი ყ'ოხტეკუდ ლეზობი ლამარას, ალე **გინ** ჩუალპრანწყელი ლაყურაჟი (ჩოლ.) „მე მოვუნდი საჭმლის მზადებას, ეს კი წამოკოტრიალებულა ლოგინზე“.

სვანურში მაპირისპირებელ კავშირთაგან ყველაზე ხშირად გამოიყენება **მარა||მარე||მა**, რომელიც ფუნქციით ქართული **მაგრამ** კავშირის შესატყვისია:

ეჩქა დჷტუ ყ'ანმეჩედელი ლარმიდ, **მარე** ჩუ მწჩმ ათორმა (ლნტ., იქვე, 141) „მაშინ დევი ასულა დასაჭერად, მაგრამ ვერ დაუჭერია“

ძღედ შუკუტს ოთოგან ლგჭოჭდ, **მა** ეშნ დესა ხამურჯდა დემე ლიშუმეს (ჩოლ.) „დიდ გზას გაუდგა ოჯახიანად („ოჯახის ყველა წევრიანად“), მაგრამ მაინც არ აპირებდა არსად შესვენებას“...

რამდენიმე წინადადებისგან შემდგარ თანწყობილ წინადადებათაგან ზოგჯერ **მარე** „მაგრამ“ კავშირი შუაში მოქცეულ წინადადებას აკავშირებს და აპირისპირებს პირველთან, ხოლო მისი მომდევნო წინადადება მაპირისპირებელკავშირიანი წინადადების სემანტიკის გაგრძელებაა:

მგრზას ღალ შიბ ათქეცა ი სახშური ქუთულწრქა ლახჭონენა, **მარე** ეჯღაი ყ'ახწინენა ი დჷტუ ჩ'ოთდაგრა (ლხმ.) „საწყალ მურზას ზონარი გასწყვეტია და შარვალი მუხლებზე შემოჰხვევია, მაგრამ მაინც მორევია და დევი მოუკლავს“

რთულ თანწყობილ წინადადებებს შორის დაპირისპირებულობას ხშირ შემთხვევაში აძლიერებს **მარა** „მაგრამ“ კავშირთან ერთად **ეში||ეში||ეჯღა||ეჯღა** „მაინც“ ნაწილაკი, რომელიც ხან უშუალოდ მოსდევს კავშირს, ხან სხვა წევრებით არის კავშირისაგან გათიშული, მაგ.:

შიყი ურწუნად ხტამშაედ მ'ი მიშგუტი ჭაშ, **მარე ეშ** დესამა გულტა (ლშხ.) „თავდაუზოგავად („ზურგის გაუმართავად“) ვმუშაობთ მე და ჩემი ქმარი, მაგრამ მაინც არაფერი გვაქვს“

პარატაქსულ წინადადებებში ხშირად გამოიყენება მაცალკეებელი კავშირები: ბზ. **დედ — დედ|ედ — ედ** „ან — ან“, ბქ. **ხედ — ხედ**, ლხმ. **ჰედ — ჰედ** „ან — ან“, ლშხ., ჩოლ. **იეს — იეს|იეს — იეს|იეს — ეს** „ხან — ხან“, ლშხ. **მაჲ — მაჲ**, ჩოლ. **მჲჲ — მჲჲ** „ხან — ხან“, ბზ. **მჲჲ — მჲჲ**, ბქ. **მჲ — მჲ** „ხან — ხან“ მათი გამეორების შემთხვევები ხშირია თანწობილი წინადადების ნაწილებში.

მოხსენებაში ვრცლად იქნება განხილული თითოეული კავშირის გამოყენების შემთხვევები.

## ვაჟა შენგელია

### **ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე. LXXI-LXXIV**

**LXXI.** კავკასიოლოგ-ენათმეცნიერთა საერთაშორისო ორგანო „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული“ დაარსდა აკად. არნ. ჩიქობავას ინიციატივითა და დიდი ძალისხმევით. პირველი ტომი 1974 წელს გამოვიდა, სულ კი 22 ტომი დაიბეჭდა. პირველი 14 ტომი არნ. ჩიქობავას რედაქტორობით გამოიცა. ბ-ნი არნოლდი არა მხოლოდ დიდი მეცნიერი იყო, არამედ საუკეთესო რედაქტორიც, მომთხოვნი და პრინციპული...

სარედაქციო მუშაობა ბ-ნი არნოლდის მიერ შემუშავებული წესით ხორციელდებოდა. შემოსული წერილები სპეციალურ ჟურნალში აღირიცხებოდა. წერილს პირველ რიგში ეცნობოდა სარედაქციო კოლეგიის ერთ-ერთი წევრი, კერძოდ, ის, რომლის სპეციალობასთან წერილის შინაარსი უფრო ახლოს იყო. კოლეგიის წევრს ევალეობდა წარმოედგინა დასკვნა წერილის გამოქვეყნების მიზანშეწონილობას-

თან დაკავშირებით და რედაქტირებაც მოეხდინა. წიგნის მთელ ტექსტს საბოლოო რედაქტირებას ბ-ნი არნოლდი უწევდა.

ნ. სტურუა ამზადებდა ინგლისურ რეზიუმეებს, რედაქტირება კი ა. ჭანტურიასი იყო. ხშირად ბ-ნ არნოლდსაც შეჰქონდა ცვლილება მომზადებულ ტექსტში...

არნ. ჩიქობავა იმ აზრისა იყო, რომ სარედაქციო კოლეგიის წევრებს მორიგეობით უნდა აეღოთ პასუხისმგებლობა ამა თუ იმ ტომის მომზადებაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ ხდებოდა. ვფიქრობ, ვერ ბედავდნენ ამ მძიმე ტვირთის ზიდვას ... ბ-ნი არნოლდი კი თითოეული ტომის მომზადებას დიდ სულიერ და ფიზიკურ ენერგიას ახმარდა...

ბ-ნი არნოლდი განსაკუთრებით ღიზიანდებოდა, როდესაც ბევრ კორექტურულ თუ სტილისტიკურ შეცდომას აღმოაჩენდა ავტორის მიერ წაკითხულ თუ უკვე რედაქტირებულ ტექსტში. სამწუხაროდ, ეს საკმაოდ ხშირად ხდებოდა...

რედაქციაში შემოსული არაერთი წერილი დაუბრუნდა ავტორებს (მათ შორის — ცნობილ მეცნიერებსაც). ამ მხრივ ბ-მა არნოლდმა კომპრომისი არ იცოდა...

ბ-ნი არნოლდი განსაკუთრებით აფასებდა სტამბის მუშების შრომას. იგი ყოველი ტომისათვის გამოყოფდა საკმაოდ სოლიდურ თანხას, რომელიც გადაეცემოდა საამწყობო და საბეჭდი საამქროების თანამშრომლებს (პირველად ეს „მისია“ ბ-ნ ო. კახაძესთან ერთად შევასრულე, შემდეგ არაერთხელ — დამოუკიდებლად...). ბ-ნ არნოლდის გარდაცვალების შემდეგ „წელიწდეულის“ აწყობა-ბეჭდვისათვის ანდერძით დატოვებული თანხა რამდენიმე წლის განმავლობაში ეძლეოდა სტამბის მუშებს...

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ გამოცემამ მაღალი შეფასება დაიმსახურა როგორც ქართველი, ისე უცხოელი მეცნიერებისა...

**LXXII.** აკად. თ. გამყრელიძემ არნ. ჩიქობავას ქართველი ენათმეცნიერების „შინაგანი ცენზორი“ უწოდა და დასძინა: „ყოველი ავ-



ტორი ცდილობდა თავისი ნაშრომისათვის **არნოლდ ჩიქობავას თვალთ** შეეხედაო“.

ბ-ნი არნოლდის თვალი ყოველთვის სამართლიანი იყო და შესაბამისად: ზოგ შემთხვევაში — მაქებარი (თუმცა ქებაში ძუნწი იყო), ზოგში კი — მკაცრი და კრიტიკული.

ბ-ნი არნოლდი ესწრებოდა ინსტიტუტში გამართულ ყველა საძვენიერო სესიას. მოხსენებებს ყურადღებით უსმენდა, შეკითხვებს აძლევდა მომხსენებლებს და თითოეული მოხსენების შესახებ თავის პირუთვნელ აზრს წარმოადგენდა, რომელიც მომხსენებლისათვის ხშირად არცთუ სასიამოვნო მოსასმენი იყო... მომხსენებელი კი, რაკი იცოდა, რომ არნ. ჩიქობავა მის მოხსენებას მოისმენდა, საგანგებოდ ემზადებოდა, რომ არ შერცხვენლიყო...

**LXXIII.** „ზედმეტობა“ არ უყვარდა. ცნობილია, რომ ზოგი ავტორი გამოკვლევასა თუ ზეპირ გამოსვლაში თემას გადაუხვევს ხოლმე და უადგილო წიაღსვლებით ტვირთავს თავის წერილსა თუ მოხსენებას. ასეთ შემთხვევასთან დაკავშირებით ბ-ნი არნოლდი შენიშნავდა: მკვლევარმა დასმულ საკითხს არ უნდა გადაუხვიოს და ყველაფერი, რაც იცის, მიანცადამინც ახლა კი არ უნდა თქვასო...ამასვე უკავშირდება მისი გამონათქვამი: ზოგიერთს გემოვნება ღალატობს — პატარა საკითხს იკვლევს, მაგრამ ვრცელ „გარნირს“ (საკაზმს) წარმოგვიდგენს, რაც მკითხველსა თუ მსმენელისათვის ძნელი ასატანიაო...

**LXXIV.** 1950 წლის თავისუფალმა საენათმეცნიერო დისკუსიამ, რომელშიც გადამწყვეტი როლი არნ. ჩიქობავამ შეასრულა, მაღალი შეფასება მიიღო როგორც ჩვენში, ისე — უცხოეთში (ვ. გეორგიევი, გ. მაიერი, რ. იაკობსონი...). არნ. ჩიქობავას სამეცნიერო მოღვაწეობასა და ჭეშმარიტებისათვის ბრძოლას მაღალი შეფასება მისცეს არა მხოლოდ მეცნიერებმა. რუსმა მწერალმა **გრ. სვირსკიმ** თავისი რომანი „გამარჯობა, უნივერსიტეტო!“; რომელიც 1952 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ოქტიაბრში“, მიუძღვნა მეცნიერის პრინციპულობასა და სიმართლისათვის ბრძოლას.

Глубокоуважаемому  
Арнольду Степановичу  
Чикобава

Когда я создавал През профессора Тордеева, перед моими глазами были Ваша почетная героическая борьба и Ваша победа над марксизмом

С искренним восхищением  
20/II-52г. Григорий Свисткин

„დიდად პატივცემულ **არნოლდ სტეფანეს ძე ჩიქობავას** როცა მე ვქმნიდი პროფესორ გორდევის სახეს, თვალწინ მედგა თქვენი ჭეშმარიტად გამირული ბრძოლა და გამარჯვება მარიზმზე. გულწრფელი პატივისცემით **გრიგორი სვიტსკი**

2.II.62“

ამრიგად, როგორც ირკვევა, მწერალს თავისი რომანის მთავარი პერსონაჟის — პროფესორ **სერგეი გორდევის** პროტოტიპად არნ. ჩიქობავა მიაჩნდა.

## იზა ჩანტლაძე

### საბრ<sup>ი</sup> („ალოე“/„უფოთლო, ანასხები წვრილი ტოტი“ თუ „მცენარის მწარე წვენი“?) ქართველურ ენებში

**საბრ** არაბული სიტყვაა და ძველ ქართულ (ორიგინალურ თუ ნათარგმნ) კარაბადინებში ხან „ალოეს“ აღნიშნავს, ხანაც მის „მწარე წვენს“, რომელსაც დღემდე სამკურნალოდ იყენებენ არამართო საქართველოში.

იგივე ლექსემა უნდა იყოს დადასტურებული თანამედროვე სვანურ ენაში — ესაა **საზბ** > **საზ** (ზს., ლნტ.), **საბრ** > **საბ** (ლშხ.), რომელიც „ახალგასხებილ წვრილ უფოთლო ტოტს“ გადმოსცემს (არც „ალოეს“ აქვს ფოთოლი!).

მეტად საინტერესოა არაბულ-თურქული **sabr** ფუძე (და მისი მკვეთრი ვარიანტი **საბრი** ლაზურში), რომელიც მასდარისეულ სემანტიკას შეესაბამება („მოთმენა, გაძლება, ატანა“). ამავე მნიშვნელობით ის დადასტურებულია ქართული ენის აჭარულ დიალექტშიც, სადაც, ვფიქრობთ, ამოსავალი უნდა იყოს „ალოეს მწარე წვენის“ **გაძლება** მკურნალობის პროცესში. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს აჭარაში, ქედის რაიონის სოფელ დანდალოში, აღმოჩენილი ქართული კარაბადინის ტექსტიდან (XVIII ს.), სადაც, მართალია, „ალოე“ არ გვხვდება მაგრამ გვაქვს ძველი ქართულიდანვე ცნობილი მრავალწლოვანი სამკურნალო მცენარე **აზუვა**, რომელიც საანალიზო ტერმინის სინონიმია და გამოიყენება იმავე დაავადებათა (სიყვითლე, ასთმა, კუჭ-ნაწლავისა და გინეკოლოგიური ანთებები, ტუბერკულოზი) სამკურნალოდ, რისთვისაც „ალოე“. ამ კარაბადინში „საბრიც“ აშკარად ბალახია (**ცოტა საბრი და-ნაყე** — სურმანიძე 1996: 48).

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ჯავახურ მეტყველებაში **საბრი** „ცხვირის დაცემინებაა“; მაშასადამე, ამ შემთხვევაში გარკვეული სემანტიკური გადაწყვეა მომდინარეობს არა „ბალახის“, არამედ მისი „წვენის“ მნიშვნელობიდან.

**საბრი** ანთროპონიმიცაა არამხოლოდ საქართველოში.

როგორც ვხედავთ, საკმაოდ რთულ ვითარებასთან გვაქვს საქმე და ამიტომაც ჭერჭერობით კატეგორიულ ტონს ვერიდებით (სემიტოლოგებთან კონსულტაციების გარეშე!).

ყველა ენაში ძალზე პრობლემატურია სემანტიკური რეკონსტრუქციები (ფონემატურ რეკონსტრუქციებზე რთულიც კია!), რადგანაც მოსალოდნელია მნიშვნელობათა შემთხვევითი იდენტობანი თუ შინაარსობრივი ნიუანსები.

## იზა ჩანტლაძე, რუსუდან იოსელიანი

### ერთი სურნელოვანი ბოსტნეულის სახელწოდებათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში

მცენარეთა სახელწოდებანი პარადოქსულ სურათს ქმნიან. ერთი მხრივ, ისინი არიან ბაზისური სემანტიკური პრიმიტივები (საწყისი ერთეულები), მეორე მხრივ, მათი რეფერენტების ბუნების გამო, იცვლებიან ეკოლოგიურ ვითარებასთან და ამა თუ იმ ენაზე მეტყველთა ერთობის ახალ რეგიონებში მიგრაციასთან დაკავშირებით. სწორედ ამ რიგის საკითხების კვლევისას წარმოჩინდება ის უაღრესად საინტერესო პრობლემატიკა, რომელიც ადამიანის აზროვნების უმნიშვნელოვანეს სფეროს უკავშირდება.

ამჯერად ჩვენ შევეხებით ერთი სურნელოვანი მცენარის სახელწოდებას ქართველურ ენებში და შევეცდებით ვაჩვენოთ მისი ნომინაციის განვითარების ისტორიული გზა.


არსენ ონიანის მიხედვით, **გიცრულ** (ლექს. „ძირა“) **ნოტი ლარქლისა ჳედნი ჟი. ნაყუნი ნასყუნდ იჳმარის ი ხოჩა ქუნს ი გემს ნაჳდი. ფაფაჲა ქონდარშალ ჳედნი ჟი ი გიცრული კაკლარ თხუმისა ხოჯდენი** [კვლიავი (ლექს. „ძირა“). ნესტიან სათიბებში ამოდის (< ძვ. ქ. „მო-ჯღ-ებ-ი“-ს). შეჭამადის გასაკეთებლად იყენებენ („ი-ჳმარ-ენ“) და კარგ სუნს და გემოს აძლევს. ხშირფოთლიანი („ფაშფაშა“) ქონდარით იზრდება და კვლიავის თესლს (< „კაკ-ლ-ებ-ი“) თავზე იკეთებს („ამოჟვა“)].

ივ. ნიჟარაძისთვის **Тминъ** არის „ერთგვარი ბოსტნეული“ — **ლერტამ ეშვ ნაირ** (1910: 460), თუმცა „კვლიავის“ შესაბამისი სვანური ტერმინი მის ლექსიკონში არ გვხვდება.

აღ. მაყაშვილისა და ვ. თოფურია — მ. ქალდანისთვის **გიც<sup>ვ</sup>რულ** „კვლიავია“, ხოლო, ასლ. ლიბარტელიანის მიხედვით, **გიცვრილ** (ჩოლ.) სხვა საკმაზი ბალახია და კვილიავი — სხვა (გვ. 85, 126): „**კვილიავ** — ბალახოვანი მცენარეა, რომლის ბრტყელი მოშავო თესლები მწარეა, სუნი სასიამოვნო აქვს. დანაყილი თესლები იხმარება ოთხფეხის მუცლის ტკივილის წამლად, ხოლო **გიცრელი** (კორექტურული შეცდომაა?), რომელსაც შეცდომით ა. მაყაშვილი კვილიავის სახელით ნათლავს, არის სურნელოვანი და გემრიელი საკმაზთა შორის, მას ვერაფერი შეედრება“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, კვლიავი (*Carum carvi*) **ორწლოვანი სურნელოვანი მცენარეა** ქოლგოსანთა

ოჯახისა; მისი ნაყოფი მდიდარია ეთეროვანი ზეთებით; იყენებენ კვების მრეწველობასა და მედიცინაში“; ხოლო „**ზირა/ზირაკი/ძირა (Cuminum cyminum) ერთწლოვანი მცენარეა, სურნელოვანნაყოფიანი, რომელსაც ხმარობენ საჭმლის საკვამად**“.

აღ. მაყაშვილს **ძირა** ცალკე სიტყვა-სტატიად არც კი აქვს წარმოდგენილი; მის ნაშრომში აჭარული დიალექტის მასალა — **ძირა** გვხვდება მხოლოდ „თალგამურას“ მნიშვნელობით (გვ. 30); 39-ე გვერდზე **ზირა** „კვლიავის“ (Carum carvi) ქართულურ-რაჭული ვარიანტია, ხოლო 67-ე გვერდზე იგივე ნომინაცია „ტყიურას“ (Laser tribobum-Siler tibobum) კახურ-ფშაური სახელწოდებაა (შდრ. **ზირაკი** — კვლიაკი/ძირაკი — ზირა  — საბა 1949: 224, 848). „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ე. წ. **ნამდვილი ზირა/ზირაკი** (Cuminum cyminum — გვ. 53, 231) გვხვდება.

**ძირა** მეგრულშიც „თალგამურაა“ (ქაჯაია 2009: 565), ხოლო ლაზურში არც **ძირა** გვაქვს და არც მისი სპირანტიზებული(?) ვარიანტი (**ზირა**), მაგრამ გვხვდება **ზირაეთი** (< თურქ. ziraat „მიწათმოქმედება, სოფლის მეურნეობა“), რომელსაც, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ქართული **ზირა**. მეგრულში **ძერო**“-ც დასტურდება „კამის“ (აგრეთვე, „ძერას“) მნიშვნელობით (შდრ. **ძერა** — ანისული, ჩუბინაშვილი 1984: 1615, ე. ი. „ცერეცო“), რომელიც მეტად ახლოსაა „კვლიავის“ სემანტიკასთან (ქოლგისებური ყვავილის მქონე სურნელოვანი სანელებელია).

ასე რომ, საკმაოდ რთულია სახარებებიდან და ძველი კარადაბინებიდანვე ცნობილი ბალახის წარმომავლობის გარკვევა ქართველურ ენებში, სადაც მას ფონემათშესატყვისობები არ მოეპოვება. დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონისეული (1984: 524) და თანამედროვე „ძირა“ სპარსულია და **zīre** („ძირა, კვლიავი“; შდრ. **zīr** „ძირი“) დან უნდა იყოს ნასესხები (ივანიშვილი 2014: 117-118), ქართულიდან კი, როგორც ჩანს, მეგრულშიც შევიდა. რაც შეეხება სვანურს, აქ სრულიად სხვა მონაცემი გვაქვს ფონეტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით — ესაა **გიცჷრილ** (ბზ., ლნტ.)/**გიცრულ** (ბქ., ლშხ.), რომელიც აიხსნება საკუთრივ სვანურ ნიადაგზე (შდრ. **გიცვ/არ** — ვერძი, ერთი მხრივ, და მოხ. **ცხვარსახოცელა** — „ქონდარა ნუში“, მესხ.-ჯავ. **ცხვრის თუთა** — „ცხვრის სამყურა“, **ვაცები** — „ცხვარა“, იმ. **ცხვრისკუნელა** — „წითელი კუნელი“, **ცხვრის წივანა** (Festuca ovina) და, რაც მთავარია, **ცხვრის კვლიავი** (Chamaescidium acaule), მეორე მხრივ.

## მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა

### ქართული უხ- ძირის ეტიმოლოგიისათვის

თუ მივყვებით ფორმალურ ანალიზს ქართულში, გამოდის, რომ სულ მცირე სამ შედგენილ სიტყვაში უხ- სახელურ ძირად გამოიყოფა. ესენია: უხ-იერ-ი „ულრანი“, უხ-ურ-ვაზ-ი „ველური ვაზი“ და უხ-ურ-მაგ-ი „ცხოველი, რომლის ხორციც არ იჭმევა (ვირი, ჯორი, ცხენი...)“. ცხადია, უხ-იერ-ი შეიცავს -იერ ქონების სუფიქსს, ხოლო უხ-ურ-ვაზ-სა და უხ-ურ-მაგ-ში -ურ წარმომავლობის აფიქსად უნდა დავსახოთ. მაშინ გამოდის, რომ უხ-ურ-ვაზ-ი და უხ-ურ-მაგ-ი ერთნაირად დანაწევრდება; მაგრამ, თუ ადვილი მისახვედრია უხ-ურ-ვაზ-ში ვ ა ზ ი ს სემანტიკა, რაღა არის მაგ-ი სემანტი უხ-ურ-მაგ-ში? — აქ მხოლოდ სვანური მონაცემის დახმარებით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ ოდესღაც ქართულშიც არსებობდა მაგ- ძირი, რომელიც აღნიშნავდა მსხვილფეხა გარეულ ცხოველს, ვინაიდან სვანურში (ზემოსვანურში) მანგ (← \*მაგ) დღესაც მსხვილფეხა საქონელს აღნიშნავს, ხოლო ქვემოსვანური (ლენტეხური) მანგ-არ — pluralia tantum-ს ასახავს.

სავარაუდოა, რომ გამოყოფილი უხ- ძირი პროტოქართულში ხშირტყიან ადგილს (ტყის ნაირსახეობას) გამოხატავდა და განსაკუთრებული მნიშვნელობისა იყო, როგორც ულრანი, მეტად ველური ადგილის სემანტიკის მქონე ფუძე. და რომ უხ- ძირი უძველესია, კარგად გამოჩნდება მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩვენების საფუძველზე. კერძოდ, მასთან მნიშვნელობის მხრივ ახლომდგომი ჩანს გენეტიკურად საერთო ჩეჩნურ-იჩქერიული ჭნარშ, ინგუშ. ჭარშ „ტევრი, ულრანი ტყე, ტევრიანი ადგილი“ (= რუს. მრ. რ. дёрни). ამ უკანასკნელის შესატყვისად კი ხ ი ს აღმნიშვნელი დადესტნური ძირები მიგვაჩნია: რუთ. უხ, წახ. ოხ, უდ. უშ „შეშა“, რომელთაც მასალობრივად და მნიშვნელობითაც ქართ. უხ- ასევე ენათესავება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელი ჩანს საერთოქართველური ლექსიკური ფონდის გამდიდრება ორი არქტიპით: 1. ს.-ქართვ. \*უხ- „ტყე, ტევრი, ველური, ტყიანი ადგილი“, 2. ს.-ქართვ. \*მაგ-ი „მსხვილფეხა ცხოველი“.

**ე. წ. ხოლმეობითებისა და მწკრივთა რაოდენობის შესახებ ზმნურ ფორმათა პარადიგმული სისტემის მთის დიალექტთა ვარიანტებში**

1. წინასწარ შევნიშნავთ, რომ ჩვენ ე. წ. მყოფადის წრის მწკრივებს არ განვიხილავთ საუღლებელ ერთეულებად. ისინი ე. წ. აწმყოს წრის მწკრივებისაგან მხოლოდ ზმნისწინებით განსხვავდებიან, რომლებიც ზოგ შემთხვევაში სადერივაციო ელემენტებია და ახალ სიტყვებს წარმოქმნიან, ზოგ შემთხვევაში კი სრულასპექტიან ფორმებს აწარმოებენ, რომელთა ადგილიც სხვა მიმართებათა სისტემაშია და არა მწკრივთა სისტემაში.

2. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში — ფშაურში, თუშურსა და ხევსურულში დასტურდება ზმნის სპეციფიკური ფორმები, რომელთა ძირითად ფუნქციას მოქმედების მრავალგზისობის გამოხატვა წარმოადგენს. ეს ფორმები არ ახასიათებს სალიტერატურო ქართულსა და ბარის დიალექტებს. ისინი დამოუკიდებელი მწკრივების ადგილს იკავებენ ზმნის დროკილოური სისტემის მთის დიალექტთა ვარიანტებში, და ფორმდებიან ფშაურში **-ოდი** და **-ოდე**, ხოლო თუშურსა და ხევსურულში **-იდი** სუფიქსებით.

3. ფშაურში პირველი სერიის მწკრივებში გვექნება ოთხი ერთეული: 1. აწმყო, 2. უწყვეტელი, 3. პირველი (უწყვეტლის) ხოლმეობითი და 4. პირველი კავშირებითი; მეორე სერიის მწკრივებიც აგრეთვე ოთხი იქნება: 1. წყვეტილი, 2. მეორე ხოლმეობითი, 3. თხოვნითი ბრძანებითი და 4. მეორე კავშირებითი; მესამე სერიაში სამი მწკრივი იქნება: 1. პირველი თურმეობითი, 2. მეორე თურმეობითი და 3. მესამე კავშირებითი.

4. ხევსურულსა და თუშურში მწკრივთა რაოდენობა ერთნაირია. აქ ფშაურთან შედარებით არა გვაქვს ე. წ. თხოვნითი ბრძანებითი, რაც ამ უკანასკნელებში **-ღ** ნაწილაკის დართვით გამოიხატება.

**ი-ჭედ-ფრ-იელ... ტიპის ზმნათა სტრუქტურა და  
მოძრაო-სემანტიკური ანალიზი სვანურში**

მოძრაობის მანერის გამომხატველ ზმნებში სუბიექტის ვერტიკალურ მდგომარეობაში გადაადგილების ერთ-ერთ ძირითად მოდელად მიჩნეულია სიარული, რომელიც თავის მხრივ, განარჩევს მანერულობის მთელ რიგ მომენტებს: გადაადგილების ტემპს, ენერგიულობის ხარისხს, ნაბიჯების სიდიდეს, უმიზნო მოძრაობას და ა. შ.

ე. წ. უმიზნო მოძრაობის ზმნები (დახეტილობს, დაბორიალობს...) საკმაო რაოდენობითაა ქართულ ენასა და დიალექტებში. ისინი გამოხატავენ უსაქმო, უთავბოლო, ზანტ მოძრაობას, ბორიალს (რ. ქურდაძე, ნ. ლოლაძე...). მათ ძირითადად ეწარმოებათ მხოლოდ აწმყოს ჯგუფი და გარდაუვალ-დინამიკურებად არიან კვალიფიცირებული (ქეგლ). მეტწილად დაერთვით პოლიფუნქციური და- ზმნისწინი, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობა მოქმედების ჩვეულებრივობის, სიხშირის აღნიშვნაა.

ინტენსიური მოქმედების გამომხატველად მიიჩნევა ამ ტიპის ზმნებს დ. მელიქიშვილი და ამავე დროს ხაზს უსვამს, რომ სწორედ და- ზმნისწინი გამოხატავს ინტენსივობას.

გარდა და- ზმნისწინიანი ფორმებისა, ქართულის დიალექტებში დადასტურებულია უპრევერბო, -ობ/-ოფ სუფიქსიანი ზმნები (იმერ. ბურკალოფს — უთავბოლოდ დადის, ღოღიალობს — ძლივ-ძლივობით დადის და... ა. შ.).

სვანურში გამოიყოფა უმიზნო მოძრაობის აღმნიშვნელ ზმნათა სემანტიკურ-სტილისტიკური ჯგუფი. ამ ჯგუფში შემაგალი ზმნები სტრუქტურულად თითქმის იდენტური არიან და ძირითად მნიშვნელობასთან ერთად მანერულობის სხვადასხვა დეტალზე მიუთითებენ. მაგ.: მოძრავი სუბიექტის ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, გარეგნული მხარე, ჩაცმულობა და სხვ.

აღნიშნულ ზმნათა ძირითადი სტრუქტურული მოდელი სვანურში შემდეგი სახით წარმოვიდგება:



**o- პრეფ. + ძირი + (მრავალგზ. -ურ/-ულ) + წლ.../იელ**

ასეთი სტრუქტურის ზმნები სვანურში მედიოაქტიურ ზმნებად არის მიჩნეული (ლ. ნოზაძე, კლ. გაგუა, მ. სუხიშვილი...)

ამ ყალიბში **o-** პრეფიქსი უკუქცევითობას უნდა აღნიშნავდეს. ზოგადად, მედიოაქტიურ ზმნებს ატელიკურ, უმიზნო ზმნებს უწოდებენ (ი. მელიქიშვილი); ზმნის ძირი (ანუ სემანტიკური ბირთვი) მოძრაობის მნიშვნელობის დამატებით ელფერს განსაზღვრავს; მოქმედების მრავალგზისობაზე, ჩვეულებრივობასა თუ განმეორებადობაზე მიუთითებენ **-ურ/-ულ** (მეტწილად ფუძედრეკადებთან) და **-წლ... /-იელ...** სუფიქსები. ეს უკანასკნელი ზმნური ფუძის მაწარმოებლადაც ითვლება და აგრეთვე, სტატიკურობის გარკვეული ხარისხის მატარებლადაც (კლ. გაგუა).

სტატიკური ელფერით განსხვავებული და სემანტიკურად ახლოს მდგომი უმიზნო მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები საკმაოდ სტაბილურ სისტემას ქმნიან სვანურში. დამატებითი მნიშვნელობის მიხედვით ამ სისტემაში რამდენიმე ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1. შედარებით ნეიტრალური მნიშვნელობა (იგულისხმება მთქმელის პოზიცია) მაგ. **o-ზელ-წლ** „დადის, დაიარება“; **o-თჟედ-იელ** „აქეთ-იქით დაიარება“; **o-კედ-ურ-იელ** „წმირ-წმირად მიდი-მოდის“

2. მოსაუბრის მიერ სიბრალულის გამოხატვა (**o-ქედ-ან-წლ** „კედელ-კედელ ძლივს დადის“).

3. მთქმელის უარყოფითი დამოკიდებულება **ა.** გარეგნობა (**o-კორ-წლ** „მაღალი კაცი დაიარება“); **ბ.** ჩაცმულობაზე მითითება (**o-ფრინქ-იელ** „გაღვლილი ტანსაცმლით დადის“; **o-შეიმბ-ოლ-წლ** „უქუდოდ დაიარება“); **გ.** ირონიული განწყობა (**o-ჟიზ-ან-წლ** „გამოწეპილი დაიარება“).

4. მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება (**o-თგრ-ან-ელ** „დაეთრევა“) და **ა.** შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დამატებითი მნიშვნელობის ასეთი მრავალფეროვნება ნიშანდობლივია ქართული ენის დიალექტებისათვის. ივ. ქავთარაძის მიერ „იმერული კილოს ლექსიკონისათვის“ მოპოვებულ მასალაში ვკითხულობთ:

ძუნკვა (იძუნკვება) — ურცხვად კარდაკარ სიარული სიცივისგან აკანკალებული და დაპატარავებული აღამიანისა.

ყლუნცური (ყლუნცურობს) — მაღალი და სუსტი ადამიანის სიარული და ა. შ.

გარდა **ი-** პრეფიქსიანი ზმნებისა, სვანურში გვაქვს ოდენსუფიქსიანი ფორმებიც, რომლებიც უმიზნო მოძრაობას გამოხატავენ (**ბგრ-ეგ-ი** „დაბორიალობს“; **ჟურჟურტ-ე** „უსაქმოდ დაიარება“; **ჟათხ-უნ-ე** „ცუდად ჩაცმული კაცი დაიარება“; **ბგნდლ-ეგ-ი** „მოსუღელო ადამიანი უაზროდ დაიარება“; **ბროგ-ავ-ი** „გაუჩერებლად დაიარება“). ამ ზმნებსაც საერთო აქვთ ძირითადი მნიშვნელობა (მოძრაობა-გადაადგილება), თუმცა დამატებით მოძრავი სუბიექტის დახასიათება და მთქმელის ემოცია ჩანს.

## ნ ი ნ ე ლ ი    ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

### **ურმისა და მარხილის ნაწილების ზოგი ტერმინის წარმომავლობისათვის** (ლექი, დათვა, თუმი, ლაფანი, ღო, დგალა)

საგნებისა თუ მოვლენების სახელდება ერთ-ერთი საინტერესო საკითხია ტერმინოლოგიაში. თავდაპირველად მოტივირებული ტერმინის მნიშვნელობა გასაგებია, მაგრამ მოტივაციასა და მნიშვნელობას შორის კორელაცია დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს და მიმართებაც ასიმეტრიული გახდეს. ამგვარი ფაქტების ასახსნელად ენობრივ მოვლენათა მხოლოდ სინქრონიული შესწავლა საკმარისი არაა. ტერმინთა დღევანდელი მნიშვნელობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის დადგენა დიაქრონიულ კვლევას მოითხოვს (რ. ლამბაშიძე).

ამგვარად წარმოვადგენთ დიალექტებში დადასტურებულ იმ სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტის ზოგი ტერმინის წარმომავლობას, რომელთა მოტივაცია ხეების სახელებია.

სასოფლო-სამეურნეო ტრანსპორტის გასაკეთებლად ძირითადად სხვადასხვა დასახელების, ჩვენს ტყეებში გავრცელებული ხის მასალა გამოიყენებოდა: თელა, ცაცხვი, ლეკის ხე, ურთხმელი, ლაფანი, უზანი და სხვ.

მაგ. შეაბა თედომ გუთანი \ გათლილი თელის ხისაო, გოგორებს იფნის ხუნდი აქვს \ და ღერძი წიფლნარისაო, \ ფრთების ფიცარი — მუხისა, \ მანჭვები — ურთხმელისაო, \ შიგ სახელური უყრია ისიც გათლილი ხისაო (ქართლ., შინამრეწვ.).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ხეთა სახელები დიალექტებში განსხვავებულია და, შესაბამისად, ერთი და იმავე ტრანსპორტის თუ მისი ნაწილის სახელი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

**I. დათვა** 1. (ქიზ. იმერ. ლეჩხ.) ურმის ხელნას ის ნაწილი, სადაც ღერძია ჩამჯდარი და ბრუნავს. მას ძალა ადგას, ამიტომ ხელნას ეს ნაწილი სქლად დატოვებულია გათლაშივე, ან მერმე აქვს მას ამოდებული ხის ნაჭერი, — საბრუნე, საცური, საცვეთი. ხელნა დაეგება **დათვაზე**, **დათვა** კი ადგას ღერძზე. ხელნას ამოსაკრავს **დათვას** ვეძახით („შინამრეწვ.“). იმერეთში ხრახნიან წნესს ჭახრაკის საქაჩავი, ხოლო ოწინარიანს **დათვას** საქაჩავი ჰქვია (ა. ლეკ.).

2. (გურ.) ერთგვარი ხის საკეტი — ქეგლ. **დათუები** ურმის დათვები, საბრუნავები (მოხ. ქავთ.).

შენიშნულია, რომ **დათვა** დათვიხალისაგან, ან მსხლისაგან (ჭკუტა) კეთდება, არა უშვავს ვაშლსაც (პანტა) (რაჭ. ფრუიძე). მაშასადამე, **დათვისმსხლა** \ **დათვისხლა** (რაჭ. იმ.) > **დათვა**, **დათუები**.

**II. თუში** 1. (იმერ.) „ჭურის გადასატანი ძალიან დაბალი ურემი (ჭალები არა აქვს. ბორბლების მაგიერ მსხვილი მრგვალი მორები აქვს“ (ბ. წერეთ.). 2. (მთიულ.) ორტოტი კეტი, რომლითაც [გა]მოაცურებენ თივას მარხილზე დასადებად („დიალ.“). 3. (კახ.) სამკაპიანი ჯოხი, რომელზედაც (მწყემსები) ქვავს ჩამოჰკიდებენ საჭმლის მოსახარშავად („დიალ.“) — ქეგლ. **თუში** ნაძვის ან სოჭის ხშირი და სიბრტყივ გართხმული ტოტები, რაზედაც ჯარჯვებად დააწყობენ მოჭრილ ხეებს (შეშა, სარი და მისთ.) და თავქვე დააცურებენ ხოლმე მოყინულ თოვლზე ან ტყიანი მთის თხრილზე (აჭ. ნიჟ.).

**თურში** 1. ქვის საზიდი მარხილი (საბა). შდრ. თუში<sup>2</sup>. 3. ტექ. კბილანებიანი თვლების სისტემა, რომელიც გამოყენებულია სიმძიმეების ასაწევად — ქეგლ.

ამოსავალი უნდა იყოს ხის სახელწოდება **თურსა** (თუშ.) უზანი, მცენარეა (მაყ.). **თურსაცი** \ **თუსა** (*Viburnum Iantana*) უზანი, ისხამს შავ ნაყოფს მტევნებად, მარცვლი კურკიანი აქვს, იყენებენ ტაბიკე-

ბის, მათრახის ტარებისა და საბრჯენი ჯოხებისათვის. „თურსაყის ჯოხილ მიცილიდი, კახეთ წავილოთ, გამოგვადგებ (თუმ. ხუბ.). ე. ი. **თურსა (ხე) > თურშა > თურში || თუში.**

**III. ლაფანი** ხელნებში გაყრილი ოთხკუთხი ლარტყა ურმის შე-საკრავად — დანდალი, ლამფა. აქა **ლაფანაც** იხმარება და დანდა-ლიც (ზ.-იმ. ძოწ.). სახელწოდება უნდა უკავშირდებოდეს ხის სა-ხელს **ლაფან-ი** [Pterocarya fraxinifolia].

**IV. ღო** (მთიულ.) მარხილის მიწაზე მოსრიალე ნაწილი, — ფეხი — ქეგლ. **ღო** მთ., მოხ. კინნ. **ღუა** (<ღოა); ფშ. **ღოლი** გუდ. მარჯილის ორი ლატანი გვერდებზე (შანიძე). ვფიქრობთ, რომ **ღო** წარმომავ-ლობით იგივე **ღვია**, **ღუ** (რაჭ. კობახიძე) „დაბალი ტანის მარადმწვან-ნე ხე ან ბუჩქი“ უნდა იყოს.

**V. ლეკმარხილაი** პატარა მარხილი, ჩვეულებრივ, შეშის მო-სატანი — საბა, ქეგლ. **ლეკია** (იმ.) — ქეგლ.

**ლეკაჲ** კარების ზემოთ დატანებული გასწვრივი ხე (თუმ. ხუბ.).

ინფორმატორები აღნიშნავენ, რომ „სელს **ლეკი** ხიდან ვაკე-თებთ, თელიდანაც“ (აჭ. შინამრეწვ.). „**ლეკმარხილს** ვაკეთებთ ნა-ძვისხისაგან“ (ქვ.-იმ. მრეწ.). **ლეკმარხილაი** მარხილი, თოვლზე დასა-ცურებელი, ლეკის ხისაგან გამოთლილი (ზ.-აჭ. ნიჟარ.). **ლეკ-მარჯილები** წყვილი ციგურა (მოხ. ქავთ.).

ნათელია, რომ სახელწოდება მომდინარეობს ხის აღმნიშვნელი სახელწოდებიდან **ლეკის ხე** (Acer platanoides).

**VI. დგალა ჯ. : თავ-დგალა** მარხილის წინა ლვილი. **ბოლო-დგა-ლა** უკანა ლვილი, კედი თ. (წინა იყოს, გინდა უკანა) (შანიძე).

ჩვენი აზრით, სახელწოდება მომდინარეობს მცენარის სახელი-დან **მდგნალი** || **დგნალი** დაბალი ტანის ხე ან ბუჩქი (ტირიფების გვარისა) — ქეგლ. **დგნალი** (Salix caprea) ფოხვი (თუმ. ხუბ.). ე. ი. **დგნალი** (ნ-ს დაკარგვით) > **დგალა**.

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ **დგნალი** მასა-ლად დასტურდება სხვა შემთხვევებშიც: მაგ. სამხიროავი უნდა იყოს გაღვერილი ხისა, ე. ი. გაქერქილი თხილისა, დგნალისა და სხვ. (ერ-წო-თიან. შინამრეწვ.).

## ნ ი ნ ო    ჭ უ მ ბ უ რ ი ძ ე

### ა მავრცობი ხმოვანი თანამედროვე ქართულში

როგორც ცნობილია, სალიტერატურო ქართულში სახელებთან (თანხმოვანზე დაბოლოებული ბრუნვის ნიშნების შემდეგ), ასევე ზოგ ნაცვალსახელთან, ზმნისართსა და ნაწილაკთან გარკვეულ პოზიციებში გამოვლინდება ხმოვანი **ა**, რომელსაც მავრცობს, ემფატიკურ ნიშანს ან მარცვალთლიაობის **ა**-ს უწოდებენ. იგი წინამავალი ფორმანტისაგან განუყოფელი ელემენტია და, მკვლევართა აზრით, მისი ფუნქციაა წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრა, თანხმოვანთდაჯგუფების გაყრა, მარცვალთლიაობის შექმნა.

**ა**-ს გამოყენების წესი ძველ ქართულში სისტემური და კანონზომიერი იყო. იგი დაერთვოდა საზოგადო სახელებს მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს სახელები იყო კომპოზიტის პირველი წევრი, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, თანდებულიანი სახელი (მოქმ. ბრ.), ან ზმნისართად იყო გამოყენებული წინადადებაში (ქ. ძოწინიძე, თ. ზურაბიშვილი).

ახალ სალიტერატურო ქართულში **-ა** მავრცობი ძველი ქართულისაგან განსხვავებულ შემთხვევებში გამოვლინდა და მისი გამოყენება უფრო გაზშირდა. **-ა** მავრცობის გამოყენება ზოგ შემთხვევაში აუცილებელია, ზოგჯერ კი გამართლებულია სტილისტიკური საჭიროებით, თუმცა აუცილებელი არ არის. ეს შემთხვევები წარმოდგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა, ვფიქრობთ, შესაძლებელია ზოგი რამ დაზუსტდეს.

აუცილებელია **-ა**-ს დართვა შემდეგ შემთხვევებში:

ა) როცა მიცემითი ბრუნვის ფორმას **-ვით** თანდებული ერთვის (**ძმასავით, ხესავით...**).

ბ) როცა ბრუნვისნიშნის ფორმას ან ფორმაუცვლელ სიტყვას **-ც** ნაწილაკი მოსდევს (**დედამაც, წყაროსაც, წიგნითაც, იმანაც, კიდევაც...**);

გ) ნანათესაობითარი მიცემითის შემთხვევაში (**მეზობლისას, მეგობრისას...**);

დ) როცა ნათესაობითი ბრუნვის ფორმა პოსტპოზიციური მსაზღვრელია (სახლი **ხისა**, წიგნი **მეგობრისა**...);

ე) როცა თანაინი მრავლობითის ფორმა მსაზღვრელად არის გამოყენებული მყარ შესიტყვებებში (**მოსწავლეთა** სასახლე, **მწერალთა** სახლი...);

ვ) როცა **და** ან **თუ** კავშირით შეერთებულია ორი სახელი (ან ნაცვალსახელი), პირველი მიცემითი ბრუნვის ფორმით არის წარმოდგენილი, მეორეს კი დაერთვის **-ში** ან **-ზე** თანდებული: მთასა და ბარში, ქალაქსა თუ სოფელში, ჩემსა და შენზე...

ზ) როცა არსებითი სახელის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმას, თანხმოდანზე დაბოლოებულ ნაცვალსახელს ან ზმნიზედას შეკვეცილი **არის** ზმნა (**ა**) მოსდევს (გოგონა ათი **წლისაა**; წიგნი ჩემი **მეგობრისაა**; ჭიქა **წყლითაა** სავსე; დედა უკვე **კარგადაა**; **როგორაა?** **ხვალაა**; **ამიტომაა**...).

-ა მავრცობის დართვა (ფუძისეული ან ბრუნვისნიშნისეული ა-ს აღდგენა) არ არის აუცილებელი, მაგრამ ხშირია:

ა) როცა ბრუნვისნიშნიან ფორმას თანდებული მოსდევს (**სახლისაკენ**, **სიცივისაგან**, **ბავშვებისათვის**...);

ბ) როცა ბრუნვისნიშნიან სახელს მოსდევს **და** ან **თუ** კავშირი და იმავე ბრუნვის ფორმით წარმოდგენილი მეორე სახელი (**მთასა** და **ბარს**, **ქალისა** და **კაცის**, **სულითა** და **გულით**...);

გ) თ-სუფიქსიანი მრავლობითის წარმოებისას (როცა არა გვაქვს მყარი შესიტყვება: **გამარჯვებულთა** შორის, **ფრინველთა** გადაფრენა);

დ) სახელის მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმასთან **აქვს** ზმნის წინ (ასევე ზოგი სხვა ერთმარცვლიანი ზმნის წინ) (**დედასა** აქვს შენახული; **ფეხითა** აქვს შემოვლილი; **ჩვეულებადა** მაქვს ქცეული; **მეგობარსა** სწერს...).

ე) ნაცვალსახელთან, ნაწილაკთან ან ზმნისართთან ერთმარცვლიანი ან მრავალმარცვლიანი, მაგრამ უზმნისწინო და უხმოდანპრეფიქსო ზმნების წინ (**შენა** ხარ? **როგორა** ხარ? **კარგადა** აქვს; **თანა** მაქვს; **არა** მგონია; **ვერა** ვხედავ...);

დასახელებული შემთხვევების გარდა **შესაძლოა** -ა მავრცობის გამოყენების სხვა შემთხვევებიც დასახელდეს, მაგრამ ისინი უფრო დიალექტებისათვის არის დამახასიათებელი, სალიტერატურო ქართულში კი იშვიათად გვხვდება.

**ყურ- (ყურება) ძირთან დაკავშირებული  
ხატოვანი სიტყვა-თქმანი**

**ყურება** „სახელი უყურებს, იყურება ზმნათა მოქმედებისა, — რისამე თვალთ დანახვა, შეხედვა, ცქერა...“ (ქეგლ VII, 1962).

**ყურ- (უ-ყურ-ებ-ს)** „ქართულში ამჟამად თვალის ფუნქციაზე მიუთითებს და არა ყურისაზე: გარე სამყაროს მოვლენებში გარკვევისათვის ყურის საქმიანობაც მნიშვნელოვანია და თვალისაც, და ერთი მეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული. ერთის მეორით შეცვლა ორდინარული სემასიოლოგიური პროცესია“, — აღნიშნავდა არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა IV, 2008: 349).

ვცადეთ, ამჯერად, **ყურ-** (ყურება) „ცქერა, ხედვა“ ძირთან დაკავშირებულ ხატოვან სიტყვა-თქმათა სემანტიკური გადააზრების წარმოდგენა. **ყურება** შეიძლება იყოს:

1. მიხედვა, ზრუნვა, პატრონობა, ყურადღება: ძნელია, როცა ორივეს (სულს და გონებას) პატრონი არა ჰყურებსა (ვაჟა ფშაველა, „სადიდმარხვოდ“);

2. თვალ-ყურის დევნება: 1. **მწყსა**. „ამ სიტყვის ეტიმოლოგია „ყურება, შეხედვა“: **მწყემსი** — „მაცურებელი“, ვინც რასმე უყურებს“... (არნ. ჩიქობავა). **მაცურებელი** შეიძლება ასევე იყოს „მოყურადე, ჯამუში“; „მოსეირე“ — **ღ სეირის მაცურებელი** .

3. ფხიზლად ყოფნა: **„მკურცხე** „ფხიზელს“ აღნიშნავს... აქედან: მეგრ. კურცხე რე(ნ) — ფხიზელია, ფხიზლობს, არა ძინავს... გოკურცხუ — გაიდვიძა (ე. ი. „გაფხიზლდა“), გააკურცხინუ — გააღვიძა („გამოაფხიზლა“). ძირეული **კურ-** II **კურ-** აქ „თვალზე“ უნდა მიუთითებდეს (იხ. ნ. მარი)“ (ჩიქობავა IV, 2008: 295-296).

4. გარეგნულად რაიმენაირი შთაბეჭდილების დატოვება: **გამოი-ყურება** ჩანს, (ესა თუ ის) შესახედაობა აქვს, გარეგნულად რაიმენაირ შთაბეჭდილებას ტოვებს.

5. მოწონება, სიყვარული: **ღ ნეტა თვალი მომცა და მაცურებინა** იტყვიან მომხიბლავ ვინმეზე ან რამეზე, — იგივეა, რაც ცქერით ვერ გაძღები... დიალექტური მასალის განხილვისას ქეთევან ლომთათიძე

შენიშნავს: „როდესაც ცხვარი აიძულებს („შეიძულებს“) თავის ბატკანს და დაეკარგება მშობლიური გრძობა, იმას ამწყვედვენ თავისი ბატკნით წნელით ამოწნულს, გოდრის მსგავსად გაკეთებულს, წნულში, რომელსაც ფშაურად **ქორაკანა** ჰქვია, ხოლო კახურად — **საყვარებელი**“. აქ სწორედ „**საყურებელი**“ გარემოს შექმნა საფუძველი „**საყვარებელი**“ გარემოსათვისო“, — შენიშნავს ქალბატონი ქეთევანი. „განხილული ფაქტების საფუძველზე არის შესაძლებლობა **უყვარს** ზმნის კავშირი ვეძიოთ **უყურებს** ზმნასთან“, — დასძენს იგი (ლომთათიძე 1990: 53). [შდრ.: ◊ **როგორც თვალი შორს, ისე გული შორსო** იტყვიან, როცა შორს ყოფნის გამო ახლობელს დაივიწყებენ].

ფიგურალურ გამოთქმებში **ყურება** ზმნამ გადატანით შემდეგი მნიშვნელობები შეიძინა:

◊ **კარგი თვალით უყურებს** კარგად ეპყრობა, ენდობა, სწყალობს.

◊ **თვალეში შეჭყურებს** გადატ. პატივისცემით, მოწიწებით ექცევა; მზრუნველობს. ◊ **თვალ-წარბში ყურება** ცდა სხვისი რისხვის დაუმსახურებლობისა, სურვილი სხვისი გულის მოგებისა (თ. საზოკია).

◊ **იმედით, იმედის თვალით შეჭყურებს** იმედი აქვს (ვინმესი ან რაიმესი).

საპირისპიროდ: ◊ **ალმაცერად უყურებს** გადატ. განზე, ეჭვით, უნდობლად ეკიდება; ◊ **აგდებით უყურებს** დაუდევრად, უპატივცემულად ექცევა; ◊ **განზე უყურებს** ირიბად, აგდებით ეკიდება. ჩამავალი მზე ამომავალ მზეს განზე უყურებსო (ანდაზა); ◊ **ეჭვის თვალით უყურებს** ეჭვით უყურებს, ეეჭვება,.. კრიტიკულად უყურებს; ◊ **მრუდე თვალით უყურებს** უნდობლად, გუნებააშლით, აღრენით ეპყრობა. ◊ **(ზედ) არ უყურებს** აითვალწუნებს, არაფრად აგდებს, არაფრად მიიჩნევს.

◊ **სხვას შეჭყურებს, ხელნებში შეჭყურებს** სხვისგან გამოვლის რაიმეს, სხვის იმედზეა.

◊ **სიკვდილს თვალეში უყურებს** მოსალოდნელ სიკვდილს მამაცურად ეგებება, მოსალოდნელი სიკვდილის არ ეშინია.

◊ **სამარისკენ იყურება**. უპატივც. მალე მოკვდება, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ აქვს (იტყვიან მოხუცებულზე), — ცალი ფეხი სამარეში უდგას.



◇ **უკან იყურება** წარსულს იგონებს.

◇ **შორს იყურება** წინდახედულებას, შორსმჭვრეტელობას იჩენს.  
შდრ.: ◇ **წინ იყურება** მომავალს ითვალისწინებს, მომავლის გათვალისწინებით მოქმედებს.

◇ **გარე-გარე იყურება** თვალი სულ გარეთ გაუბრის, ოჯახში გული არ უდგება, გარე-გარე იყურება.

◇ **თვალის გარეთ ყურებიანება** სახლს გარეთ ძებნიანება ცხოვრების საშუალებათა, შინაურ ქონებას რომ არ დასჯერდეს. მთიელი ოსი და ჩვენებური თათარი, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მარტო ხვნათესვაზეა მიმდგარი და აქეთგან წარმოსდგება მისი ეკონომიური უღონობა, რომელიც გულს შინ არ უყენებს და თვალს გარეთ აყურებიანებს (ილია). (თ. სახოკია).

◇ **სეირს აყურებიანებს** შავ დღეს დააყრის, სეირს უჩვენებს.

◇ **სიმართლეს თვალეში უყურებს** შდრ.: ◇ **სიმართლეს თვალს** «გა»უსწორებს რეალურად «შე»აფასებს არსებულ ვითარებას.

◇ **თვალეში ვერ უყურებს** შდრ.: ◇ **თვალს ვერ უსწორებს** ვერ იდგება, რცხვენია.

◇ **(ვინმეს) გზის ყურებაშია**, ◇ **ვინმეს გზას გაჰყურებს** ვინმეს მოლოდინშია, ელის (ვინმეს).

**ყურება**-ს უნდა უკავშირდებოდეს **აყურყუტებს** ზმნაც: **აყურყუტებს**-ს მომაბეზრებლად დიდხანს აცდევინებს, ალოდინებს; ვინმეს, რაიმეს მომოლოდინედ ამყოფებს. მომაბეზრებელი ლოდინი = **ყურყუტი** > **ყურყუტა** (კუთხ.) „ჩერჩეტი, შტერი“ [ტიპოლოგიურად: შტერი — გაშტერდა — მიაშტერდა] და ა. შ.

ვფიქრობთ, **ყურყუტი (აყურყუტებს) ყურ-** ძირის გაორკეცვებითაა მიღებული და **ყურ-**ს აქ „თვალის“ მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ისევე, როგორც სიტყვაში: **კურცხალი** (ნ. მარის თვალსაზრისით, **კურცხალი** < \***კურ-ცხალ** (ე. ი. „ყურის [„თვალის“] წყალი“). ასევე, ცნობილია, რომ **ყურ-** (**ყურ-ებ-ა**) ფუძეს უნდა უკავშირდებოდეს მეგრ. **ცვერე** „ბრმა“ (ი. ყიფში.); სვან. **ყვრაი** „ელამი“ (თ. შარაძ.)...

## დენდრონიმ ურთხელი-ს ეტიმოლოგიისათვის

1. ფიტონიმა მოტივაციის კვლევა და ანალიზის შედეგად მიღებული დასკვნები საგულისხმოა არა მხოლოდ ნომინაციის პრობლემასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების დასმისას, არამედ გასათვალისწინებელია მცენარეთა სახელების ეტიმოლოგიური კვლევადიების დროსაც. არქეტიპთა აღდგენის მიზნით შესადარებელი ლექსიკური ერთეულები უნდა შეირჩეს ბევრათმესატყვისობათა კანონზომიერებების მიხედვით.

2. გამჭვირვალე სემანტიკის ფიტონიმებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მცენარეთა მოტივირებული ნომინაცია მუდამ შეპირობებულია აღსანიშნის ნიშან-თვისებით, მეტწილად დომინანტურით. მოტივირებული უნდა ყოფილიყო ის ფიტონიმებიც, რომელთა სემანტიკა მოცემულ ეტაპზე გაუმჭვირვალეა. ამგვარია უძველესი წარმოშობისა და ფართო გავრცელების დენდრონიმები, რომლებიც ერთნაირად მისაღები ჩანს ქართულის კილოთათვის. მათ თითქმის არ უდასტურდებათ კილოური სინონიმები, მოეპოვებათ შესატყვისობები ქართველურ ენებში და კვლევის შედეგად შესაძლებელი ხდება საერთოქართველური ფუძე-ძირების აღდგენა. ისინი მეტწილად ენდემურ ხემცენარეთა (ან ჩვენში უძველესი დროიდან დამკვიდრებულთა) სახელებია (წიფელი, ცაცხვი, წაბლი, ვაშლი, მსხალი...)

3. მარადმწვანე ხემცენარე *Táxus baccáta* ჩვენში უძველესი ხანიდან ფართო არეალითაა წარმოდგენილი, მაგრამ მისი ქართული სახელი — **ურთხელი** (ფონეტ. ვარიანტებით) — უძველეს დენდრონიმთა რიგისა არ ჩანს: მას არ უდასტურდება ფონემათმესატყვისობები ქართველურ მასალაში; მოეპოვება კილოური სინონიმები (*მადა*, *სატილია* აჭ; — *წუთული* — ქვ. რაჭ; *საჯი* — საბა; *შაჟრა* სვან.); არ ჩანს ჩვენთვის ხელმისაწვდომ ძვ. ქართულ ტექსტებში (ყველაზე ადრეული წერილობითი დადასტურება ს. ს. ორბელიანის ლექსიკონშია: *ურთხელი/ურთხელი*). სავარაუდოა, რომ აღნიშნული დენდრონიმი შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა.

4. ხემცენარე *ურთხელის* გამორჩეული თვისებაა მისი მერქნის გამძლეობა, უღბობელობა. სწორედ ეს დომინანტური ნიშანი ჩანს ამოსავალი მისი ერთი რიგის სახელებისათვის: **ურთხელი** სალიტ.; **ურთხველა** — გურ.; **ურთხმელა** — რაჭ., ლეჩხ., იმერ., აჭ., გურ.; **ურთხლი** — ქართ.; **ურთხოვარი** — კახ. ფშ. ხევს.; **ურთხელი** — მეგრ.; **ურთხელ** — სვან.

5. ესენი უქონლობის გამომხატველი წარმოქნილი სახელებია, ნაწარმოები **უ-** პრეფიქსით, ან **უ-ელ** პრეფიქს-სუფიქსით; ამოსავალი ფუძეა **თხრამლ** — შდრ.: *თხრამლ*-ი ძვ. ქართ. „მუუუკიდან ნადენი სქელი ჩირქი“ — ი. აბულ., ქვლ; *თხრამლ*-ი, *თხამ*-ი „ბაყლი“, „მწიკვილი“, „ჩირქი“, „შარავი“ — საბა; *თხამლ*-ი გურ. „ჩირქი“, *თხლამ*-ი — იმერ. „ბალღამი“, „ჩირქი“ — ალ. ღლ.

ამგვარად, **ურთხ-ელ-ი** „არის ხემცენარე, რომელსაც ჩირქი (თხრამლი) არ აქვს, არ უჩნდება“. შდრ.: „ურთხლი — ძელი უღბოველი“ (საბა). ღირსცნობია ნ. კეცხოველის მითითება: „**ურთხელს, უთხოვარს** ბერძნები **უღამპალს** უწოდებდნენ. სახარებაში, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნა, ურთხლის ნაცვლად უღამპალია ნახმარი“.

6. პროცესი ასე წარმოგვიდგება:

**თხრამლ-ი** > \*უ-თხრამლ-ი\* > უ-რთხამლ-ი > \*უ-რთხმლ-ი\* > **ურთხლ-ი** ქართლ.;

**ურთხმ-ელ-ი/ა** აჭ., გურ., რაჭ., ლეჩხ., იმერ. > **ურთხ-ელ-ი** სალიტ.

დენდრონიმი **ურთხოვარი** კახ. ფშ. ხევს. სემანტიკური გადააზრების შედეგია, რასაც ხალხური ლეგენდაც ადასტურებს.

7. თავად **თხ(რ)ამლ-**ს არაპროდუქტიული **-ლ** სუფიქსით ნაწარმოები ნაზმნარი სუბსტანტივის სახე აქვს (შდრ.: კუამ-ლ-ი, კუამ-ს). **რ** ფონეტიკურად განვითარებული ჩანს, შდრ.: *თხამლ*-ი — გურ., *თხლამ* — ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის გ. კლიმოვმა აღადგინა \***თხამლ-** არქეტიპი.

## მ ა რ ი ნ ა    ჯ ლ ა რ კ ა ვ ა

### **პრედიკატული განსაზღვრება თუ ვითარების გარემოება ლაზურში** (საკითხის დასმის წესით)

ლაზურ წინადადებებში ხშირად გამოიყენება ზმნასთან მღგარი მიმღობის ფორმის (ძირითადად ფუძეგაორკეცებული) სიტყვები, რომლებიც კვალიფიცირებულია, როგორც ზმნისართები, რადგან გადმოქართულებისას შესატყვისი ერთეულები მოქმედებით ბრუნვაშია. მეცნიერთა ნაწილის მიერ ქართულში ისინი მორფოლოგიურად ბრუნვაში ფუძეგაყინულ ვითარების ზმნიზედებად, სინტაქსურად კი — ვითარების გარემოებებად ითვლება.

მაგ.: თოლი-ქაოი კულანი... **ბანდალი** გუიტეენ (ასათიანი 2012: 97) „ბრმა გოგო **ბანცალით** დალიოდა“; ოჭკომეს დო ოშვეზ-მა. ჰემოეფე **ბანდალერი-ბანდალერი** ქოქოსქიდეს (ჟღენტი 1938: 55) „ჭამეს და სვესო. ისინი **ბანცალ-ბანცალით** ჩამორჩნენ“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ლაზურში **ბანდალერი** და **ბანდალერი-ბანდალერი / ბანდალერ-ბანდალერი / ბანდალე-ბანდალე** ტიპის ერთეულები სახელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში მსგავსი სინტაგმები ინტერესის საგანს წარმოადგენს და რიგ ენებში (მაგ.: გერმანულში, რუსულში...) უმეტეს შემთხვევაში ასეთი მიმღობა შემასმენელთან წყვილში ითვლება პრედიკატულ (შემასმენლურ) განსაზღვრებად.

ქართულ ენაში პრედიკატული განსაზღვრებისა და მისი თავისებურებების კვლევას ლ. კვაჭაძემ ჩაუყარა საფუძველი. ლ. კვაჭაძე ადასტურებს, რომ პრედიკატული განსაზღვრება არ არის იშვიათი ძველ ქართულში, ქართველურ ენებსა და ქართული ენის დიალექტებში. მას საკმაოდ მოჰყავს დამადასტურებელი მაგალითები:

ძველი ქართულიდან: **დავრდომილი იდვა** ბჰეთა თანა მისთა (ლ. 16); ივინი **წარვიდიან გულკლებულნი** და **სირცხვილეულნი** (კიმ. 184); **პოვნა** ივინი **მძინარენი** (მ. 26)...

ქართული ენის დიალექტებიდან: **მოვიდა** სახში **შეწუხებული** ე ბიჭი (რაჭული); **წამევიდა** კაცი **ატირებული** (იმერული); ეს კაცი **დაღონებული წამოვა** (მესხური)...

სვანური ენიდან: ლევან **ლგხრინე ანტას** ქორთე „ლევანი **გა-ბრაზებული დაბრუნდა** სახლში“; ჰამს **გიცარ** ლდღვარ **ახხვიდ** „დი-ლით ვერძი მკვდარი დახვდა“...

მკვლევარს მეგრულიდანაც მოჰყავს ერთი მაგალითი: **გურგო-ხარცილი გეგორდი** თექ **„გულგანეთქილი ვიდექი** იქ“. იგი ხაზს უსვამს, რომ ამ წინადადებაში „გურგოხარცილი“ პრედიკატული განსაზღვრებაა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ამოკრებილ ლაზურ საილუსტრაციო მასალაში ზმნა-შემასმენელთან წყვილში მდგარი მიმღეობის ფორმით გადმოცემული წინადადების წევრები პრედიკატული განსაზღვრებე-ბია. ძირითადად ისინი სახელობით ბრუნვაში დგას, რადგან მათ მი-ერ საზღვრული შემასმენლები გარდაუვალი ზმნებითაა გადმოცემუ-ლი. თუ პრედიკატული განსაზღვრება ჩვეულებრივ ქვემდებარის ბრუნვას იმეორებს, შესაბამისად ლაზურში ის სახელობითში უნდა იყოს კიდევაც.

ჩვენი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ შესატყვის წინა-დადებებში ეს წევრები მოქმედებითი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა (ზოგჯერ ვნებითისაც), ისინი ლაზურის იდენტურად მიმღეობის სახე-ლობითი ბრუნვის ფორმით უნდა გადმოიცემოდეს. მაგ.:

ყვაოჯეფე **იმტეს ყურელი, ყურელი** (ჩიქობავა 1929, 49) „ყვა-ვები გაიქცნენ **აყვირებული, აყვირებული**“;

ხოჯასთი ბიგა ოქაჩუნ, **ბაძგეი-ბაძგეი იგზალუ** (კარტოზია, 144) „ხოჯასაც ჯოხი უჭირავს, **დაბჯენილ-დაბჯენილი** წავიდა“;

ნე ოხოორი, ნე კერა, სო ვიდათ... ჩქინ აშო **მგარინერი გოგუ-ლუთ** (ყიფშიძე, 19) „არც სახლი, არც კერა, სად წავიდეთ... ჩვენ ასე **ატირებული დავდივართ**“;

მიმღეობის ფორმის წინადადების აღნიშნული წევრები ლაზურ-ში აკმაყოფილებს იმ კრიტერიუმებს, რომ ისინი მორფოლოგიური მარკერის მიხედვით ჩაითვალოს მიმღეობებად, და არა ზმნისართე-ბად; შესაბამისად, რადგან სინტაგმაში ეს წევრები შემასმენელს უკავშირდებიან, სინტაქსურად ისინი პრედიკატული განსაზღვრებე-ბია, და არა ვითარების გარემოებები.

# პროექტი „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“

პროექტი (№31/15) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით

## ნ ა თ ი ა   ფ ო ნ ი ა ვ ა

### საყოფაცხოვრებო ლექსიკის ასახვისათვის ლაზურ იდიომებში. I

ლაზური მდიდარია ისეთი იდიომებით, რომლებშიც დასტურდება ამა თუ იმ დარგის ლექსიკური ერთეულები, კერძოდ, მიწათმოქმედებასთან და საზღვაო საქმიანობასთან დაკავშირებული სიტყვები.

ლაზების ყოფაში ძველთაგანვე დიდი ადგილი ეჭირა მიწათმოქმედებას. ამიტომ, ბუნებრივია მათი ხშირი გამოყენება იდიომებში:

**ბელი** „ბარი“: **ბელის გააჭაბენ** „ზარმაცია“ (ზედმიწ. „ბარს ეწებება“). ბაზი თემბელი რენ, **ბელის გააჭაბენ** „ზოგი ზარმაცია, ბარს ეწებება“ (ყიფშიძე 1939: 46, 29).

**ბერგი** „თოხი“: **ხე ბერგი** „მოუხერხებელი“ (ზედმიწ. „თოხის ხელიანი“). აკო **ხე ბერგი** კოჩი „როგორი მოუხერხებელი კაცი“ (აბაშიძე 2011: 106).

**თასერი** „დათესილი“: **ჩანხა ლუმჯიშ თასერი** (არქ.) „ბედნიერი“ (ზედმიწ. ხუთშაბათ სალამოს დათესილი“ (ბუჯაკლიში, ალექსივა, უზუნჰასანოლლუ 2007: 104).

ზღვისპირას მცხოვრები ლაზების ყოველდღიურობაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ზღვას, შესაბამისად, ლაზურ იდიომებში საკმაოდ გვხვდება ზღვასთან დაკავშირებული ლექსიკა:

**ფელუკა** „ნავი“: **იმაშიშ ფელუკაზ გეხუნუ** (ზედმიწ. „იმამის ნავში ჯდომა“) „სიკვდილი, სულის ამოხდომა, დაბერება“. ხასანი **იმაშიშ ფელუკას ქოგეხელუ** „ჰასანი კვდება, სულს ღაფავს“ (აბაშიძე 2011: 58).

**ფელენგი** „ძელი, რომელსაც უღებენ ნავს ზღვაში ჩაშვება-ამოთრევის დროს; ზედ უსვამენ ქონს, რომ ნავის ძირმა კარგად ისრია-

ლოს: **ძელენგის გეხუნუ** 1. „სახიფათო საქმეში გარევა“. დოღანიქ თი მოილუ, არ **ძელენგის გეხედასენ** „დოღანის მდგომარეობა მძიმეა, ძელზე შეჯღება“. 2. „სიკვდილის მოახლოება“. სი ჰაწი ბადი დივი, **ძელენგი** იწეგიძინ „შენ უკვე დაბერდი, საიქიოში მიემგზავრები“ (აბაშიში 2011: 39).

**ქაფია** „ქაფშია“: **უჯის ქაფია გეჭვალუ** || **ჩეჭვალუ** „საქმის კეთება (ჩუმად, მალულად)“ (ზედმიწ. ყურზე ქაფშიის შეწვა“). **უჯის ქაფია ქოჯებუჭვი** „ჩუმად რალაც გავუკეთე და ვერ მიხვდა“ (ბუჯაკ-ლიში, ალექსივა, უზუნჰასანოღლუ 2007: 926).

მოხსენებაში შევეხებით ზემოაღნიშნული დარგების ლექსიკური ერთეულების შემცველი იდიომების სტრუქტურისა და წარმომავლობის საკითხებს.

## ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

### მეგრული დღა „დღე“ და სერი „ღამე“ ლექსემების შემცველი იდიომებისათვის

მეგრ. **დღა** „დღე“ და **სერი** „ღამე“ ლექსემები საკმაოდ აქტიურია იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით. ამ ლექსიკური ერთეულების შემცველი იდიომები გამოხატავენ სხვადასხვა შინაარსს.

**მეგრ. დღა „დღე“:**

კარგი, უზრუნველი, დაღხენილი, ბედნიერი ცხოვრება: **ჩე დღას ქუგოძირანქ** „კარგად გაცხოვრებ“ (ზედმიწ. „თეთრ დღეს გაჩვენებ“).

ბედი, ხვედრი (კარგი ან ცუდი): **ბედნიერ დღას (დღაში) დგნა-ბადი რე** (|| **რე დაბადებული**) „ბედნიერია“ (ზედმიწ. „ბედნიერ დღესაა დაბადებული“); **ურა დღას (დღაშოთ) დაბადებული** „გაჭირვებისათვის გაჩენილი“ (ზედმიწ. „შავ(ი) დღეს (დღისთვის) დაბადებული“), შდრ. ქართ. **შავ (უბედურ) დღეზე გაჩენილი (დაბადებული)**.

დიდი უბედურება, ტანჯვა, განსაცდელი: **ხატიშ მატახალიშ დღა გიორე** „დიდი უბედურების, ტანჯვის, განსაცდელის ჟამი უდგას“ (ზედმიწ. „ხატის გამტეხის დღე აქვს“).

მადლიანი (ძალის მქონე), იღბლიანი დღე: **კვათირ დღა** „საკრალური, აღკვეთილი, ტაბუდადებული დღე. ამ დღეს იკრძალება ჭრა, კერვა, სხვა არააუცილებელი საქმე, მაგრამ კეთილსასურველი დღეა ყველა კარგი საქმის წამოწყებისთვის“ (ზედმიწ. „მჭრელი (ბასრი) დღე“).

ცხოვრების „გათრევა“, სიცოცხლის განხანგრძლივება, საქმის გაჯანჯლება: არძას მუში **დღა მეუღუ** „ყველა თავის ცხოვრებას მიათრევს, სიცოცხლეს იხანგრძლივებს“ (ზედმიწ. „დღე მიაქვს“); კეთება ოზარუნ, თიშენ **დღა მეუღუ** „გაკეთება ეზარება, ამიტომაც საქმეს აჯანჯლებს, დრო გაჰყავს“ (ზედმიწ. „დღე მიაქვს“).

სიცოცხლის, რაიმეს დასასრულის მოახლოება: მეგრ. **დიდი დღა ვაუღუ (ვაუჭარუ)** „მაღე მოკვდება“ (ზედმიწ. „დიდი დღე არ აქვს (არ უწერია)“).

დღის ნათელი, დღის დადგომა, გათენება: სერ ითებ დო უკუმე-ლაშე **დღაში სინთე მოქვათენც** „ღამე თავდება და თენდება“ (ზედმიწ. „სიბნელიდან დღის სინათლე მოწვეთავს“), შდრ. ქართ. **დღის ნათელი**.

მანძილი: **ჩხორო დღაში ოღუ** „ძალიან შორი“. („ცხრა დღის სავალი“).

დღითი დღე, თანდათანობით: მეგრ. **დღა დო დღათი** იუჯღუშე-ბუ „დღითი დღე, თანდათანობით უმჯობესდება“ (ზედმიწ. „დღითა და დღით“).

**მეგრ. სერი „ღამე“:**

უძილოდ, შფოთიანად, მოუსვენრად გატარება ღამისა, თეთრად გათენება: **სერი ჩეთ გაათაანუ** „უძილოდ, შფოთიანად, მოუსვენრად გაატარა ღამე“ (ზედმიწ. „ღამე თეთრად გაათენა“).

ღამის გათევა: შხირას **ტახუნს სერს** „ხშირად ათევს ღამეს“ (ზედმიწ. „ტეხს ღამეს“).

ხანგრძლივი ღამე: **ქუაში კირუა (II კირჭუალა) სერი გიშმურ-სია** „დიდი, ხანგრძლივი ღამეაო“ (ზედმიწ. „ქვის (II კირის) გამოსაწვავი ღამე გამოვაო“).

ძალიან ბნელი ღამე: **წკვარამი სერი** „ძალიან ბნელი ღამე“.

ჭიაკოკონობა: **ეშმაკეფიშ სერი** (ზედმიწ. „ეშმაკების ღამე“).

**მეგრ. დღა დო სერი „დღე და ღამე“:**



შეუსვენებელი, გამუდმებული შრომა: მეგრ. **დღა დო სერი არ-თი აფუ** „სულ ჯაფაშია, შეუსვენებლად შრომობს“ (ზედმიწ. „დღე და ღამე ერთი აქვს)“.

დაღამება, შებინდება: **დღა დო სერქ აკანთხენი**, ქომოზოჯეს „რომ დაღამდა, რომ შებინდდა (ზედმიწ. „დღე და ღამე რომ შეიყარა“), მობრძანდენ.

გამუდმებით, განუწყვეტლივ: **დღაში დო სერით** ირო შარას გილარე „გამუდმებით, განუწყვეტლივ (ზედმიწ. „დღეცა და ღამეც“) სულ გზაშია, შდრ. ქართ. **დღე და ღამე**.

ვინმესთვის საქმის გაფუჭება: მუ ღოღუუ ი კოს, მუჭო **წააჯონუ იში დღა დო სერი** „რა უქნა იმ კაცს, როგორ წაახდინა იმისი საქმე, ცხოვრება“ (ზედმიწ. „წაახდინა მისი დღე და ღამე“).

მეგრ. **დღა** „დღე“ და **სერი** „ღამე“ ლექსემების შემცველი სხვა სემანტიკური ჯგუფებიც გამოიყოფა.

იდიომებში მონაწილეობის თვალსაზრისით, მეგრ. **დღა** „დღე“, უფრო პროდუქტიულია, მეგრ. **სერი** „ღამესთან შედარებით“.

იდიომები საყურადღებოა სტრუქტურული თვალსაზრისით — გამოიყოფა ორ, სამ, ოთხ კომპონენტიანი იდიომები, ყველაზე ხშირია სამკომპონენტიანი. იდიომის შექმნაში მონაწილეობას იღებს: სახელებიდან — არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი, აგრეთვე, ზმნა, ზმნისართი, მასდარი, მიმღეობა; იდიომებში შემავალ ლექსიკურ ერთეულებში გამოიყოფა მარტივი, რთული და წარმოქმნილი ფუძეები.

## ეთერ შენგელია, კობა მითაგვარია, ნათია ფონიავა

### ანგარიში ლაზეთში მივლინების შესახებ

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგია“ (31/15) ფარგლებში, მიმდინარე IV პერიოდში, გათვალისწინებული იყო მივლინება ლაზეთში. გეგმის შესაბამისად, პროექტის მონაწილეები — ეთერ შენგელია, კობა მითაგვარია, ნათია ფონიავა — ვიყავით მივლინებაში, კერძოდ: 2-დან 7 მარტამდე, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფში, ხოლო 7-დან 14 მარტის ჩათვლით — თურქეთის ფარგლებში არსებულ ისტორიულ ლაზეთში.

სარფში დავბინავდით ვაჟა დოლიძის ოჯახში. ჩვენი ინფორმატორები იყვნენ — სარფელები: ალექსანდრე ჭევაიში, მამია ჭევაიში, ნანული ჭევაიში, მირიან კაკაბაძე, ნაირა კაკაბაძე, მამია კახიძე, ნოდარ კაკაბაძე, ანა დოლიძე, თორნიკე დოლიძე, ვაჟა დოლიძე, მანანა დოლიძე, ხათუნა დოლიძე, კადირ ნუმანიშვილი, ფერიდე კაბამემდოღლი-ნუმანიშვილი და კვარიათელები: მაია მემიშიში, მონიკა მემიშიში, თემურ კაკაბაძე.

თურქეთის ტერიტორიაზე გადავედით 7 მარტს და დავბინავდით არქაბში, სასტუმრო ოზაიში და იქიდან გადავადგილდებოდით ლაზეთით დასახლებულ სხვა გეოგრაფიულ პუნქტებში — ვიწე (იგივე ფინდიკლი), არდაშენი, ათინა (იგივე ფაზარი) და ხოფა.

ჩვენი მთქმელები იყვნენ — არქაბში: მუსტაფა ოზგული, ოსმან ბუიუკლიში, ჯავით ოზქალი, მისე ოდაბაში, იბრაჰიმ ათასელიმი, ჰაიათ ოდაბაში (მემიშიში), ემინე თურნა; ვიწეში: სულეიმან ავმარ გუნერი, იაშარ ჭევრათოღლუ, ტანკუტ გუნერი; არდაშენში: მუსტაფა იენიჩირაქი, იაშარ გუვენჯიოღლუ, ჰასან ოზქურთი; ათინაში: შეფირ ჯინანოღლი, ოჯალ ჯინანი, რაჰმი იაშარი, ისმაილ ალთუნსალი; ჩხალაში: აჰმეთ დურმუში, სეზაი დურმუში; ხოფაში: გალიფ იეგენოღლუ, ტანსინ იეგენოღლუ.

მთქმელების ასაკი იყო სხვადასხვა: 16-დან 90 წლამდე.

წინასწარი დაკვირვებით, ლაზეთში გამოიკვეთა ისეთი იდიომები, რომლებიც

ა) გვხვდება ქართულსა და მეგრულშიც:

ლაზ. **გიინიშენ ქოგენტუ** „მოლბა, სიჯიუტე დათმო“, შდრ. მეგრ. **ჯორში გიშელ** „id“, შდრ. ქართ. **ჯორიდან ჩამოვიდა** „id“;

ლაზ. **გუი მიტკვაცუ**: ეშო ამბაეფე შეიგნი ქი, **გუი მიტკვაცუ** „ისეთი ამბები გავიგე, გული გამისკდა“, შდრ. მეგრ. **გურქ გომ-ხორცქ** „id“, ქართ. **გული გამისკდა** „id“.

ლაზ. **ნენა ქორბაშა ქოდოლიდუ**: მუთუ თქუ დო ოკახხე დი-ფიშმანუ, **ნენა ქორბაშა ქოდოლიდუ** „რალაცა თქვა და მერე ინანა, ენა მუცელში ჩაიღო“, შდრ. მეგრ. **ნინა ქვარაშა ქინიოთგ** „id“, ქართ. **ენა მუცელში ჩაიგდო** „id“.

ლაზ. **შქა მემოკკოდუ**: დიდო ვიჩალიში დო **შქა მემოკკოდუ** „ბევრი ვიმუშავე და დავიღალე, წელი მომწყდა“, შდრ. მეგრ. **წელქ მებჭყორდგ** „id“, ქართ. **წელი მომწყდა** „id“.

ბ) საერთოა მეგრულთან, მაგრამ არ დასტურდება ქართულში:

ლაზ. **ნუნკუ || ბიჯი მეფუჭვი** „მეგარცხინე“, შდრ. **ბიჯი მებჭვი** „id“.

ლაზ. **თოფურიშ დოლონე ქოდოლოლუ**, კაი სქიდუნ „თაფლში ჩავარდა, კარგად ცხოვრობს“, შდრ. მეგრ. **ოთოფურეს ქინოლგ** „კარგ ოჯახში შევიდა, ბედნიერია“.

გ) საერთოა ქართულთან, მაგრამ არ გვაქვს მეგრულში:

ლაზ. **ნუნკუ დომაუჩანუ** „სიტყვა გამიტყდა“ (ზედმიწ. პირი გამიშავდა)“, შდრ. ქართ. **პირი გამიშავდა** „id“.

დ) დასტურდება მხოლოდ ლაზურში:

**ონოი კერა** „კარგი, საიმედო“ (ზედმიწ. „სახლის კერა“): კაი ბერეს **ონოი კერა** უწუმელან „კარგ შვილს ოჯახის კერას უწოდებენ“;

**ნენა გუიშა ამტუ** „შეეშინდა“ (ზედმიწ. „ენა გულისკენ გაექცა“).

ე) თურქულის გავლენის შედეგი ჩანს:

**ჰენექემას აებზდუ** „აბუჩად ამიგდო“ (თურქ. **henek etmek** „id“).

**ნენა ბუტკა** 1. „თვალთმაქცი“. 2. „ვინც ერთსა და იმავეს იმეორებს“ (თურქ. **japrak dilli**).

მოპოვებული იდიომატური მასალა მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისითაც.

გარდა ფრაზეოლოგიზმებისა, ჩავიწერეთ გაბმული მეტყველების ნიმუშებიც, რომლებშიც ასახულია ლაზების ისტორიული მენსიერება, ტრადიციები, ყოფა.

## ც ი რ ა ჯ ა ნ ჯ ლ ა ვ ა

### ლაზური თოლი „თვალი“ ფრაზეოლოგიზმებში

მეგრულ-ლაზურ თოლ სიტყვას ფონეტიკური შესატყვისები მოეპოვება სხვა ქართველურ ენებში, ამიტომ ის საერთოქართველურ ლექსიკურ ერთეულად მიიჩნევა.

**თოლი**, როგორც საყრდენი სიტყვა, ლაზურში არაერთი ფრაზეოლოგიზმის შემადგენლობაში გვხვდება, ამასთან, ის, როგორც წესი, შესიტყვების პირველი კომპონენტია.

**თოლ ქოდომოსქიდუ** „ძალიან მომეწონა“, ზედმიწ. „თვალი დამჩია“.

**თოლი გონწყიმერი** „ფხიზელი, ყურადღებიანი“, ზედმიწ. „თვალი ღია“.

საინტერესოა პოსტპოზიციურ ზედსართავ სახელთან თოლ-ის შეხამებით მიღებული ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ა. თანდილავას ლექსიკონშია წარმოდგენილი:

**თოლი მონკა** „სერიოზული“, ზედმიწ. „თვალი მძიმე“

**თოლი ქჩე** „სიმპატიური“, ზედმიწ. „თვალი თეთრი“

**თოლი ღულა** „ელამი“, ზედმიწ. „თვალი მოგრეხილი, მოღუნული“.

საერთოქართველური მსოფლალქმის მიმანიშნებელია ლაზური ფრაზეოლოგიზმები:

**თოლი გედუმუ** „მოწონება“ — შდრ. ქართ. **თვალს დაადგამს** თვალში მოუვა, მოეწონება (ქეგლ);

**თოლი დოდგინუ** „დაბრმავება“ — შდრ. ქართ. **თვალი დაუდგება** მხედველობას დაკარგავს, დაბრმავდება (ქეგლ).

**თოლი მესქიდინუ** „თვალის დარჩენა“ — შდრ. ქართ. **თვალი რჩება** თვალს ვერ აშორებს (ქეგლ).

საერთოქართველურ კუთვნილებად წარმოგვიდგება კომპოზიტი, რომელიც „თვალისა“ და „ყურის“ შეერთებით მიიღება:

მეგრ. **თოლ-ყუჯი**, ლაზ. **თოლ-ყუჯი** — ქართ. **თვალ-ყური**.

მოხსენებაში, ზემოთ განხილულთა გარდა, შევხებით თოლ-ის შემცველ სხვა ნაწარმოებ სიტყვებსა და ფრაზეოლოგიზმებსაც.